

178/2
1981

ISSN 0132-5981
საქართველოს
საბჭოთავო

საქართველო საბჭოთავო



129

1981

„პარტიულმა ორგანიზაციებმა, იდეოლოგიურმა ინსტიტუტებმა გააქლიერონ იმ ღონისძიებათა იდეოლოგიური უზრუნველყოფა, რომლებიც სოციალდება საზოგადოებრივი წმკრივის განსამტკიცებლად, სამართალდარღვევათა თავიდან ასაცილებლად, ყოველნაირად აამაღლონ კესკუბლიკის მსრომელთა კოლიტიკური სიზხიულე, დანერგონ სამართალდამცველი ორგანოების, კრესის, ტელევიზიისა და რადიოს იმ სპეციალური ერთობლივი გეგმების შემუშავება, რომლებიც ეძღვნება დამნაშავეების წინააღმდეგ ბრძოლის, საზოგადოებრივი აღზრდის მობილიზაციის ყველაზე აქტუალურ პრობლემებს, ანთისაზოგადოებრივი გამოკვლინებებისადმი შემუშენარებლობის ვითარების შემჩნის საკითხებს“.

სამართველოს კომუნისტური პარტიის
XXVI ყრილობის დადგენილებიდან.

საქმეთა სამართალი

№ 1

ინფორმაციული
თეზაურუსი

1981 წელი

შურნალი გამოდის 1926 წლის 1 მარტიდან

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, კროპუჩაშურისა და უმაღლესი სასამართლოს მეცნიერულ-პრაქტიკული ჟურნალი

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობა	3
ა. შუშანაშვილი — ახალი დებულება საქართველოს სსრ ადვოკატურის შესახებ	7
ვ. ლორია — ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ახალი კანონმდებლობით	15
თ. ლილუაშვილი — შრომითი დავები და მათი წარმოშობის მიზეზები	21
ზ. ახვლედიანი — ნაწარმოების თარგმნის უფლება საბჭოთა საავტორო კანონმდებლობით	28
მოწარდთა სამართალდარღვევის კონკრეტულ-სოციოლოგიური გამოკვლევის ზოგიერთი შედეგი ქ. თბილისის მასალების მიხედვით	37
ვ. თორდია — ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების დარგობრივ განყოფილებათა და სამმართველოთა კომპეტენციის სრულყოფისათვის	45
ო. კაციტაძე, ა. ხოჭოლავა — საბინაო კანონმდებლობის საფუძვლების პროექტის შესახებ	48
ვ. ასიევილი — ავამალოთ ტრანსპორტზე დამნაშავეობასთან ბრძოლის ეფექტიანობა	57
ი. სურგულაძე — ვახტანგ VI სამართლის წიგნის ახალი რუსული თარგმანის გამო	63
შ. ჭანტურია — კანონიერების სადარაჯოზე	68
მ. ხარიტონაშვილი — იურისტთა დახელოვნების სამსახურში	70
ს. მანველიანი — სამართლიანად დასჯილნი	72
ინფორმაცია	74
ნეკროლოგები	78
ცნობები ავტორთა შესახებ	80



СОДЕРЖАНИЕ

XXVI съезд Компартии Грузии	3
А. Шушанашвили — Новое положение об адвокатуре Грузинской ССР	7
В. Лория — Административная ответственность по новому законодательству	15
Т. Лилушвили — Трудовые споры и причины их возникновения	21
З. Ахвледиани — Право на перевод произведения по советскому авторскому праву	28
Некоторые итоги конкретно-социологического исследования совершаемых подростками правонарушений	37
В. Тордиа — Проблема совершенствования компетенции отраслевых отделов и управлений исполкомов местных Советов	45
О. Кацитадзе, А. Хочолава — О проекте Основ жилищного законодательства	48
В. Асишвили — Повысить эффективность борьбы с преступностью на транспорте	57
И. Сургуладзе — По поводу нового русского перевода судебника Вахтанга VI	63
III. Чантурия — На страже законности	68
З. Харитонашвили — На службе совершенствования квалификации юристов	70
С. Манвелян — Справедливо наказанные	72
Информация	74
Некрологи	78
Сведения об авторах	80



სარედაქციო კოლეგია:

- ო. კაციტაძე** (მთ. რედაქტორი), **ლ. აღუქსიძე**, **ა. ბარაბაძე**,
- გ. ბერძენიშვილი** (პ/მგ მდივანი), **გ. ინწკირველი**, **აკ. კარანაძე**,
- მ. ლეკვეიშვილი**, **გ. ტყეშელაძე**, **ვ. ქვაჩახია**, **ა. შუშანაშვილი**,
- ა. ხოჭოლავა**, **ს. ჯორბენაძე**

© „საბჭოთა სამართალი“, 1981 წ.

რედაქციის მისამართი, თბილისი, ალშახანოვის კრ. 103. ტ 95.58.87, 95.88.49.

გადაეცა ასაწყობად 17.II.81 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 3.IV.81 წ.,
 ფორმატი 70×108¹/₁₆, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი
 ფურცელი 7. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 7,5.
 შეკვ. № 510 ტირაჟი 14.900 უე 08330

საქ. კბ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14

საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობა

მუშაობა დაამთავრა საქართველოს კომუნისტების XXVI ყრილობამ, რომელმაც უჩვეულოდ მაღალი ორგანიზებულობის ვითარებაში ჩაიარა. ყრილობის მთელმა მსვლელობამ, ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებისა და სხვა დოკუმენტების განხილვამ და ერთსულლოვანმა მოწონებამ თვალნათლივ ცხადყო რესპუბლიკის კომუნისტების მონოლითური ერთიანობა, მათი უსაზღვრო ერთგულება ვ. ი. ლენინის უკვდავი იდეებისადმი, მომწიფებულობა და იმისათვის მზადყოფნა, რომ მიალწიონ ახალ მიჯნებს კომუნისმისაკენ მიმავალ გზაზე.

ყრილობაზე საანგარიშო მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შვევარდნაძემ. ეს მოხსენება, რომელიც ცენტრალური კომიტეტის ბიუროს კოლექტიური ნააზრევია, გამოირჩევა თავისი ინტელექტუალური დონით და წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს პარტიულ დოკუმენტს, რომლის საფუძვლიანად შესწავლას გარკვეული დრო სჭირდება. მასში ყოველმხრივ, მთელი სიღრმითა და სისრულით არის გაანალიზებული უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მიერ გაწეული უდიდესი პოლიტიკური და ორგანიზაციული საქმიანობა, რამაც უზრუნველყო მათე ხუთწლიანი გეგმით დასახული გრანდოზული ამოცანების წარმატებით შესრულება, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის არნახული აღმავლობა და წინსვლა. ამავე დროს მოხსენებაში ნაჩვენებია მეთერთმეტე ხუთწლიდის დავლებათა შესრულების გზები, მეცნიერულად დასაბუთებულია მოვლენათა განვითარების პერსპექტივები, კრიტიკულად არის შეფასებული მიღწეული შედეგები, განსაზღვრულია უახლოესი პერიოდისათვის საზოგადოებრივი ცხოვრების კიდევ უფრო გაჯანსაღების ამოცანები. უეჭველია, რომ საანგარიშო მოხსენებაში ჩამოყალიბებული დებულებები, ყრილობის სხვა დოკუმენტები და გადაწყვეტილებები უდიდეს როლს შეასრულებს ჩვენს იდეურ ცხოვრებაში, ხელს შეუწყობს ახალი პირობების შესაბამისად პარტიული, საბჭოთა და სხვა ორგანოების მთელი მუშაობის გარდაქმნას, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ ლოგიკურ ფინალამდე მივიყვანოთ გეგმაზომიერი, უკომპრომისო, პრინციპული და დაუცხრომელი ბრძოლა, რომელიც აი, უკვე თითქმის ათი წელია მიმდინარეობს რესპუბლიკაში ყოველგვარი ნეგატიური მოვლენების დასაძლევად და აღმოსაფხვრელად.

ჩვენ უკვე შევეჩვიეთ, რომ ბოლო დროის ყველა პარტიულ დოკუმენტში საგრძნობი ადგილი ეთმობა აღმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის ავსა და კარგს. ეს სავსებით კანონზომიერია, ვინაიდან შემოქმედებითი შრომის ატმოსფეროს შექმნა, მშრომელთა ნორმალური დასვენების უზრუნველყოფა, სამართლიანობის ვითარების დამკვიდრება წარმოუდგენელია კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების გარეშე. ეს კი უპირველესად დამოკიდებულია სამართალდამცველი ორგანოების გამართულ ფუნქციონირებაზე, მათი თითოეული რგოლის საქმიანობის ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლებაზე. ისინი მოვალენი არიან აქტიურად შეუწყონ ხელი ცხოვრების მიერ მორალურ-ფსიქოლოგიურ სფეროში წამოჭრილი პრობლემების დროულად, საზრიანად და კომპეტენტურად გადაწყვეტას.

საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე გაკეთებულ საანგარიშო მოხსენებაში, სხვა დოკუმენტებსა და დელეგატების გამოსვლებში დადებითად შეფასდა რესპუბლიკის აღმინისტრაციული ორგანოების საქმიანობა. ამასთანავე ისინი პრინციპული პარტიული პოზიციებიდან იქნენ გაკრიტიკებული იმის გამო, რომ ვერ შეძლეს მუშაობის გარდაქმნა დღევანდელი მონოტონობისა შესაბამისად. ყრილობაზე ითქვა, რომ გადაშრქელმა ღონისძიებებმა, რომლებიც განხორციელდა რესპუბლიკაში ვითარების გაჯანსაღებისათვის, თუმცა კი გამოიღო ხელშესახები ნაყოფი, მაგრამ ანტისაზოგადოებრივი მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულია.

„ვითარება რესპუბლიკაში, — აღნიშნა საანგარიშო მოხსენებაში ამხანაგმა ე. ა. შვევარდნაძემ, — მნიშვნელოვანად გაუმჯობესდა...

იმანებდნენ რა აღზრდის, დარწმუნებისა და საზოგადოებრივი ჯიშობიდან მშველ საზირო საშუალებას სამართალდარღვევათა მიმართ, პარტიული ორგანოები

ქ. ბარბაქაძე სსბ. სოქ. სსრ
საბიბლიოთეკო



მტკიცად ილაშქრებდნენ კოლმეტიკური სიბავის წინააღმდეგ, გამოსუსტორებელი ანტი-საზოგადოებრივი ელემენტების, მამრთაშეშლის, სახალხო დოვლათის დამტაცებლობის, აშრდებისა და სხვა იმ სოციალური უწყინდურობის მიმართ შეუწყნარებლობის, მატინსმეტი ლოგოზიარების, სიფსიულის მოღუწევის წინააღმდეგ, რომლებიც წამლავენ ჩვენი საზოგადოების ჯანსაღ ატმოსფეროს და ხშირად ძნელად გამოსუსტორებელ კოლმეტიკურ და მორალურ წინანს აქვენებენ საერთო საქმის¹.

ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ რესპუბლიკაში ბოლო ხანს განხორციელდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები საკადრო პოლიტიკის დასახვეწად, კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღწრდის ფორმებისა და მეთოდების გასაუმჯობესებლად, აღმინისტრაციული ორგანოების მუშაკთა შემადგენლობის გადასახლისებლად, ახალგაზრდა სპეციალისტების დაწინაურებისა და კადრების მყარი რეწერვის შესაქმნელად. როგორც საანგარიშო მოხსენებაში ითქვა, „თვისებრივად განახლდა პროკურატურის, სასამართლოს, მილიციის ორგანოების ხელმძღვანელი შემადგენლობა. პასუხსაგებ სამუშაო უზნებზე გავაგზავნეთ პოლიტიკურად მომწიფებული კადრები... ყოველივე ამას არ შეიძლებოდა სასიკეთო გავლენა არ მოეხდინა აღმინისტრაციული ორგანოების პრაქტიკული საქმიანობის შედეგებზე, რომლებმაც უზრუნველყვეს დამნაშავეობის, მისი ცალკეული საშიში გამოვლინებების შემცირების გარკვეული ტენდენცია“².

ამასთანავე ყრილობაზე მკაცრად და პირუთვნელად ითქვა, რომ აუცილებელია უზრუნველყოფი რესპუბლიკის აღმინისტრაციული ორგანოების საქმიანობისთვისებრივი და ხარისხობრივი გაუმჯობესება, მისი ყველა რგოლის დახვეწილი მუშაობა, შინაგან საქმეთა, პროკურატურის, იუსტიციის და სასამართლოს მუშაკთა პერსონალური პასუხისმგებლობის ამაღლება, რათა პარტიის ყველა დირექტივა უთუოდ და დროულად სრულდებოდეს. რესპუბლიკის აღმინისტრაციულმა ორგანოებმა უნდა მიადწიონ იმას, რომ ძირშივე აღმოიფხვრას ფორმალისში, საქმის გაჭიანურება, უსულგულობა, სოციალისტური კანონიერების უმნიშვნელო დარღვევაც კი. თუ ამ თვალსაზრისით მივუდგებით საქმეს, მდგომარეობა კვლავ არადამაკმაყოფილებელია. „ჭერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი შემთხვევები, როცა მილიციის, სასამართლოსა და პროკურატურის ზოგიერთი ხელმძღვანელი თუ რიგითი მუშაკი ფორმალურ-ბიუროკრატულად და არაკეთილსინდისიერად ეკიდება თავის სამსახურებრივ მოვალეობას, არ არის საკმარისი ბეგრი მათგანის კვალიფიკაციის დონე. რესპუბლიკაში დამნაშავეობასთან ბრძოლის ეფექტიანობაზე უარყოფითი გავლენას ახდენს სასამართლო და საგამოძიებო ორგანოების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი.

სამართალდამცავი ორგანოები კვლავაც უნდა იყვნენ პარტიის პოლიტიკის მტკიცე გამტარებლები, იჩენდნენ ღრმა პოლიტიკურ პრინციპულობას და კლასობრივ სიფხიწლეს“³.

ნაკლოვანებათა დაძლევის, ყველა უბანზე საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების გადამწყვეტი პირობაა აღმინისტრაციული ორგანოების თითოეულ რგოლში კრიტიკის ფართოდ გასოლად, ჩვენი მუშაკებისათვის მიდწეული შედეგებით დაუტკაცოფილებლობის და თვითკრიტიკული დამოკიდებულების გრძნობის ჩანერგვა. უამისოდ შეუძლებელია ნამდვილად შემოქმედებითი მუშაობის ატმოსფეროს შექმნა, ინიციატივისა და აქტიურობის განვითარება, შრომის და საშემსრულებლო დისციპლინის შემდგომი განმტკიცება.

განა დღეს ნორმალურად შეიძლება მივიჩნიოთ, რომ პროკურატურის ორგანოების ცალკეული მუშაკები შემარიგებულურ დამოკიდებულებას იჩენენ, რეაგირებას არ ახდენენ სოციალისტური კანონიერების აშკარა დარღვევის ფაქტების მიმართ. მაგალითად, მანარაძის რაიონის პროკურორის ყოფილმა თანაშემწემ მ. მაკაიშვილმა არ გააპროტესტა განაჩენი კვირიკაშვილის მიმართ, რომელსაც 8 წლის თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, მაშინ როცა კანონი (საქართველოს სსრ სსკ 117 მუხლის I ნაწილი) მხოლოდ 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

1 ე. ა. შევარდნაძე, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში, მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე, გაზეთი „კომუნისტი“, 1981 წლის 23 იანვარი.
 2 იქვე.
 3 ე. ა. შევარდნაძე, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში, მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას, გაზეთი „კომუნისტი“, 1981 წლის 23 იანვარი.

სახერის რაიონის პროკურორმა გ. მჭედლიშვილმა ხოჯაშვილის, ხარაიშვილის და სხვა თა მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერისას უსაფუძვლოდ მოითხოვა ხუთი პირის გამართლება, რომლებიც სამართალში იყვნენ მიცემული ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონოდ გასაღებაში, ხოლო ამავე საქმის სხვა მონაწილის, განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის კალმანელიძის მიმართ, რომელსაც ბრალი ედებოდა ნარკოტიკულ ნივთიერებათა უკანონოდ შექენასა და გამოყენებაში, მოითხოვა ორი წლის თავისუფლების აღკვეთა, ხოლო როცა სასამართლომ კალმანელიძეს შეუფარდა აშკარად ლმობიერი სასჯელი — ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა, განაჩენი საქასაციო წესით არ გააპროტესტა.

სოციალისტური კანონიერების კიდევ უფრო აღმაშფოთებელი დარღვევა გამოვლინდა ქ. თბილისის კალინინის რაიონის სახალხო მოსამართლის ნ. ჩერქეზიას საქმიანობაში.

მოსამართლე ნ. ჩერქეზიამ გამოიჩინა სრული უპასუხისმგებლობა, საქმისადმი ზერედე და მოკიდებულება და მოქალაქე ვ. ბელიხის სასჯელის ზომად საქართველოს სსრ სსკ 284-ე მუხლის I ნაწილით და 217-ე მუხლის II ნაწილით ერთობლივად მიუსაჯა ერთი წლის და 6 თვის თავისუფლების აღკვეთა, მაშინ როდესაც სისხლის სამართლის კოდექსის ორივე ის მუხლი, რომლებითაც ვ. ბელიხს მსჯავრი დაედო, არ ითვალისწინებს ერთ წელზე მეტ სასჯელს. ვ. ბელიხს სასჯელის მოხდა დაეწყო დაპატიმრების დღიდან, 1978 წლის 23 აგვისტოდან, ხოლო თავისუფლების აღკვეთის აღგლიდან განთავისუფლებულ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილებით 1980 წლის 22 იანვარს, დაპატიმრებლადან ერთი წლისა და ხუთი თვის შემდეგ. ამრიგად, ვ. ბელიხი უკანონო პატიმრობაში იმყოფებოდა ხუთ თვეს.

ნ. ჩერქეზია ამის გამო ვადაძევა გამოწვეული მოსამართლის თანამდებობიდან, ხოლო საქმის განხილვაში მონაწილე პროკურორი ვ. ჯანდიერი, რომელმაც კანონის უხეში დარღვევით მოითხოვა ვ. ბელიხისათვის 2 წლის თავისუფლების აღკვეთა, დათხოვნილია პროკურატურის რიგებიდან.

ყრილობამ საგანგებო ყურადღება დაუთმო დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მუშაობის გაუმჯობესების საკითხებს. საზგასმით ითქვა, რომ სახალხო დეპუტატები უფრო აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ დამნაშავეობის საერთოდ და განსაკუთრებით საყოფაცხოვრებო ნიადაგზე წარმოშობილი დანაშაულის თავიდან აცილებაში.

შარშან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ სპეციალურად განიხილა საკითხი — საყოფაცხოვრებო კონფლიქტების გამო მოქალაქეთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვის მდგომარეობა და გამოავლინა კანონმდებლობის არაერთი უხეში დარღვევა. უკანასკნელ ხანს შეიმჩნევა საყოფაცხოვრებო კონფლიქტების ნიადაგზე ჩადენილი საშიშ დანაშაულთა ზრდის ტენდენცია, რომლის ერთ-ერთი მიზეზია სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების ზოგადი აღმასკომის გულგრილი, ზოგჯერ კი ფორმალურ-ბიუროკრატიული დამოკიდებულება ამ საკითხებზე მოქალაქეთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვისადმი. სახალხო დეპუტატთა სასოფლო, საღაბო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომები უხეშად არღვევენ საჩივრებისა და განცხადებების განხილვის დადგენილ წესს, ყოველთვის იმერატიულად არ წყვეტენ სადავო საკითხებს, რომლებიც ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა უშუალო ჩარევას მოითხოვს.

რესპუბლიკის ცალკეული ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები ყოველთვის არ ახორციელებენ საჭირო ღონისძიებებს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისათვის თავის ამრიგებულ და საპასორტო რეჟიმის წესების დამრღვევ, თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან განთავისუფლებულ პირთა გამოსავლენად და სამუშაოზე მოსაწყობად. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები ხუხტად ურთიერთმოქმედებენ საზოგადოებრიობასთან, წესრიგის დაცვის საყრდენ პუნქტებთან, ამხანაგურ სასამართლოებთან.

ყრილობამ საჭიროდ მიიჩნია ყველა სახალხო დეპუტატთა საბჭოს მუშაობის გამოცოცხლება, დეპუტატების აქტიურობის ამაღლება, რაც, გარდა იმისა, რომ უზრუნველყოფს საბჭოთა სახელმწიფოს დემოკრატიული საფუძვლების და ინსტიტუტების შემდგომ განვითარებას, ამასთანავე შესაძლებლობას მოგვცემს დეპუტატების უზარმაზარი არმიის შემოქმედებითი ენერჯია უფრო სრულად გამოვიყენოთ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამაზე როცა ლაპარაკობდა, ამხანაგმა ელფარდ შევარდნაძემ საანგარიშო მოხსენებაში თქვა: „საბჭოთა ორგანოების საქმიანობაში ჯერ კიდევ მრავლად არის ფაქტები, როცა უსულგულოდ ეკიდებიან ადამიანთა საჭიროებებს, ფორმალურ-ბიუროკრატიულად უდგებიან საქმეს, დეპუტა-

ტებთან და მოსახლეობას შორის მუშაობაში ურიგდებიან ფორმალიზმა და გაუბრალოებას, ზოგჯერ კი დემოკრატიზმისა და საჯაროობის პრინციპების უგულვებელყოფას⁴.

ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს შეუძლიათ დიდი როლი შეასრულონ სკკ ცენტრალური კომიტეტის 2 აგვისტოს ცნობილი დადგენილების რეალიზაციაში, დანაშაულის თავიდან აცილებაში, გამაფრთხილებელ-პროფილაქტიკულ ღონისძიებათა განსახორციელებლად მთელი საზოგადოებრიობის დარაზმვაში.

ყრილობაზე ითქვა, რომ ადმინისტრაციული ორგანოები ჯეროვან შეფასებას არ აძლევენ პროდუქციის მიწოდების კანონმდებლობის უხეშად დარღვევის ფაქტებს, სათანადო რეაგირების გარეშე რჩება სახელმწიფოებო ვალდებულებათა შესრულება. ეს კი ასუსტებს სახელმწიფო დისციპლინას და დიდ ზარალს აყენებს სახალხო მეურნეობას. საწარმოთა და უწყებათა იურიდიული სამსახურები, საუწყებო არბიტრაჟები და თვით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟი, სამწუხაროდ, მწვავე და ოპერატიულ რეაგირებას არ ახდენენ სამეურნეო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევებზე.

სკკ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის 2 აგვისტოს დადგენილებაში „მართლწესრიგის დაცვისათვის მუშაობის გაუმჯობესებისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ ადმინისტრაციული ორგანოების ყურადღება გამახვილებული იყო სასამართლო პროცესების აღმზრდელი მნიშვნელობაზე, მათს როლზე საბჭოთა კანონების პროპაგანდაში. უნდა ითქვას, რომ ჩვენი სასამართლო პროცესები ჯერ კიდევ ვერ უწყობს ხელს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში მშრომელთა ფართო მასების აქტიური პოზიციის დამკვიდრებას, სამართალდარღვევათა მიზეზების აღმოფხვრას. ამაზე შარშან ოქტომბერში სპეციალურად იმსჯელა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ, რომელმაც მიიღო დადგენილება „რესპუბლიკაში სასამართლო პროცესების აღმზრდელი მნიშვნელობის შემდგომი ამაღლების ღონისძიებათა შესახებ“. საჭიროა იუსტიციის სამინისტრომ და უმაღლესმა სასამართლომ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სხვა საზოგადოებრივი ორგანოების დახმარებით ყველაფერი იღონონ, რათა ამაღლდეს სასამართლო პროცესების აღმზრდელი მნიშვნელობა, უზრუნველყონ ჯანსაღი წინააღმდეგობის კლიმატის, ნეგატიურ მოვლენათა წინააღმდეგ შეუწყნარებლობის ატმოსფეროს შექმნა.

ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის ეფექტიანობა და სრულყოფა წარმოუდგენელია იურიდიული მეცნიერების მიღწევების პრაქტიკაში გამოუყენებლად. იურიდიული მეცნიერება გზას უნდა უნათებდეს პრაქტიკას, თავისი რეკომენდაციებით ეხმარებოდეს სასამართლო-პროკურატურის მუშაკებს მათ წინაშე წამოჭრილი პრობლემების გადაჭრაში. კვალიფიკაციის ამაღლებაში, პროფესიულ დაოსტატებაში. ქართული სწავლული იურისტები ამ მხრივ ჯერ კიდევ ვალში არიან პრაქტიკოსთა წინაშე. ისინი მთლიანად და სრულყოფილად ვერ უპასუხებენ იმ დიდ ამოცანებს, რომლებიც დღეისათვის დასახულია მათ წინაშე. ეს ყოველად შეუწყნარებელია. აუცილებელია ირუდიულმა სამეცნიერო დაწესებულებებმა მკვეთრად გარდაქმნან თავიანთი საქმიანობა, მხარში ამოუდგინონ სასამართლო-პროკურატურის ორგანოებსა და იუსტიციის დაწესებულებებს, აქტიური დახმარება აღმოუჩინონ მათ კეთილშობილური ამოცანის გადაწყვეტაში — დამნაშავეობის თავიდან აცილებაში.

ყრილობის წინა დღეებში გამოვიდა კრებული — საქართველოს კომუნისტური პარტია ყრილობების, პლენუმების რეზოლუციებსა და დადგენილებებში. მისი ერთი თვალის გადავლენითაც კი ჩანს, თუ რაოდენ დიდ ყურადღებას იჩენს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, განსაკუთრებით 1972 წლიდან ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის ყველა ასპექტისადმი. ჩვენ მოვალენი ვართ გავამართლოთ ეს ყურადღება, ვიყოთ ღირსი იმ დიდი შეფასებისა, რომელსაც გვაძლევენ პარტია და მთელი საბჭოთა ხალხი.

4 ე. ა. შევარდნაძე, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში, მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას. გაზეთი „კომუნისტი“, 1981 წლის 23 იანვარი.

ახალი დებულება საქართველოს სსრ ადვოკატურის შესახებ

ა. შუშანაშვილი,
საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი

1980 წლის 12 ნოემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეათე მოწვევის მეორე სესიამ განიხილა და დაამტკიცა ახალი დებულება საქართველოს სსრ ადვოკატურის შესახებ. ეს არის ძირითადი ნორმატიული აქტი, რომელიც განსაზღვრავს ადვოკატურის ორგანიზაციისა და საქმიანობის სახელმძღვანელო პრინციპებს, დეტალურად აწესრიგებს საადვოკატო სამსახურის მიმართულებებს, ადვოკატურის ორგანოებისა და კოლეგიის წევრთა მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს. ამიტომ მისი მიღება დიდი მოვლენაა რესპუბლიკის ადვოკატურისა და საერთოდ, იუსტიციის ორგანოების ცხოვრებაში. წინათ მოქმედი დებულება, რომლის მიღებიდან თითქმის ოცი წელი გავიდა, როგორც შინაარსობრივად, ისე საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით, ვეღარ უპასუხებს დღევანდელ მოთხოვნებს, არ შეესაბამება სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ ახალ კონსტიტუციებს, ამ ხნის მანძილზე მიღებულ სხვა საკანონმდებლო აქტებს, განსაკუთრებით კი 1979 წლის 30 ნოემბრის კანონს „სსრ კავშირში ადვოკატურის შესახებ“, სადაც ახლებურად არის დაყენებული და გადაწყვეტილი მოქალაქეთა კანონიერი უფლებების დაცვისა და გარანტიების საკითხები.

ამ საკანონმდებლო სიახლეებისა და ქვეყნის ცხოვრებაში მომხდარი სხვა ცვლილებების შესაბამისად დებულებაში განსაზღვრულია ადვოკატურის ამოცანები, ადვოკატურის ორგანოების შექმნისა და საქმიანობის წესი, ადვოკატთა უფლებები და მოვალეობები, მათი შრომის რეგულირებისა და ანაზღაურების, წახალისებისა და პასუხისმგებლობის საკითხები.

დებულება შედგება 9 თავისა და 31 მუხლისაგან. პირველ მუხლებში განსაზღვრულია ადვოკატურის ამოცანები, დახასიათებულია ადვოკატურის ორგანიზაციისა და საქმიანობის მომწესრიგებელი კანონმდებლობა. ძველ დებულებასთან შედარებით ადვოკატურის ამოცანები უფრო სრულყოფილად არის ჩამოყალიბებული. სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციების შესაბამისად დებულება ადგენს, რომ ადვოკატურის ძირითადი ამოცანაა მოქალაქეებისა და ორგანიზაციებისათვის იურიდიული დახმარების გაწევა. ადვოკატურა ხელს უწყობს მოქალაქეთა და ორგანიზაციათა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, მართლმსაჯულების განხორციელებას, სოციალისტური კანონიერების დაცვასა და განმტკიცებას, მოქალაქეთა აღზრდას საბჭოთა კანონების ზუსტი და განუხრელი შესრულების, სახალხო დოვლათისადმი მზრუნველი დამოკიდებულების, შრომის დისციპლინის დაცვის, სხვა პირთა უფლებების, პატივისა და ღირსების, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის სულისკვეთებით.

ახალ დებულებაში პირველად არის ჩამოყალიბებული ადვოკატთა კოლე-

გის შექმნის წესი. ადვოკატთა კოლეგია იქმნება უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე პირთაგან შემდგარი დამფუძნებელი ჯგუფის განცხადებით ან შესაბამისი სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოს ინიციატივით. წინადადება ამის შესახებ ეგზავნება საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, რომელიც თანხმობის შემთხვევაში წარუდგენს ამ წინადადებას დასამტკიცებლად და სარეგისტრაციოდ შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს. დებულებით ჩვენს რესპუბლიკაში მოქმედებენ საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ადვოკატთა კოლეგიები. სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს თანხმობით შეიძლება შეიქმნას ადვოკატთა სატერიტორიათაშორისო კოლეგიები და სხვა კოლეგიები, თუ ამის საჭიროება წარმოიშობა მოქალაქეებისა და ორგანიზაციებისათვის იურიდიული დახმარების გასაწევად.

დებულებამ შეცვალა ადვოკატთა კოლეგიის აღმასრულებელი და საკონტროლო-სარევიზიო ორგანოების არჩევის წესი. თუ წინათ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმსა და სარევიზიო კომისიას ირჩევდნენ კოლეგიის წევრთა საერთო კრებაზე (კონფერენციაზე) ღია კენჭისყრით, ამჟამად ამ ორგანოებს ირჩევენ ფარული კენჭისყრით. ახალი წესი უფრო დემოკრატიულია და მეტ გარანტიას იძლევა ადვოკატურის ხელმძღვანელ ორგანოებში ღირსეული წევრების ასარჩევად, არჩევნებში მონაწილე პირთა ნამდვილი ნების გამოხატვას. ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმს უფლება აქვს განიხილოს კოლეგიაში მიღების, კოლეგიიდან გამოყვანის და გარიცხვის საკითხები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სხდომას ესწრება პრეზიდიუმის წევრთა შემადგენლობის ორი მესამედი მაინც. სიახლეა დებულებით დადგენილი ის წესი, რომ პრეზიდიუმის ან სარევიზიო კომისიის შემადგენლობიდან ერთ-ერთი წევრის გასვლის შემთხვევაში ახალი წევრის არჩევა შეიძლება მოხდეს დადგენილი წესით კოლეგიის წევრთა მორიგ საერთო კრებაზე (კონფერენციაზე).

ახლებურად არის გადაწყვეტილი მთელი რიგი საკითხები, რომლებიც ეხება კოლეგიის წევრთა უფლება-მოვალეობებს. დადგენილია, მაგალითად, რომ ადვოკატთა კოლეგიის წევრად მიიღება სსრ კავშირის მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და სპეციალობით მუშაობის არანაკლებ ორი წლის სტაჟი. კოლეგიის წევრად ამ პირთა მიღებას შეიძლება წინ უძღოდეს სამ თვემდე საგამოცდო ვადის გავლა. ძველი დებულებით, კოლეგიის წევრად მიღებისათვის სავალდებულო არ იყო სპეციალობით მუშაობის სტაჟი. ერთადერთი უპირატესობა, რომელიც აქვს იმ პირს, რომელსაც სპეციალობით მუშაობის არა ნაკლებ ორი წლის სტაჟი ჰქონდა, იყო ის, რომ ადვოკატურაში მას იღებდნენ სტაჟირების გაუვლელად. ახლა უსტაჟოდ ადვოკატთა კოლეგიის წევრად მიიღება მხოლოდ უმაღლესი იურიდიული სასწავლებლის კურსდამთავრებული კოლეგიაში ექვსი თვიდან ერთ წლამდე სტაჟირების გავლის შემდეგ.

ახალი დებულებით დაზუსტებულია ადვოკატთა კოლეგიის წევრობის შესყვეტის საფუძვლები. ამასთან დადგენილია, რომ ადვოკატის კოლეგიიდან გამოყვანა ან გარიცხვა შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოს წესით. ძველი დებულებით, ასეთ საჩივრებს განიხილავდა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო, რომელსაც უფლება ჰქონდა გაეუქმებინა ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის დადგენილება.

დებულებამ გააფართოვა საადვოკატო მომსახურებისა და დახმარების ფარგლები. იმ პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად, რომლებიც მოითხოვენ იურიდიულ დახმარებას, დებულება ითვალისწინებს ადვოკატთა წარმომადგენლობას არა მარტო სასამართლოში, არამედ ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციაში, რომელთა კომპეტენციაში შედის შესაბამისი საკითხების გადაწყვეტა. ამასთან, ადვოკატს უფლება აქვს კონსულტაციის სახელით გამოითხოვოს იურიდიული დახმარების გასაწევად საჭირო ცნობები, დახასიათებები და სხვა დოკუმენტები სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან, რომლებიც მოვალენი არიან დადგენილი წესით გასცენ ეს დოკუმენტები ან მათი პირები. აქამდე დოკუმენტების გამოთხოვა შეიძლებოდა მხოლოდ სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეების წარმოებასთან დაკავშირებით და ორგანიზაციები არ იყვნენ ვალდებული ვაეცათ ეს დოკუმენტები.

ახალ დებულებაში უფრო მკვეთრად არის ჩამოყალიბებული პროფესიული საიდუმლოების ინსტიტუტი, ურომლისოდაც წარმოუდგენელია საადვოკატო სამსახურის ნორმალურად განხორციელება, ადვოკატსა და მარწმუნებელს შორის ნდობისა და კეთილგანწყობის ატმოსფეროს შექმნა. ადვოკატს უფლება არა აქვს გაახმაუროს ცნობები, რომლებიც მიაწოდა მას მარწმუნებელმა იურიდიული დახმარების გაწევასთან დაკავშირებით. ამასთან, ადვოკატი არ შეიძლება დაიკითხოს მოწმედ იმ გარემოებათა გამო, რომლებიც მისთვის ცნობილი გახდა დამცველის ან წარმომადგენლის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით.

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციების შესაბამისად ადვოკატურის ახალი დებულება განსაზღვრავს, როდის ეწვევათ მოქალაქეებს უფასო იურიდიული დახმარება. ადვოკატთა კოლეგია უფასო იურიდიულ დახმარებას უწევს მოსარჩელებს პირველი ინსტანციის სასამართლოში ალიმენტის გადახდებიდან და შრომის საქმეების წარმოებისას, საშუაოსთან დაკავშირებული დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვაგვარი დაზიანებით მიყენებული და ამავე მიზეზით მარჩენლის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების საქმეებზე და ა. შ. უფასოდ ხდება ამომრჩეველთა რიგებში დაშვებული უსწორობის, აგრეთვე პენსიების და დახმარების დანიშვნის შესახებ მოქალაქეებისათვის განცხადებებისა და საჩივრების შედგენა. იურიდიული კონსულტაციები უფასოდ უწევენ კონსულტაციას, უდგენენ განცხადებას, საჩივარს და სხვა სამართლებრივ დოკუმენტს, რომელიც არ საჭიროებს სასამართლო საქმის გაცნობას, სსრ კავშირისა და სოციალისტური შრომის გმირებს, დიდებისა და შრომის დიდების ორდენების სამივე ხარისხის კავალერებს, „გმირი დედის“ ორდენით დაჯილდოებულ ქალებს, ვადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებს, სამამულო ომის ყველა ჯგუფის ინვალიდებს და ა. შ. გარდა ამისა, იურიდიული კონსულტაციის გამგეს, ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმს, აგრეთვე წინასწარი გამოძიების ორგანოს, პროკურორს და სასამართლოს, რომლის წარმოებაშიც არის საქმე, უფლება აქვთ ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით მოქალაქე გაათავისუფლოს მთლიანად ან ნაწილობრივ იურიდიული დახმარებისათვის საფასურის გადახდისაგან. ამ შემთხვევებში ადვოკატს შრომა აუნაზღაურდება კოლეგიის სახსრებიდან ან დადგენილი წესით სახელმწიფოს ხარჯზე.

ახალი დებულებით გაფართოებულია ადვოკატთა წახალისების ღონისძიებები. მაღლობის გამოცხადების, ფულადი პრემიისა და ფასიანი საჩუქრის გარდა დამატებით არის გათვალისწინებული ადვოკატის დაჯილდოება საპატიო სიგელით, საპატიო წიგნში და საპატიო დაფაზე შეტანა. მოვალეობის სანიმუშო შესრულებისათვის, ხანგრძლივი და უმწიკვლო მუშაობისათვის, აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობისათვის, ადვოკატთა წახალისების ზომების გამოყენება შეუძლიათ არა მარტო კოლეგიების პრეზიდიუმებს, არამედ აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, აგრეთვე სსრ კავშირის, საქართველოს სსრ, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ იუსტიციის მინისტრებს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იუსტიციის განყოფილების უფროსს.

უფრო დეტალურად არის მოწესრიგებული ადვოკატთა დისციპლინური ჰასუნისმგებლობის საკითხები, დისციპლინური სასჯელის დადებისა და მოხსნის წესი. დისციპლინური სახდელი გამოიყენება უშუალოდ გადაცდომის აღმოჩენისთანავე, მაგრამ არა უგვიანეს ერთი თვისა მისი გამოვლენის დღიდან. ადვოკატს სახდელი შეიძლება დაედოს გადაცდომის ჩადენის დღიდან ექვსი თვის შემდეგ. ერთ-ერთ სახელეს წარმოადგენს კოლეგიის პრეზიდიუმის უფლება გადააყენოს ადვოკატი სამუშაოდან საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე, თუ არსებობს იმის მონაცემები, რომ ადვოკატმა ჩაიდინა გადაცდომა, რისთვისაც იგი შეიძლება გაირიცხოს კოლეგიიდან.

ახალი დებულებით უფრო დემოკრატიულ საწყისებზეა გადაწყვეტილი ადვოკატურისა და სახელმწიფო ორგანოების ურთიერთობის საკითხები. დადგენილია, რომ ადვოკატთა კოლეგიებს საერთო ხელმძღვანელობას უწევს სახალხო დეპუტატთა საბჭოები და მათი განმკარგულებელი და აღმასრულებელი ორგანოები როგორც უშუალოდ, ისე იუსტიციის ორგანოების მეშვეობით. დაზუსტებულია იუსტიციის სამინისტროს კომპეტენციის ფარგლები ადვოკატთა კოლეგიის მიმართ. დებულებით იუსტიციის სამინისტრო კონტროლს უწევს ადვოკატთა კოლეგიის მიერ ადვოკატურის ორგანიზაციისა და საქმიანობის მომწესრიგებელი კანონების მოთხოვნათა დაცვას, ადგენს ადვოკატების მიერ მოქალაქეებსა და ორგანიზაციებისათვის იურიდიული დახმარების გაწევის წესს, ხელს უწყობს პრეზიდიუმს ადვოკატთა პროფესიული ღონისძიებების ღონისძიებათა განხორციელებაში, განაზოგადებს კოლეგიის მუშაობის პრაქტიკას და ორგანიზაციას უწევს მუშაობის დადებითი გამოცდილების გავრცელებას, გამოსცემს ინსტრუქციებსა და მეთოდურ რეკომენდაციებს ადვოკატურის საქმიანობის საკითხებზე, ახორციელებს საერთო ხელმძღვანელობასთან დაკავშირებულ სხვა უფლებამოსილებას. ამასთან დებულება ადგენს, რომ თუ ადვოკატთა კოლეგიის საერთო კრების (კონფერენციის) გადაწყვეტილება ან პრეზიდიუმის დადგენილება არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროებს შეუძლიათ შეაჩერონ მათი მოქმედება. ასეთ ვითარებაში საკითხი ხელახალი განხილვისთვის შეიძლება შეტანილ იქნეს ადვოკატთა კოლეგიის საერთო კრებაზე (კონფერენციაზე) ან პრეზიდიუმში.

აქამდე იუსტიციის სამინისტროს უფლება ქონდა გაერიცხა კოლეგიის წე

გრი, გაეუქმებინა საერთო კრებისა და პრეზიდიუმის ნებისმიერი გადაწყვეტილება, უშუალოდ შეემოწმებინა ადვოკატთა პროფესიული საქმიანობა, ახალი დებულებით იუსტიციის სამინისტრო საერთო საზედამხებდევლო ფუნქციებს წარმართავს იმ მიმართულებით, რაც უზრუნველყოფს კოლეგიისა და მისი წევრების მიერ კანონით მინიჭებული უფლებების სრულად გამოყენებას, დაკისრებული მოვალეობების შესრულებას, მოქალაქეთა და ორგანიზაციათა სამართლებრივი მომსახურების სთანადო ორგანიზაციას.

ასეთია, მოკლედ, საქართველოს სსრ ადვოკატურის შესახებ ახალი დებულების სიახლეები და ძირითადი მიმართულებები. ეჭვი არ არის, რომ ახალი დებულება და, რაც მთავარია, მისი პრაქტიკულად განხორციელება ხელს შეუწყობს ადვოკატურის ორგანოების საქმიანობის გაუმჯობესებას, საადვოკატო სამსახურის როლისა და ავტორიტეტის ამაღლებას. ამჟამად რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიაში მუშაობს 583 ადვოკატი. მათ შორის 63 პროცენტი სკკპ წევრია. 98 პროცენტს აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება. სასამართლოებში ადვოკატთა მონაწილეობით განიხილება თითქმის ყველა სისხლის სამართლის საქმე და სამოქალაქო დავის ნახევარზე მეტი. ყოველწლიურად იურიდიულ კონსულტაციებს სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე დახმარების გასაწევად მიმართავს 90 ათასამდე მოქალაქე. ადვოკატები მომსახურებას უწევენ ოთხასამდე წარმოება-დაწესებულებას, მოსახლეობას უკითხავენ 5 ათასზე მეტ ლექცია-მოსხივებას, მათი მონაწილეობით და ხელმძღვანელობით მოქმედებს 29 საზოგადოებრივი იურიდიული კონსულტაცია.

მოყვანილი ციფრებიც საკმარისია იმის საჩვენებლად, თუ მოქმედების რა დიდი სფერო და საშუალებები აქვს ადვოკატურას იმისათვის, რომ შესამჩნევ ზეგავლენას ახდენდეს ხალხის მართლშეგნებაზე, სოციალისტური კანონიერების დაცვის მდგომარეობაზე, ამა თუ იმ განსაზღვრული და განმწვავებული საქმისა თუ საკითხის ირგვლივ სწორი საზოგადოებრივი აზრის შექმნასა და ჩამოყალიბებაზე. ამიტომ არის, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი დიდ ყურადღებასა და ზრუნვას იჩენს ადვოკატურის ორგანოების საქმიანობის გაუმჯობესებისადმი. ამის ნათელი დადასტურებაა ის, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1978 წლის 29 აგვისტოს, რესპუბლიკის ადვოკატურის ისტორიაში პირველად, მიიღო სპეციალური დადგენილება ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის ორგანიზაციული საქმიანობის გაუმჯობესების დონისძიებათა შესახებ, რომელშიც ღრმად გაანალიზა რესპუბლიკაში საადვოკატო საქმიანობა, დასახა მისი გარდაქმნისა და გაუმჯობესების კონკრეტული პროგრამა. დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად და შესასრულებლად ბევრი რამ გაკეთდა. იურიდიული კონსულტაციის უმრავლესობამ მიიღო კეთილმოწყობილი ბინა, ორგანიზაციული ტექნიკა. უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე შემოდებულთა ადვოკატურის შესახებ სპეცკურსის სწავლება, აგრეთვე სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის გავლა ადვოკატურაში. შეიქმნა სასამართლო დაცვის საზოგადოებრივი ინსტიტუტი, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები კი უფრო ფართო პროპაგანდას უწევენ ადვოკატის პროფესიას და საქმიანობას.

ამ ბოლო წლებში, განსაკუთრებით კი ცენტრალური კომიტეტის აღნიშნული დადგენილების შემდეგ, პოზიტიური ძვრებია რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის და იუსტიციის სამინისტროს საქმიანობაში, დაისახა

და განხორციელდა ღონისძიებები ადვოკატთა მოღვაწეობის ხარისხისა და ეფექტიანობის ასამაღლებლად, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის გასამტკიცებლად, კადრების უკეთ შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის პრობლემების გადასაწყვეტად. მოეწყო ადვოკატთა ატესტაცია, ყოველწლიურად ტარდება კონკურსი საუკეთესო იურიდიული კონსულტაციის გამოსავლენად. კონსულტაციებისა და ცალკეული ადვოკატების საქმიანობის შემოწმებას, კონფერენციების მოწყობას, მეთოდოლოგიური წერილებისა და რეკომენდაციების შემუშავებას, მოწინავეთა გამოცდილების განზოგადებასა და გავრცელებას სისტემატური და მიზანმიმართული ხასიათი შეენიჭა.

განსახორციელებული ღონისძიებების შედეგად მნიშვნელოვნად გაფართოვდა საადვოკატო სამსახურის სფერო, ამაღლდა ადვოკატთა ქცევისა და წერის კულტურა. რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიის წევრთა უმრავლესობა განათლებული, კვალიფიციური, ღრმად იდეურია, მდიდარი ცხოვრებისეული და საზოგადოებრივი გამოცდილება აქვს. მაღალი პროფესიულობითა და კეთილსინდისიერი შრომით ხალხის საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა მოიპოვეს ადვოკატებმა ბ. ხომერიკმა, გ. უგრეხელიძემ, ნ. გიგინეიშვილმა, ა. ხოჭოლაძემ, მ. ალხაზიშვილმა, ა. ლომინაძემ, ვ. ყურაშვილმა, ნ. თუთბერიძემ, რ. თალაკვაძემ და ბევრმა სხვამ.

მიღწეული შედეგების მიუხედავად რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიის და იუსტიციის სამინისტროს საქმიანობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი. ჩვენ ძალიან ნელი ტემპით ვიბრძვით ადვოკატურაში ნამდვილი პარტიული, სახელმწიფოებრივი წესრიგის დასამყარებლად, ვერ ვახორციელებთ პრინციპულ ღონისძიებებს იმისათვის, რომ ადვოკატთა რიგები გაიწმინდოს სახელგატეხილი და არაკეთილსინდისიერი მუშაკებისაგან.

რესპუბლიკაში ნეგატიური მოვლენების აყვავების პერიოდში ფართოდ იყო გავრცელებული და არც ახლა არის მტკიცედ გადაარაზებული ადვოკატურის კარები დაბალი კვალიფიკაციისა და საექვო რეპუტაციის მქონე მუშაკებისათვის აღმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელები, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები პროკურატურისა და შინაგან საქმეთა ორგანოების თუ სხვა ხელმძღვანელ სამუშაოზე მყოფი იურიდიული განათლების მქონე უხეირო მუშაკების თავიდან მოსაცილებლად და გასაჩუმებლად ადვილად აყენებენ საკითხს ადვოკატურაში რატი მოწყობის შესახებ. ამ უშამდგომლობების უარყოფა ყოველთვის ვერ ხერხდება საერთო ინტერესებიდან ნაკლები ბოროტების პოზიციებიდან გამომდინარე. ასეთი მუშაკებისათვის ადვოკატურა წარმოადგენს ბოლო თავშესაფარს. აქედან მათი გასხვისებაც ძნელია და უმტკივნეულოდ თავიდან მოცილებაც. ამ და სხვა გარემოების შედეგად ადვოკატურაში თავი მოიყარა უკმაყოფილო, ყველაზე და ყველაფერზე განაწყენებული მუშაკების ერთმა ნაწილმა, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ დასაკარგავი უკვე დაკარგეს და მომართულნი არიან აკრძალული ილეთებით აწარმოონ ყოველგვარი ბრძოლა, მზად არიან ჩაებან ან წამოიწყონ ყოველნაირი ინტრიგა და დემაგოგია, ამკარად თუ ფარულად დაიცვან თავიანთი თუ სხვისი, კანონიერი თუ უკანონო პრეტენზიები. ამ კატეგორიის ხალხს კი ხშირად ყველა ერიდება და ეფერება, არავის უნდა მათი განაწყენება და გადამტერება, შით უმეტეს იმას, ვისაც თვითონაც აქვს ჩადენილი რაღაც ცოდვები. ამ კატეგორიის მუშაკების შესახებ ჩვენ ვერ ვიღებთ საკმაო ინფორმაციას, არ გავაჩნია მათი საქმიანო-

ბის კონტროლის არავითარი საიმედო სისტემა. მიუხედავად იმისა, რომ ზოგი ადვოკატი გამომწვევად და უხეშად იქცევა სასამართლო პროცესზე, უსაფუძვლო შუამდგომლობებითა და უადგილო რეპლიკებით ხელს უშლის მართლმსაჯულების განხორციელებას, მოურიდებლად წერს ათასგვარ ცილისმწამებლურ განცხადებებს, ძალიან იშვიათია მათ მიმართ კერძო განჩინების გამოტანისა თუ კანონით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების გამოყენების შემთხვევები. მსჯავრდადებული ბოროტი კი, როგორც დიდი ილია ამბობდა, მაცდურების მახეა, სადაც ადვილად ებმება ხასიათდაუდგრომელი კაცი.

ისიც უნდა ითქვას, რომ ადვოკატის კანონიერი და სამართლიანი საქმიანობაც ყველას და ყოველთვის არ ეხატება გულზე. ადვოკატის შეუზოგრობა კანონიერებისთვის თავგამოდებული ბრძოლა რატომღაც ზოგს აღიზიანებს და აღაშფოთებს. არიან პროკურორები და მოსამართლეები, რომლებიც ქედმაღლურად, აგდებულად უყურებენ პროცესში მონაწილე ადვოკატს, აბუჩად იგდებენ მის პროცესუალურ სტატუსსა და უფლებამოსილებას. საჭიროა ყველამ იცოდეს, რომ ადვოკატი ემსახურება კანონიერებას, ჭეშმარიტების დადგენას, მართლმსაჯულებას, რომელიც სწორად შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ადვოკატის კანონიერ მარწუხებში გავლილი მტკიცებებისა და ჭეშმარიტების საფუძველზე.

ადვოკატურის პრესტიჟსა და ავტორიტეტზე ზოგიერთი სხვა ობიექტური გარემოებაც ახდენს უარყოფითს გავლენას. ადვოკატს ზოგჯერ უწევს ისეთი ფუნქციის განხორციელება, ისეთი პოზიციის დაკავება, რომლებიც არასპეციალისტებისათვის გაუგებარია, მიუღებელია, შეუთავსებელია ობიექტურობისა და სამართლიანობის ელემენტარულ ნორმებთან. ადვოკატი ზოგჯერ იცავს ისეთ პარს, რომლის მიერ ჩადენილი დანაშაულით მთელი საზოგადოებაა აღაშფოთებული. ყველამ როდი იცის, რომ კანონის მიხედვით, ადვოკატი ვალდებულია დაიკავოს ბრალდებულის პოზიცია, რა უცნაური და ულოგიკოც უნდა იყოს იგი, თუ, მაგალითად, სამართალში მიცემული თავს არ ცნობს დამნაშავედ, ადვოკატი ვალდებულია ამტიცოს მისი უდანაშაულობა თუნდაც ეს ეწინააღმდეგებოდეს მის შინაგან რწმენას და საქმის ყველა ობიექტურ გარემოებას. ამასთან ადვოკატს უფლება არა აქვს უარი თქვას დაცვაზე მას შემდეგ, რაც მან ეს იკისრა. საგარეჯოს რაიონის სოფელ კაკაბეთში მომხდარი განხატურებული დანაშაულის, ფულის გამოძალვის მიზნით ბავშვის გატაცების შესახებ საქმის განხილვისას პროცესზე დამსწრე საზოგადოება გულწრფელად განცვიფრდა და აღშფოთდა კიდევ იმის გამო, რომ ადვოკატმა მთავარი დამნაშავის მიმართ მოითხოვა მსუბუქი სასჯელის შეფარდება, თუმცა კანონით ადვოკატს სხვა უფლება არ ჰქონდა, რადგანაც ანალოგიური პოზიცია ეკავა სამართალში მიცემულს. შესაძლოა ადვოკატს სავესებით სწორად და კანონიერად შეიძინდეს სასამართლოს განაჩენი, მაგრამ ვალდებულია გაასაჩივროს იგი, თუკი ამას დაყენებით მოითხოვს მსჯავრდადებული. ასეთი შემთხვევები და სიტუაციები მაინცდამაინც არ არის ტიპური და ხშირი. უფრო ხშირია, როცა ადვოკატი თავგზას უბნევს ისედაც მცდარ პოზიციაზე მდგარ მარწმუნებელს, ასწავლის დაცვის უკანონო ხერხებსა და მეთოდებს, მონაწილეობს ყალბი დოკუმენტების მოპოვებაში, ცრუმოწმის მომზადებაში და ა. შ. ასეთი მოქმედება კი არც კანონიერია და არც ეთიკური. თუ ზნეობრივ შეფასებასა და გაკიცხვას რაიმე ხარისხები აქვს, ალბათ ყველაზე გასაკიცხი და დასაგმობია კანონ-

ნიერებისა და სამართლიანობისათვის უკანონო და უსინდისო საშუალებებით ბრძოლა. ყველაზე შესაცოდის, ალბათ, თავის სიმართლეში უსაფუძვლოდ და ბრმად დარწმუნებული კაცია. ადვოკატს, რომელიც პატივს სცემს და ერთგულად ემსახურება თავის პროფესიას, ყოველთვის შეუძლია გავლენა მოახდინოს მარწმუნებელზე, ჩააყენოს იგი კანონიერებისა და სამართლიანობის ჩარჩოებში.

უფრო მეტი მუშაობა და ზრუნვა საჭირო ადვოკატურის ავტორიტეტის ასამაღლებლად, ადვოკატთა საყოფაცხოვრებო და სამუშაო პირობების გასაუმჯობესებლად, ადვოკატის უაღრესად რთული და საპატიო შრომის გამოსაჩენად და დასაფასებლად. დასამალი არ არის, რომ ჯერ კიდევ ნელა წყდება ადვოკატურის საქმიანობის გასაუმჯობესებლად დაყენებული საკითხები, ყოველთვის არ სრულდება ამ ხაზით დიდი შრომითა და ბრძოლით მიღწეული გადაწყვეტილებები.

ბევრი იურიდიული კონსულტაცია კვლავ შეუფერებელ ბინაშია მოთავსებული, არ გააჩნია სათანადო ორგანიზაციული ტექნიკა, ადვოკატები იშვიათად იღებენ კომუნალურ ბინებს, ჯილდოებს, საპატიო წოდებებსა და ა. შ. დროა იურიდიულმა კონსულტაციებმა, ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმებმა, რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს შესაბამისმა სამმართველომ ისე დააყენონ საქმე, რომ შეუმჩნეველი, სათანადო შეფასებისა და რეაგირების გარეშე არ რჩებოდეს ადვოკატთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობის დაუდევრად იმუშავებულ შემთხვევებს.

ეჭვი არ არის, რომ ახალი დებულების საფუძველზე მდიდარი ტრადიციების მქონე საქართველოს სსრ ადვოკატურა კვლავაც ერთგულად მოემსახურება რესპუბლიკაში სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებას, ორგანიზაციებისა და მოქალაქეთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვას.



ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ახალი კანონმდებლობით

3. ლორია,

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

1980 წლის 23 ოქტომბერს სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო კანონი „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლები“.¹

ეს ღიდმნიშვნელოვანი აქტი შემუშავებულია იმ გეგმის შესაბამისად, რომელიც 1977 წლის 12 დეკემბერს დაამტკიცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის კონსტიტუციასთან საბჭოთა კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. ამ გეგმით გათვალისწინებულია ისეთი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მიღება, როგორც არის: სასამართლოში თანამდებობის პირთა უკანონო მოქმედების გასაჩივრების წესის შესახებ, იმ ზარალის ანაზღაურების შესახებ, რომელიც მოქალაქეს მიაყენეს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, აგრეთვე თანამდებობის პირთა უკანონო მოქმედებით (გეგმის 21-ე პუნქტი). გარდა ამისა უკვე მომზადებულია აგრეთვე პროექტები ქვემდებარეობის წესით დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ, მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ და სხვ.

ამგვარად, „საფუძვლები“ იმ დიდი საკონსტიტუციო სამუშაოების შემადგენელი ნაწილია, რომელიც უნდა განხორციელდეს ჩვენს ქვეყანაში ადმინისტრაციული სამართლის ხაზით. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ, რომ მის შესაბამისად უნდა იყოს შემუშავებული და მიღებული მოკავშირე რესპუბლიკების კოდექსები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ, გასაგები გაჩნდება საფუძვლების უდიდესი მნიშვნელობა.

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, რომელიც ადმინისტრაციულ გადაცდომას მოჰყვება, ჩვეულებრივ არ არის დაკავშირებული სამსახურებრივ დაქვემდებარებასთან, ე. ი. პასუხისმგებაში მიცემული პირი სამსახურებრივად არ ექვემდებარება იმ ორგანოს (ან თანამდებობის პირს), რომლის წინაშეც იგი პასუხს აგებს ადმინისტრაციული წესით. მაგალითად, საწარმოში სახანძრო უსაფრთხოების წესების დარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დგება სახანძრო ზედამხედველობის ორგანოების წინაშე, გზებზე მოძრაობის წესების დარღვევისას — ავტონისპექტის წინაშე და ა. შ. დისციპლინური პასუხისმგებლობა შეიძლება მოჰყვეს მხოლოდ სამსახურებრივ დარღვევას და ამ დროს გამოიყენება დასჯის ისეთი ღონისძიებები, როგორც არის: გაფრთხილება, საყვედური, სხვა თანამდებობაზე გადაყვანა, სამუშაოდან (თანამდებობიდან) განთავისუფლება. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა კი ითვალისწინებს დასჯის ისეთ ღონისძიებებს (სახდლებს), როგორც არის: გაფრთხილება, ჯარიმა, კონფისკაცია, უფლების ჩამორთმევა (მაგალითად, მანქანის ტარების უფლებისა), ადმინისტრაციული პატიმრობა ვადით 15 დღემდე და სხვ. ამიტომ, როდესაც ვლაპარაკობთ ადმინისტრაციული წესით დასჯაზე, იგულისხმება არა დისციპლინური, არამედ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული გადაცდომისათვის.

ახალი კანონმდებლობით განსაზღვრულია ადმინისტრაციული გადაცდომის ფარგლები, მისი ხელყოფის ობიექტები, ეს ობიექტებია: სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგი, სოციალისტური საკუთრება, მოქალაქეთა უფლებები და თავისუფლებანი, მმართველობის დაღეწილი წესი. თუმცა მთელ რიგ შემთხვევებში როგორც დანაშაულს, ისე ადმინისტრაციულ-გადაცდომას ხელყოფის ერთი ობიექტი აქვთ (საზოგადოებრივი წესრიგი, სოციალისტური საკუთრება, მოქალაქეთა უფლებები და სხვა), მაგრამ მათ შორის განსხვავება ის არის, რომ დანაშაული საზოგადოებრივად საშიში ქმედებაა, ხოლო ადმინისტრაციული გადაცდომა მოკლებულია ამ ნიშანს. მაშინ, როდესაც ადმინისტრაციული გადაცდომა განმეორებით

¹ იხ. „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1980, № 44, მუხ. 909; შემდეგში შემოკლებისათვის ყველგან ვიხმართ — „საფუძვლები“.

² იხ. „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1977, № 51, მუხ. 764.

არის ჩადენილი, იგი იძენს საზოგადოებრივი საშიშროების თვისებას და გადაიზრდება დანაშაულში.

ეს დასკვნა ადმინისტრაციული გადაცდომის იურიდიული ბუნების შესახებ გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საფუძვლების მე-7 მუხლიდან, რომლის მიხედვით „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად (გადაცდომად) მიიჩნევა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, სოციალისტური საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელშეწყობის მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (ვანზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა“.

როგორც ვხედავთ, აქ მითითებული არის, რომ ადმინისტრაციული გადაცდომა შეიძლება შეიცავდეს საზოგადოებრივი საშიშროების ნიშნებს. ადმინისტრაციული გადაცდომის ეს განმარტება ფორმალურ განმარტებას წააგავს („რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა“), მაგრამ მასში მოცემულია მატერიალური განმარტების ნიშნებიც (მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული ქმედობა, ხელყოფის ობიექტები და სხვა).

რაც მთავარია, აქ კანონმდებელი სრულიად ნათლად აღიარებს, რომ ადმინისტრაციული გადაცდომა დანაშაულის მაგვარ საზოგადოებრივ საშიშ ქმედობას არ წარმოადგენს (მხოლოდ მართლსაწინააღმდეგო ქმედობაა) და მისი ხელყოფის ობიექტი არ შეიძლება იყოს: საბჭოთა საზოგადოებრივი ან სახელმწიფო წესწყობილება, მეურნეობის სოციალისტური სისტემა, პიროვნება, სოციალისტური მართლწესრიგი და სხვ., რომელთა ხელყოფა საქართველოს სსრ სსკ მე-8 მუხლით საზოგადოებრივად საშიშ ქმედობად არის მიჩნეული.

ძველი ნორმები ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ (რომელთაც ვადა გაუვიდათ 1981 წლის 1 მარტს, როდესაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საფუძვლები ძალაში შევიდა) მიღებულია 1961-1962 წლებში. კერძოდ ეს იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 19 აპრილს მიღებული ბრძანებულება „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ“, 1962 წლის 27 ივლისს კი დებულება „სახალხო დებუტატების რაიონული, საქალაქო, სასოფლო, სადაბო საბჭოების აღმასკომებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიების და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების წესის შესახებ“³, აგრეთვე სხვა საკანონმდებლო აქტები. ვანელიო დროის მანძილზე ისინი საკმაოდ მოძველდა და როგორც აღნიშნული იყო სსრ XXV ყრილობაზე⁴, აღარ შეესაბამებოდა ცხოვრების მოთხოვნებს. ამასთან მთელი რიგი საკითხები ამ კანონმდებლობით გადაუწყვეტელი იყო (მაგალითად, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ექვამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებანი, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შეცვლა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობით, ხანდაზმულობის ვადები, ადმინისტრაციული სახდელის გასაჩივრების შესაძლებლობა როგორც ზემდგომ ინსტანციაში, ისე სახალხო სასამართლოში და სხვ.). ყველა ეს საკითხი დღეს გადაწყვეტილია ახალი კანონით.

„საფუძვლები“ შედგება 4 კარისა და 42 მუხლისაგან და მოიცავს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ისეთ მატერიალურ და პროცესუალურ საკითხებს, როგორც არის: ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზოგადი დებულებანი (კარი I), ადმინისტრაციული სამართალდარღვევა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა (კარი II), ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის განსახილველად უფლებამოსილი ორგანოები (კარი III), ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეთა წარმოება (კარი IV).

„საფუძვლებმა“ გამოიწია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კომპეტენცია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის დარგში. სსრ კავშირის გამგებლობას განეკუთვნება: ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ კანონმდებლობის პრინციპების განსაზღვრა და ზოგადი დებულებების დადგენა, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის განსაზღვრა იმ წესების დარღვევისათვის, რომლებიც ეხება: პროდუქციის ტრანდარტიზაციასა და ხარისხს, საზომ საშუალებათა მოქცევაში გაშვებას, მოვლა-შენახვასა და მოხმარებას, აღრიცხვასა და სტატისტიკას, რკინიგზის, საჰაერო, საზღვაო და მიწადადენი ტრანსპორტის სა-

³ იხ. „საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1962, № 11, მუხ. 159; 1962 წ., № 23, მუხ. 377.

⁴ იხ. „სსკ XXV ყრილობის მასალები“, თბ., 1976, გვ. 114.

შეუღებთა მოძრაობის უსაფრთხოებას და ამ საშუალებებით სარგებლობას, საგზაო მოძრაობას, სამხედრო აღრიცხვას, სასაზღვრო რეჟიმს, საპასპორტო სისტემას, სანებართვო სისტემის ობიექტების (იარაღის, თოფისწამლის და სხვ.) შექმნას, შენახვას და გამოყენებას, საკარანტინო და სხვა ინფექციური დაავადებების შემოტანა-გავრცელებისაგან სსრ კავშირის ტერიტორიის დაცვას, ვალუტის მიმოქცევას, სსრ კავშირში უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა ცხოვრებას, საბაჟო წესებს, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში ამ სფეროებში მომხდარ ზოგიერთ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის თაობაზე საქმეთა განხილვას.

რაც შეეხება მოკავშირე რესპუბლიკებს, მათ გამგებლობაშია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ სხვა დანარჩენი საკითხების გადაწყვეტა. კერძოდ, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დადგენა იმ გადაცდომებისათვის, რომელთა გამოც პასუხისმგებლობა საკავშირო კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული, კერძოდ, ისეთ სფეროებში მომხდარი დარღვევისათვის, როგორც არის საზოგადოებრივი წესრიგი, მრეწველობაში, მშენებლობაზე, ტრანსპორტზე და სოფლის მეურნეობაში ტექნიკური უსაფრთხოებისა და შრომის დაცვის წესები, არაკომპერირებულ შინამრეწველთა და ხელისნაწარის რეგისტრაციის წესები, აღმოსავრული ჰაერის, ნიადაგის, წილისა და ტყეების, წყლის რესურსებისა და თევზის მარაგის დაცვის წესები, სახანძრო უსაფრთხოების, საავტომობილო და სამდინარო ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების და ამ სახეობის ტრანსპორტით სარგებლობის წესები, კავშირგამბულობის, სანიტარულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ეპიდსაწინააღმდეგო, აგრეთვე საკარანტინო და სხვა წესები.

558 91

„საფუძვლების“ მე-2 მუხლით მოკავშირე რესპუბლიკებში ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა უნდა განისაზღვროს კოდექსით, რომელიც გაითვალისწინებს პასუხისმგებლობას, არა მარტო რესპუბლიკის გამგებლობას განკუთვნილი სამართალდარღვევისათვის, არამედ საკავშირო გამგებლობაში შემავალი ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვისაც. ეს აუცილებელია იმიტომ, რომ „საფუძვლების“ მე-6 და 34-ე მუხლებით საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, სადაც რესპუბლიკებთან ერთად ვრცელდება საკავშირო კანონმდებლობაც.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის რესპუბლიკური კოდექსი უნდა შეიცავდეს გადაცდომის ხელყოფის ყველა საერთო და სპეციალურ ობიექტს. ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის კოდექსში, ჩვენი აზრით, უნდა შევიდეს ისეთი საკითხები, როგორც არის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზოგადი დებულებები, რომლებიც განსაზღვრულია საკავშირო საფუძვლებით, ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას იმ სამართალდარღვევებისათვის, რომლებიც ხდება მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, გზებისა და კავშირგამბულობის სფეროში, სოფლის მეურნეობის, საკარანტინო და ვეტერინარული ზედამხედველობის სფეროში, ვაჭრობისა და ფინანსების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის, სოციალისტური საკუთრების, საპასპორტო სისტემის, სასაზღვრო რეჟიმისა და სამხედრო აღრიცხვის სფეროში, შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და სანიტარიული ზედამხედველობის, სახანძრო უსაფრთხოების, ბუნების დაცვის, მიწათსარგებლობის, საბინაო ურთიერთობის და სხვა სფეროებში.

კოდექსში ყველა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის თავმოყრა და მათთვის პასუხისმგებლობის განსაზღვრა საგრძნობლად შეუწყობს ხელს სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, ორგანიზაციების, საწარმოთა და დაწესებულებათა ნორმალურ მუშაობას.

ჩვენი აზრით, კოდექსში არ უნდა იქნეს შეტანილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეთა განიხილვის პროცესუალური საკითხები, ვინაიდან ყოველი კოდექსის იურიდიული ბუნება მოითხოვს, რომ იგი იყოს ან მატერიალური ან პროცესუალური. სამართლის არც ერთი დარგის კოდექსი არ შეიცავს შერეულ (მატერიალურ და პროცესუალურ) ნორმებს. თუ ასეთი შერეული ნორმების არსებობა საკავშირო საფუძვლებში დასაშვებია, იგი დაუშვებელია კოდექსშიც, მით უფრო ადმინისტრაციულში, სადაც ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში მიმოქცევილი ორგანოები განსხვავდებიან ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობის დამკისრებელი ორგანოებისაგან (მილიციის ორგანოები და ადმინისტრაციული კომისიები ან სასამართლოები).

„საფუძვლებმა“ საგრძნობლად შეამცირა იმ ორგანოთა და თანამდებობის პირთა წრე, რომლებსაც უფლება აქვთ განიხილონ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეები. 26-ე მუხლით ასეთ ორგანოებად მიჩნეულია: ადმინისტრაციული კომისიები, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომები, არასარულწლოვანთა საქმეების კომისიები, სახალხო სასამართლოები, შინაგან საქმეთა ორგანოები და სახელმწიფო ინსპექციების ორგანოები.

ქ. მარტოხიძის ს. ...

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მოკვლევის ორგანოთა დიდი რიცხვი და ასეთ დარღვევათა განხილველ ორგანოთა რაოდენობის საგრძნობლად შემცირება მოითხოვს ცალცალკე განესაზღვროთ მათი მატერიალური და პროცესუალური კომპეტენცია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის სფეროში. ჩვენი აზრით მიზანშეწონილია, ადმინისტრაციული გადაცდომის საქმეთა წარმოება გათვალისწინებულ იქნეს ცალკე დებულებით ან სხვა საკანონმდებლო აქტით, როგორც ეს ხდება დებულებით ადმინისტრაციული კომისიებისა და ადმინისტრაციული საქმისწარმოების შესახებ.

ახალი კანონმდებლობა საგრძნობლად აფართოებს დემოკრატიულ საწყისებს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სფეროში. კერძოდ, იგი ამცირებს იმ დარღვევათა წრეს, რომელთათვისაც შეიძლება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა საკავშირო კანონმდებლობით (მუხ. 3) და საჭიროდ თვლის, რომ ადმინისტრაციული პატიმრობა გადაცდომისათვის მხოლოდ საკავშირო საკანონმდებლო აქტებით განისაზღვროს (მუხ. 12). ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაწესება ამა თუ იმ დარღვევებისათვის შეუძლიათ მხოლოდ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლეს ორგანოებს, ხოლო ადგილობრივ საბჭოებს (გარდა სადაბო და სასოფლო საბჭოებისა) მხოლოდ იმ ფარგლებში, რომლებსაც მათ განუსაზღვრავენ მოკავშირე რესპუბლიკების ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები.

„საფუძვლებმა“ გაითვალისწინა სსრ კავშირის ფარგლებიდან უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა ადმინისტრაციული გაძევება იმ სამართალდარღვევებისათვის, რომლებიც უხეშად არღვევენ საბჭოთა მართლწესრიგს (მუხ. 12). ადმინისტრაციული პატიმრობა არ შეიძლება შეეფარდოს ორსულ ქალებს, 12 წლამდე ასაკის ბავშვთა დედებს 19 წლის ასაკს მიუღწევად პირებს, I და II ჯგუფის ინვალიდებს (მუხ. 19).

ადმინისტრაციულ პასუხისმგებაში მიცემულ პირს დიდი უფლებები აქვს მინიჭებული, კერძოდ მას შეუძლია: გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტება, განაცხადოს უშამდგომლობა, საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით, გამოვიდეს დედაენაზე და ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით, გასაჩივროს საქმეზე მიღებული ყველა დადგენილება (მუხ. 35), ამასთან კანონი ითვალისწინებს დადგენილების გასაჩივრებას, როგორც ზემდგომ ინსტანციაში, ისე სახალხო სასამართლოში (მუხ. 39), რაც მოქმედი კონსტიტუციის 58-ე მუხლის მოთხოვნიდან გამომდინარეობს.

„საფუძვლებმა“ შემოიღო მთელი რიგი ადმინისტრაციულ-პროცესუალური სიახლენი. მე-4 კარში განსაზღვრულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეთა წარმოების ამოცანები. ეს არის: საქმის ყოველ გარემოებათა დროული, ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევა, მისი გადაწყვეტა ზუსტად კანონმდებლობის შესაბამისად, გამოტანილი დადგენილების შესრულების უზრუნველყოფა, აგრეთვე ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების გამოკვლევა, სამართალდარღვევათა თავიდან აცილება, მოქალაქეთა აღზრდა კანონიერების სულისკვეთებით, სოციალისტური კანონიერების განმტკიცება.

ადმინისტრაციული გადაცდომის საქმეთა განხილვის ეს ოცანები ვრცელდება ადმინისტრაციული საქმის წარმოების სხვა ფორმებზეც (მოქალაქეთა განცხადებებისა და საჩივრების საქმისწარმოებაზეც, ადმინისტრაციული დავის, დისციპლინური გადაცდომის საქმის წარმოებაზეც და სხვ.). უნდა აღინიშნოს, რომ „საფუძვლებში“ მოცემული არ არის ადმინისტრაციული საქმის წარმოების პრინციპები, რომლებსაც უნდა ეყრდნობოდეს ადმინისტრაციული პროცესი საქმეთა განხილვისას. იგი უნდა განსაზღვროს რესპუბლიკურმა კანონმდებლობამ ადმინისტრაციული საქმის წარმოების შესახებ.

ჩვენ ვთვლით, რომ ადმინისტრაციული პროცესის პრინციპებად მიჩნეულ უნდა იქნეს შემდეგი: მშრომელი მასების მონაწილეობა პროცესში, სოციალისტური კანონიერება, საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევა, პროცესის მონაწილეთა თანასწორობა კანონის წინაშე და მხარის დაქვემდებარება საქმის განმხილველ ორგანოსადმი (მხარეების უთანასწორობა), პროცესის მონაწილეთა უფლებების უზრუნველყოფის გარანტირება, პროცესის საჯარობა, პროცესის ეროვნული ენა, პროცესის სისწრაფე, ეფექტიანობა, ეკონომიურობა, პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული პროცესის წესების დარღვევისათვის, პროცესის უსასყიდლობა.

ზაზვასმით უნდა ითვას, რომ „საფუძვლები“ ზუსტად ადგენს ადმინისტრაციულ-პროცესუალურ ვადებს, რაც ძველი კანონმდებლობით მთელ რიგ შემთხვევებში არ იყო განსაზღვრუ-

ლი. კერძოდ. „საფუძვლების“ 23-ე მუხლში აღნიშნულია, რომ ადმინისტრაციული სახდელი შეიძლება დადებულ იქნეს არა უგვიანეს ორი თვისა სამართალდარღვევის ჩადენის დღიდან, ხოლო როცა სამართალდარღვევა დენადია, — არა უგვიანეს ორი თვისა მისი აღმოჩენიდან. სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის ან სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შემთხვევაში, როცა დამრღვევის მოქმედებაში არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ნიშნები, ადმინისტრაციული სახდელი შეიძლება დადებულ იქნეს სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმისა ან მისი შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან არა უგვიანეს ერთი თვისა. ეს ვადები არ ვრცელდება მხოლოდ კონტრბანდის საგნების კონფისკაციაზე, რაც სსრ კავშირის საბაჟო კოდექსის საფუძველზეა მოწესრიგებული.

რაც შეეხება ადმინისტრაციული სახდელების დადების შესახებ დადგენილებების აღსრულებას, იგი ძირითადად ისეთივე დარჩა, როგორც ძველ კანონმდებლობაში იყო. კერძოდ, ჯარიმა გადახდილი უნდა იქნეს დადგენილების გამოტანიდან 15 დღის განმავლობაში, ხოლო დადგენილების გასაჩივრების ან გაპროტესტების შემთხვევაში — არა უგვიანეს ოხუთმეტ დღისა იმ შეტყობინების მიღების დღიდან, რომ საჩივარი ან პროტესტი უშედეგოდ არის დატოვებული. თუ ჯარიმა ამ ვადაში არ იქნა გადახდილი, იგი დამრღვევს გადახდება იძულებითი წესით. ადმინისტრაციული სახდელების აღსრულების საბოლოო ვადაა სამი თვე მათი გამოტანის დღიდან (მუხ. 42).

„საფუძვლებმა“ განსაზღვრა აგრეთვე ზოგიერთი აღმკვეთი და სახდელის შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების წესი, რაც მეტად მნიშვნელოვანია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გამოყენების პროცესში. კერძოდ, საფუძვლების 33-ე მუხლში აღნიშნულია, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა აღკვეთის, ოქმების შედგენის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეთა დროული და სწორი განხილვისა და გამოტანილ დადგენილებათა შესრულების მიზნით დაიშვება პირის ადმინისტრაციული დაკავება, პირადი გასინჯვა, ნივთების გასინჯვა და დოკუმენტების ჩამორთმევა.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი პირის დაკავება არ უნდა გაგრძელდეს სამ საათზე მეტ ხანს, იმ შემთხვევების გარდა, როცა განსაკუთრებული აუცილებლობის გამო სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტებით დაწესებულია ადმინისტრაციული დაკავების სხვა ვადები. ამასთან დაკავების ვადა ინაგარიშება ოქმის შესადგენად დამრღვევის მიყვანის მომენტიდან, ხოლო ნასვამი პირისათვის — მისი გამოფხიზლების დროიდან.

„საფუძვლებმა“ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო დადგენილების გასაჩივრებას და გაპროტესტებას, რომელიც მოწესრიგებულია 39-ე მუხლით.

„საფუძვლებმა“ გაითვალისწინა სსრ კავშირის კონსტიტუციის 58-ე მუხლით დადგენილი წესი ადმინისტრაციული აქტის სასამართლოში გასაჩივრების შესახებ. ადმინისტრაციულ პასუხისმგებაში მიცემულ პირს აქვს უფლება გასაჩივროს მის მიმართ გამოტანილი სახდელი ზემდგომ ინსტანციაში, ან სახალხო სასამართლოში. ამასთან გათვალისწინებული არ არის საჩივრის გადაწყვეტის პრეიულიციალური წესი, რომლითაც აუცილებელია დავა ჯერ განხილოს ზემდგომმა ინსტანციამ და შემდეგ სასამართლომ. პირს შეუძლია პირდაპირ სასამართლოს მიმართოს თავისი ინტერესების და უფლებების დასაცავად.

გასაჩივრების უფლება მინიჭებული აქვთ როგორც იმ პირებს, რომელთა მიმართაც არის გამოტანილი დადგენილება ადმინისტრაციულ პასუხისმგებაში მიცემის შესახებ, ასევე დაზარალებულებსაც.

სხვა ორგანოს დადგენილება (გარდა ადმინისტრაციული კომისიებისა, არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებისა, სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასკომებისა) ჯარიმის გარდა სხვაგვარი ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ (მაგალითად, უფლებების ჩამორთმევა, კონფისკაცია, რეკვიზიცია) შეიძლება გასაჩივრდეს მას შემდეგ, რაც საჩივარი განხილულ იქნა ზემდგომ ინსტანციაში (ზემდგომ თანამდებობის პირთან) და არ იყო დაკმაყოფილებული. ასეთი გასაჩივრება პრეიულიციალურ წესს გულისხმობს და წარმოადგენს სასარჩელო წარმოების ანარეკლს ადმინისტრაციულ პროცესში.

ვეფიქრობთ, პრეიულიციალური წესი ადმინისტრაციულ პროცესში მიზანშეწონილი არ

⁵ ასეთი წინადადება ჩვენ პირველად წამოვაყენეთ ჯერ კიდევ 1967 წელს, იხ. ვ. ლორია, შრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომების ადმინისტრაციული კომისიები, თბ., 1967, გვ. 82; მისივე «Конституция СССР и актуальные вопросы кодификации советского административно-процессуального права», ТГУ, 1969, стр. 13 и др.

არის, ვინაიდან ზემდგომ ინსტანციაში სავალდებულო განხილვის მოთხოვნისას საჩივრის განხილვა კიანურდება, მოქალაქის კანონიერი ინტერესები ირღვევა და შეიძლება სადაო საკითხმაც დაკარგოს თავისი აზრი. ხოლო ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ზემდგომი ინსტანციის მიერ საჩივრის განხილვის გაკვიანურებისათვის დაწესებული არ არის.

ყოველივე ამის გამო მოქალაქეს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა გაასაჩივროს უშუალოდ სახალხო სასამართლოში დადგენილება ნებისმიერი ადმინისტრაციული სახდელის დაქირების შესახებ.

ყველაზე დიდი უხერხულობა, რომელსაც „საფუძვლების“ 39-ე მუხლი იწვევს ის არის, რომ „რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს (სახალხო მოსამართლის) დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ საბოლოოა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეთა წარმოების წესით გასაჩივრებას არ ექვემდებარება გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საკანონმდებლო აქტებით“.

აქ გამოჩნდება ალბათ, შეეხება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებულ პირებს, რომლებსაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლი 8 თებერვლის ბრძანებულებით დანაშაულის სიმცირის გამო შეიძლება შეეფარდოთ ადმინისტრაციული სახდელის ზომები⁷. მაგრამ, თუ ასეთ შემთხვევებში შეიძლება ადმინისტრაციული სახდელის გასაჩივრება ზემდგომ საკასაციო ინსტანციაში, რატომ სხვა შემთხვევებში (ადმინისტრაციული გადაცდომების ჩადენისას) არ უნდა იყოს ნებადართული იმავე ხასიათის და მოცულობის იმავე ადმინისტრაციული სახდელის ზემდგომ საკასაციო ინსტანციაში გასაჩივრება?

მართალია, სასამართლო კვალიფიციური სპეციალური იურიდიული დაწესებულება და მისი აქტები კანონის ზუსტი შესაბამისობით მიიღება, მაგრამ მოსამართლეს ხომ ადამიანია და მისგანაც მოსალოდნელია შეცდომები, და მისი გამოსწორების შესაძლებლობაც უნდა იყოს გათვალისწინებული კანონმდებლობით.

სასამართლო ბევრჯერ მოქალაქის მეტად მნიშვნელოვან უფლებებს წყვეტს (უფარდება ადმინისტრაციულ პატიმრობას, გამასწორებელ სამუშაოებს, ჩამოართმევს მანქანის ტარების ან ნადირობის უფლებას და სხვ.) და ამ დროს მოქალაქეს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა გაასაჩივროს სასამართლოს (მოსამართლის) ნებისმიერი მოქმედება, რომელიც მის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს ლახავს.

ამის უფლებას მოქალაქეს ანიჭებს სსრ კავშირის კონსტიტუციის 58-ე მუხლი, რომლის თანახმადაც თანამდებობის პირის მოქმედება, რომელიც არღვევს კანონს, ამეტებს უფლებამოსილებას. ლახავს მოქალაქეთა უფლებებს, შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში. უეჭველია, რომ მოსამართლეებზე თანამდებობის პირთა კატეგორიაში შედიან და მათი უკანონო მოქმედების გასაჩივრება შესაძლებელი უნდა იყოს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში.

მმართველობის ინსტანციაში შეტანილი საჩივარი პრაქტიკაში უბრუნდება ქვემდგომ ინსტანციას და, საბოლოო ანგარიშით, თანამდებობის იმ პირს, ვისაც უჩივიან. ამის აღსაკვეთად კონსტიტუციამ დააწესა თანამდებობის პირის უკანონო მოქმედების გასაჩივრება სახალხო სასამართლოში. მაგრამ, თუ მოქალაქე სახალხო სასამართლოშიც ვერ იპოვის სიმართლეს, მას შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს დაიცვას იგი ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში. ამას მოითხოვს სოციალისტური მართლშეგნება, ამას მოითხოვს სოციალისტური კანონიერების ლენინური პრინციპი.

რაკი სისხლის სამართლის და სამოქალაქო სამართლის საქმეებზე გამოტანილი სასამართლო აქტების გასაჩივრება შესაძლებელია ზემდგომ ინსტანციაში, ასეთივე წესი უნდა იყოს გათვალისწინებული ნებისმიერი ადმინისტრაციული საქმის განხილვის დროსაც. ეს თვით სასამართლოებისთვისაც აუცილებელია, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კონტროლი ქვემდგომი სასამართლოების მიმართ, რათა დაცული იქნეს სოციალისტური კანონიერება სასამართლოების მუშაობაში.

⁶ ჩენი მსახურება ამ საკითხზე, იხ. ჟურნალში «Советское государство и право», 1980, № 11, გვ. 95.
⁷ იხ. „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1977, № 7, მუხ. 117.

შრომითი დაჯავი და მათი ნაკომობის მიზანუბი

თ. ლილუაშვილი

1. სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლების ძირითადი მიმართულებების პროექტში აღნიშნულია, რომ მომავალი ხუთწლეული ახალი დიდი ეტაპია კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში, საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარებაში, ახალი ადამიანის ჩამოყალიბებაში. თხზმოციან წლებში კომუნისტური პარტია კვლავ თანამიმდევრულად განახორციელებს თავის ეკონომიკურ სტრატეგიას, რომლის უმაღლესი მიზანია ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება, უკეთესი პირობების შექმნა იმისათვის, რომ ყოველმხრივ განვითარდეს პიროვნება მთელი საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების, შრომის ნაყოფიერების გადიდების, საბჭოთა ადამიანების სოციალური და შრომითი აქტიურობის ზრდის საფუძველზე.

ცხადია, პარტიის მიერ დასახული ეკონომიკური და სოციალური ამოცანების განსახორციელებლად ჩვენი სახელმწიფო იყენებს მის ხელთ არსებული პოლიტიკური ხელისუფლების ყველა ინსტრუმენტს და მათ შორის სამართალს.

სამართლის ყველა დარგი, მეტ-ნაკლებად, მოწოდებულია ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას, ეკონომიკური ამოცანების წარმატებით განხორციელებას, მაგრამ მათ შორის შრომის სამართალს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს: საქმე ის არის, რომ შრომის სამართალი აწესრიგებს მუშისა და მოსამსახურის შრომით ურთიერთობას. ესე იგი ურთიერთობას, ურომლისოდაც რაიმე სოციალურ-ეკონომიკური ამოცანის განხორციელებაზე ლაპარაკი ზედმეტია. შრომის სამართალი, როგორც ეს აღნიშნულია საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის პირველ მუხლში, ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების ზრდას, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას და ამ საფუძველზე მშრომელთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებას, შრომის დისციპლინის განმტკიცებას და საზოგადოების საკეთილდღეო შრომის თანდათან გადაქცევას თითოეული შრომისუნარიანი ადამიანის უპირველეს სასიცოცხლო მოთხოვნილებად.

ამ უაღრესად მნიშვნელოვანი ფუნქციის სრული გათვალისწინებით არის აგებული შრომის სამართლის ყველა ინსტიტუტი და შრომის კანონმდებლობა მთლიანად. მაგალითად, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება ბევრად არის დამოკიდებული შრომის სწორ ორგანიზაციაზე. შრომის ორგანიზაციასთან დაკავშირებით წარმოშობილ საზოგადოებრივ ურთიერთობათა დიდ ნაწილს კი აწესრიგებს შრომის სამართალი, რომელიც საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციას ავალებს, სწორად მოაწყოს მუშებისა და მოსამსახურეების შრომა, შექმნას შრომის ნაყოფიერების ზრდის პირობები, უზრუნველყოს შრომისა და საწარმოო დისციპლინა, ყურადღებით მო-



ეკიდოს მუშაკთა საჭიროებებსა და მოთხოვნებებს, გააუმჯობესოს მათი შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობები. კანონმდებლობა აწესრიგებს მოქალაქეთა შრომაში ჩაბმას, სამუშაო დროს, დასვენების დროს, მუშა-მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და შრომის პირობების საკითხებს, შრომის დისციპლინას, შრომის ნორმებს და ა. შ.

2. თუმცა შრომის კანონმდებლობა საკმაოდ დეტალურად განსაზღვრავს შრომითი ურთიერთობის მონაწილეთა უფლებებსა და მოვალეობებს, ესე იგი ერთი მხრივ, მუშებისა და მოსამსახურეების შრომითს უფლებებსა და მოვალეობებს, ხოლო, მეორე მხრივ, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციის უფლებებსა და იურიდიულ მოვალეობებს, არც ისე იშვიათად შრომითი ურთიერთობის მონაწილეთა შორის წამოიჭრება დავა, რომელსაც შრომით დავას უწოდებენ იმის გამო, რომ იგი შრომის სამართლით მოწესრიგებულ ურთიერთობიდან გამომდინარეობს.

რა არის შრომითი დავა?

ფართოდ გავრცელებული შეხედულებით, შრომითი დავა — ეს არის უთანხმოება, ერთი მხრივ, მუშა-მოსამსახურესა და, მეორე მხრივ, საწარმო-დაწესებულების ადმინისტრაციას შორის, რომელიც ვერ მოგვარდა მათ შორის უშუალო მოლაპარაკებით და ამიტომ განსახილველად გადაეცა შრომითი დავის განმხალველ ორგანოს.

სხვანაირად რომ ვთქვათ, უთანხმოება შრომითი ურთიერთობის მონაწილეებს შორის გადაიზრდება შრომით დავაში მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც დაინტერესებული მხარე მიმართავს შრომითი დავის განმხილველ ორგანოს განცხადებით განიხილოს და გადაწყვიტოს ეს უთანხმოება¹.

შრომითი დავების წარმოშობის თავიდან აცილების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა იმის ნათლად გარკვევა, თუ რა არის შრომითი დავა, როგორია მისი არსი. თუ კაოვად არ გვაქვს წარმოდგენილი რის წინააღმდეგ ვიბრძვით. მაშინ ვერც დავსახავთ ბრძოლის ეფექტიან ღონისძიებებს. ამიტომ, საკითხი, თუ რა არის შრომითი დავა, უწინარეს ყოვლისა პრაქტიკული საკითხია.

ვფიქრობთ, რომ შრომითი დავის ზემოთ მოყვანილი განმარტება არსებითად სწორი არ არის და არ შეესაბამება კანონმდებლობის აზრსა და შინაარსს.

შრომითი დავა, ისევე როგორც ყოველგვარი დავა საერთოდ — ეს არის უთანხმოება. ამ მხრივ იგი არაფრით არ განსხვავდება სამართლის სხვა სფეროში წარმოშობილი დავებისაგან. შრომითს, როგორც აღვნიშნეთ, მას იმიტომ უწოდებენ, რომ ხაზი გაუსვან დავის სფეროს, ესე იგი იმას, რომ დავა ეხება შრომის სამართლით მოსაწესრიგებელ ურთიერთობას. ეს არის და ეს. ამით ამოიწურება შრომითი დავის სპეციფიკაცია. სხვა მხრივ კი იგი არაფრით არ განსხვავდება სამართლის სხვა დარგებით მოწესრიგებული ურთიერთობიდან გამომდინარე დავებისაგან. მაგალითად, თუ შრომითი ურთიერთობის ერთი მონაწილე, ვთქვათ მუშა ან მოსამსახურე, ფიქრობს, რომ მისი უფლება დაარღვეეს ან ხელს უშლიან ამ უფლების განხორციელებაში, ხოლო ურთიერთობის მეორე მონაწილე, კერძოდ საწარმო-დაწესებულების ადმინისტრაცია კი ფიქრობს, რომ არ არღვევს ამ უფლებას და არც რაიმე დაბრკოლებას

¹ См. В. И. Смолячук. Законодательство о трудовых спорах. М., 1966. с. 7—12; А. А. Ключев, А. Ф. Маврин. Трудовые споры, М., 1978, с. 5, Трудовое право. Энциклопедический словарь, М., 1979, с. 667.

ქმნის მის განსახორციელებლად, მაშინ ჩვენ წინაშეა უთანხმოება შრომითი ურთიერთობის მონაწილეთა შორის, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ დავა, იმისდა მიუხედავად, მიმართავენ მხარეები ამ უთანხმოების გადასჭრელად სათანადო კომპეტენტურ ორგანოს, თუ არა. ორგანო, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს შრომითი უთანხმოება, ცხადია, არ მონაწილეობს ამ უთანხმოების წარმოშობაში და ვერც ვერავითარ ზეგავლენას მოახდენს მის არსზე. უთანხმოება წარმოიშობა და ვითარდება მისგან დამოუკიდებლად. შრომითი დავის წარმოშობა მართლა დამოკიდებულია რომ იყოს შესაბამის კომპეტენტურ ორგანოსათვის მათს განსახილველად გადაცემაზე, მაშინ ასეთი დავების წარმოშობის მიზეზები უნდა გვეძებნა არა იქ, სადაც ეს მიზეზები ნამდვილად არსებობს, არამედ იქ, სადაც შეიძლება გამოვავლინოთ არა შრომითი დავის წარმოშობის მიზეზები. არამედ ასეთი დავების მოუგვარებლობის მიზეზები. მაგრამ ეს აშკარა შეცდომაა იქნებოდა. ის, თუ რა იწვევს შრომითი დავების (უთანხმოების) წარმოშობას და რატომ ვერ მოგვარდა ეს დავა უშუალოდ მოდღვე მხარეების მიერ და რატომ გადასცეს იგი მოსაგვარებლად შრომითი დავის განმხილველ ორგანოს (შრომითი დავის კომისიას, პროფკავშირის კომიტეტს, სასამართლოს), ორი სხვადასხვა საკითხია. მათი ერთმანეთში არევა დაუშვებელია, თუ ჩვენ გვინდა ამ სუეროში ეფექტიანი ღონისძიებების დასახვა.

ამრიგად, შრომითი დავა — ეს არის უთანხმოება შრომის სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა შორის, რომელიც წარმოიშობა ამ ურთიერთობიდან გამომდინარე უფლებებისა და მოვალეობების განხორციელების გამო.

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში ერთხმად აღიარებული შეხედულების თანახმად, შრომითი დავების წარმოშობის მიზეზებია შრომის კანონმდებლობის დარღვევა, შრომის სამართლის ნორმების არაერთგვაროვანი გაგება, მუშა-მოსამსახურეთა მხრივ თავიანთი შრომითი მოვალეობის შეუსრულებლობა ან არასათანადოდ შესრულება. საწარმო-დაწესებულების ადმინისტრაციის ცალკეული წარმომადგენლის ბიუროკრატიული დამოკიდებულება მუშაკთა კანონიერი მოთხოვნებისადმი, შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე უფლებებისა და მოვალეობების მოცულობათა განსაზღვრაში კეთილსინდისიერი შეცდომა როგორც ადმინისტრაციის, ისე მუშა-მოსამსახურეთა მხრივ, შრომის სამართლის ნორმების უცოდინარობა, ამ ნორმების მცდარი განმარტება, ნაკლოვანებანი მორალური და მატერიალური სტიმულების გამოყენების პრაქტიკაში. ნაკლოვანებანი შრომის პირობებისა და საერთოდ, შრომის ორგანიზაციის საქმეში და ა. შ.²

როგორც ვხედავთ, აქ ერთმანეთშია არეული შრომითი დავების წარმოშობის მიზეზები და პირობები. მაგალითად, შრომითი უფლების დარღვევა, ან კიდევ ამ უფლების განხორციელებაში ხელის შეშლა, ნამდვილად წარმოშობს შრომითს დავას, მაგრამ შრომის კანონმდებლობის ცალკეული ნორმების არცოდნა, ან კიდევ არაკეთილსინდისიერება, ბიუროკრატიზმი და ა. შ. მართალია, ქმნიან შრომითი დავის წარმოშობის პირობას, მაგრამ თავისთავად და დამოუკიდებლად ისინი შრომითს დავას ვერ წარმოშობენ. შრომითი დავა რომ წარმოიშვეს, საჭიროა შრომითი უფლების დარღვევა ან მისი განხორციელებ-

² См. В. И. Смоллярчук. Указ. соч., с. 13; А. А. Клюев, А. В. Маврин. Указ. соч., с. 4—5; Советское трудовое право, Под ред. Н. Г. Александрова, М., 1972, с. 506—507. Трудовое право. Энциклопедический словарь, М., 1979, с. 667.

ბისათვის დაბრკოლების შექმნა. თანაც აუცილებელი არ არის, რომ შრომითი უფლება ნამდვილად დაირღვეს. შრომითი დავის წარმოშობისათვის საკმარისია, რომ სამართლებრივი ურთიერთობის ერთ-ერთმა მხარემ მისი უფლება დარღვეულად მიიჩნიოს. ნამდვილად დაირღვა თუ არა ეს უფლება — ამას შრომითი დავის განმხილველი ორგანო ვაარკვევს.

3. შრომითი დავა, რა მიზეზითაც უნდა იყოს იგი წარმოშობილი, ყოველთვის ქმნის უფლების დროებით განუსაზღვრელობას, რადგან ასეთ პირობებში მოვალეობა არ სრულდება და უფლება ვერ ხორციელდება, სამართლით მოწესრიგებული შრომითი ურთიერთობა აღარ ვითარდება სასურველი მიმართულებით, ირღვევა კანონით განსაზღვრული წესრიგი. ცხადია, რაც უფრო დიდხანს გრძელდება კონფლიქტი შრომითი ურთიერთობის მონაწილეთა შორის, იმდენად მძიმეა მისი მანუე შედეგები: ირღვევა წარმოების მუშაობის რიტმულობა, სახელმწიფო, საგეგმო, ტექნოლოგიური და შრომის დისციპლინა, საშიშროება ემუქრება საწარმოს მიერ ნაციონალი სოციალისტური ვალდებულებების შესრულებას და ა. შ.

ამიტომ, ცხადია, თუ რატომ აქცევს კანონმდებელი ესოდენ დიდ ყურადღებას შრომითი დავების სწრაფად და სწორად განხილვა-გადაწყვეტას. საქმეები შრომის სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ნოთხოვნების შესახებ სასამართლომ უნდა განიხილოს არა უგვიანეს ათი დღისა, ხოლო, თუ მხარეები ერთ ქალაქში ან რაიონში არ იმყოფებიან — არა უგვიანეს ოცი დღისა.

როგორც ვხედავთ, საკანონმდებლო დანაწესის ადრესატი ამ შემთხვევაში უშუალოდ სასამართლოა. სწორედ სასამართლოს მიუთითებს კანონმდებელი, რომ მან ამ ვადებში განიხილოს შრომითი დავები. მიუხედავად ამისა, ეს ვადები ხშირად ირღვევა და ამაზე არაერთგზის მიუთითა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა. კერძოდ, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1967 წლის 26 სექტემბრის № 6 დადგენილების მე-7 პუნქტში აღნიშნულია, რომ შეუწყნარებელია სასამართლოებში საქმეთა განხილვის კანონით დადგენილი ვადების დარღვევა. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოები, აგრეთვე, საოლქო სასამართლოები ვალდებული არიან მოსთხოვონ სახალხო სასამართლოებს სახელმწიფო დისციპლინის განუხრელად დაცვა³. ასევე, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1976 წლის 3 სექტემბრის № 11 დადგენილების მე-3 პუნქტის თანახმად, სასამართლოებს ევალებათ უზრუნველყონ შრომითი საქმეების განხილვის კანონით დადგენილი ვადების განუხრელად დაცვა, რადგან ამ ვადების დარღვევა იწვევს მუშებისა და მოსამსახურეების უფლებების აღდგენის გაჭიანურებას, მათ მიერ სამუშაო დროის გაცდენას, იძულებითი განაცდენის ანაზღაურების ვადის გაზანგრძლივებას⁴.

შრომის სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე საქმეების კანონით დადგენილ ვადებში განხილვის აუცილებლობაზე არაერთგზის მიუთითა აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა.

ამრიგად, არსებობს კანონმდებლის მითითება შრომითი დავების განხილ-

³ См. Сборник Постановлений Пленума Верховного Суда СССР, 1924—1977, М., 1978, с. 264.

⁴ იქვე, გვ. 285.

ვის ვადების შესახებ, არის უმაღლესი სასამართლოების პლენუმების მითითება, ამ ვადების განუხრელად დაცვის შესახებ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს ვადები ირღვევა. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ ზოგჯერ ასეთი დარღვევა შენიღბულად ხდება, რაც კონკრეტულად იმით ვლინდება, რომ სასამართლოები სარჩელს შემოსულად აღრიცხავენ არა იმ დღიდან, როცა იგი ფაქტობრივად შემოვიდა სასამართლოში, არამედ იმ დღიდან, როცა საქმე მომზადებულია განსახილველად და უკვე შეიძლება დაინიშნოს სასამართლო სხდომაზე მისი განხილვის დღე.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი ავალებს მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებს განახორციელონ დამატებითი ღონისძიებანი სასამართლოების მიერ შრომის კანონმდებლობის ზუსტად გამოყენებისადმი ზედამხედველობის გასაძლიერებლად, აგრეთვე შრომის საქმეების პრაქტიკის განზოგადების ხარისხის ასამაღლებლად.

როგორც ჩანს, ამ მითითებათა სათანადოდ შესრულებისათვის საჭიროა გაანალიზდეს არა მარტო ის, რაც კონკრეტული საქმიდან გამომდინარეობს, არამედ ის, რაც ამ საქმის მომზადებას უსწრებდა წინ. წინააღმდეგ შემთხვევაში რაიმე დამატებითი და ეფექტიანი ღონისძიების დასახვა შეუძლებელი გახდება.

სამოქალაქო სამართალწარმოება ხელს უწყობდეს სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას, სამართალდარღვევათა თავიდან აცილებას, მოქალაქეთა აღზრდას საბჭოთა კანონების განუხრელად შესრულებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის სულისკვეთებით. ამის შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა არაერთგზის მიუთითა, რომ სასამართლოები არ ასრულებენ კანონის ამ მოთხოვნას, არ ავლენენ ყოველთვის შრომითი დავების წარმოშობის მიზეზებს, არ იღებენ ზომებს შრომის სამართლის სფეროში სამართალდარღვევის თავიდან ასაცილებლად და ა. შ.⁵

4. ამასთან დაკავშირებით მოკლედ უნდა შევეხოთ შემთხვევებს, რომლებსაც, სამწუხაროდ, ხშირად ვაწყობებით ჩვენს რესპუბლიკაში. საკითხი ეხება ეგრეთ წოდებულ თვალთმაქცურ⁶ „შრომითს დავას“. ეს ისეთი „დავებია“, როდესაც მუშაკმა რაიმე სერიოზული დარღვევა ჩაიდინა. ხოლო დაწესებულება ამას პროფკავშირის ადგილკომს. ვინაიდან მუშაკის სამუშაოდან დათხოვნა თუმცა დარღვევა იმდენად სერიოზულია, რომ მუშაკის წინანდელ სამუშაოზე დატოვება საფრთხეს უქმნის თვით ხელმძღვანელის ავტორიტეტსა და სამსახურებრივ მდგომარეობას. ამიტომ დაწესებულების ხელმძღვანელი წერს ბრძანებას ამ მუშაკის დათხოვნის შესახებ ისე, რომ შეგნებულად არ უთანხმებს ამას პროფკავშირის ადგილკომს. ვინაიდან მუშაკის სამუშაოდან დათხოვნა პროფკავშირის ადგილკომთან შეუთანხმებლად ამ მუშაკის სამუშაოზე აღდგენის ერთ-ერთი უდავო საფუძველია, სასამართლოც თავისი გადაწყვეტილებით აღადგენს მას წინანდელ სამუშაოზე. ამით აღწევენ შედეგს, რომელიც სურდათ თვალთმაქცური შრომითი დავის მონაწილეებს: დაწესებულების ხელმძღვანე-

⁵ См. Сборник Постановлений Пленума Верховного Суда СССР, 1922—1977, М., 1978, с. 262—263.

⁶ ვიჭრობო ეს ტერმინი ყველაზე უკეთ გამოხატავს ასეთი შრომითი „დავების“ ნამდვილ არსს.

ლი გამოიყურება პირნათლად და კეთილსინდისიერად კანონისა და სახელმწიფოს წინაშე (ყოველ შემთხვევაში იგი ასე ფიქრობს), ხოლო სამართალდამრღვევი მართლმსაჯულების წყალობით თავის ძველ თანამდებობაზე რჩება.

ამას წინათ გაზეთ „კომუნისტი“ მოყვანილი იყო ასეთი შემთხვევა: ლანჩხუთის სახელმწიფო ინსპექციის განყოფილების დაზღვევის აგენტმა გააფორმა ორასი მანეთის სადაზღვეო პოლისი. შემდეგ მან ციფრი გადაასწორა ოთხი ათას მანეთად და შეეცადა ეს ფული მიეღო. სახელმწიფო დაზღვევის რაიონული ინსპექციის უფროსმა, რომელსაც არ სურდა დაეთხოვა დაზღვევის აგენტი თანამდებობიდან, მაგრამ იძულებული იყო რაღაც ზომები მიეღო. გამოსცა ბრძანება და გაათავისუფლა იგი სამუშაოდან, მაგრამ ეს წინასწარ არ შეუთანხმა პროფკავშირის ადგილკომს, როგორც ამას კანონი მოითხოვს. რაიონის სახალხო სასამართლომ აღადგინა დაზღვევის აგენტი მის წინანდელ თანამდებობაზე. უფრო მეტიც, სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით დაავალა ადმინისტრაციას გადაეხადა მისთვის საკმაოდ სოლიდური თანხა იძულებით გაცდენილი დროისათვის⁷.

როგორც ცნობილია, შრომის კანონმდებლობით შემოღებული წესი, რომლის თანახმად ადმინისტრაციას არ შეუძლია მუშაკის დათხოვნა პროფკავშირის ადგილკომთან წინასწარ შეუთანხმებლად, მიზნად ისახავს დაიცვას კეთილსინდისიერი მუშაკები დაუსაბუთებელი დათხოვნისაგან. ამ შემთხვევაში კი ეს წესი გამოყენებულია არაკეთილსინდისიერი მუშაკების სამუშაოზე აღდგენის მიზნით.

როგორც ვხედავთ, დამახინჯებულია მეტად ჰუმანური და უპატივსიდი დემოკრატიული კანონის აზრი და შინაარსი.

როგორ აღგვეთოთ ეს აშკარად მახინჯი მოკლენა? ერთი რამ უდავო და ცხადია: სასამართლო, რომელიც მოწოდებულია ებრძოდოს სამართალდარღვევებს, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამართალდამრღვევთა ინტერესების დასაცავად. ამიტომ, თუ სამუშაოზე აღდგენის შესახებ სარჩელის განხილვისას აღმოჩნდება, რომ საქმე გვაქვს ეგრეთ წოდებულ თვალთმაქცურ შრომითს დავასთან, რომლის დროს დაწესებულების ხელმძღვანელს სურს მის მიერ დათხოვნილი მუშაკის სამუშაოზე აღდგენა და ამიტომ არ უთანხმებს ამ საკითხს პროფკავშირის ადგილკომს, მაშინ სასამართლო გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება და ასეთი მუშაკის სამუშაოზე აღდგენა ძირფესვიანად ეწინააღმდეგება საბჭოთა სამოქალაქო საპროცესო სამართლის მიზნებს, ამოცანებს და პრინციპებს.

მეორე მხრივ, სასამართლო გადაწყვეტილებით სამუშაოზე აღდგენის შესახებ სარჩელზე უარის თქმა ასეთ შემთხვევაში არ შეესაბამება კანონს, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, კატეგორიულად მოითხოვს, რომ, თუ მუშაკის სამუშაოდან დათხოვნა წინასწარ არ არის შეთანხმებული ადმინისტრაციის მიერ პროფკავშირის ადგილკომთან, დათხოვნილი მუშაკი აღდგენილი უნდა იქნეს წინანდელ სამუშაოზე. აღსანიშნავია, რომ მუშაკის სამუშაოდან დათხოვნის ასეთი წესი დადგენილია საკავშირო კანონმდებლობით, კერძოდ, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლების მე-18 მუხლით და, ცხადია, მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობით მასში რაიმე ცვლილებების შეტანა არ შეიძლება.

ასეთ ვითარებაში შეუწყნარებელია აგრეთვე საქმის წარმოების შეწყვეტა



ან სარჩელის განუხილველად დატოვება, რადგან ერთიც და მეორეც შესაძლებელია მხოლოდ ისეთი ფაქტობრივი გარემოებების არსებობისას, რომლებსაც უკავშირდება პროცესუალურ-სამართლებრივი შედეგები (იხ. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 226-ე და 228-ე მუხლები). მუშაკის სამუშაოდან დათხოვნას ადგილკომთან წინასწარ შეუთანხმებლად უკავშირდება არა პროცესუალური, არამედ მატერიალურ-სამართლებრივი შედეგი, კერძოდ ამ მუშაკის სამუშაოზე აღდგენა.

დარჩა ერთი გზა — ეს არის საქმის წარმოების შეჩერება და კერძო განჩინების გამოტანა. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის თანახმად სასამართლოს, თუ იგი სამოქალაქო საქმის განხილვის დროს აღმოაჩენს ცალკეული თანამდებობის პირების მიერ კანონიერების დარღვევებს, გამოაქვს კერძო განჩინება და უგზავნის მას შესაბამის დაწესებულებებს, ორგანიზაციებს და თანამდებობის პირებს, რომლებიც ვალდებული არიან ერთი თვის ვადაში აცნობონ სასამართლოს, თუ რა ღონისძიებანი განახორციელეს.

ამ მუხლის შესაბამისად, თუ სასამართლო სამუშაოზე აღდგენის შესახებ სარჩელის განხილვისას აღმოაჩენს, რომ მუშაკის სამუშაოდან დათხოვნა არ არის წინასწარ შეთანხმებული ადგილკომთან დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ იმ განზრახვით, რომ სასამართლომ შემდგომში აღადგინოს ეს მუშაკი სამუშაოზე, აცნობებს მას კერძო განჩინებით ზემდგომი თანამდებობის პირს. ამ თანამდებობის პირს, რომელსაც კერძო განჩინება გაეგზავნა, შეუძლია გააუქმოს სამუშაოზე დათხოვნის შესახებ ბრძანება და მითითება მისცეს შესაბამისი დაწესებულების ადმინისტრაციას დაითხოვოს მუშაკი თანამდებობიდან კანონით დადგენილი წესის დაცვით. რა თქმა უნდა, მას შეუძლია აგრეთვე არ გაიზიაროს სასამართლოს კერძო განჩინება და გაასაჩივროს იგი.

კერძო განჩინებასთან ერთად სასამართლოს გამოაქვს განჩინება საქმის წარმოების შეჩერების შესახებ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 221-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, რომლის თანახმად სასამართლო ვალდებულია შეაჩეროს საქმის წარმოება, „თუ ამ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტილამდე, რომელიც ვანხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო, სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული წესით“. წარმოებით შეჩერებულ საქმეს სასამართლო განაახლებს სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 223-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად მას შემდეგ, როცა მიიღებს სათანადო თანამდებობის პირისაგან ცნობას კერძო განჩინების თაობაზე განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

როგორც აღვნიშნეთ, მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოდან დათხოვნის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესის კანონსაწინააღმდეგო მიზნებისათვის გამოყენება სულ უფრო ფართოდ ვრცელდება ჩვენს რესპუბლიკაში. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მიერ სათანადო დადგენილების შემუშავება და მიღება დიდად შეუწყობდა ხელს აღნიშნულ საკითხებზე სასამართლო პრაქტიკის სრულყოფას და, რაც აგრეთვე არანაკლებ მნიშვნელოვანია, საწარმოებში, ორგანიზაციებში, დაწესებულებებში შრომის კანონმდებლობის სწორად გამოყენებას, კანონიერების განმტკიცებას.

ნანარკოზის თარგმნის უზღუდა საბჭოთა საავტორო კანონმდებლობით

დოკ. №. 2637201960

საერთაშორისო კულტურული თანამშრომლობას, მსოფლიო კულტურის მიღწევების უკეთ გაცნობის, აგრეთვე საბჭოთა ლიტერატურის საერთაშორისო ავტორიტეტის შემდგომი ზრდის ინტერესებიდან გამომდინარე 1973 წლის 27 თებერვალს სსრ კავშირი შეუერთდა საავტორო უფლების შესახებ მსოფლიო (ვენევის) კონვენციას. კონვენცია ავალებს მის მონაწილე სახელმწიფოებს, რომ თავიანთი ეროვნული კანონმდებლობა შეუსაბამოს მის მოთხოვნებს. ამან საბჭოთა საავტორო კანონმდებლობაში ზოგიერთ ცვლილებათა და დამატებათა შეტანის საკითხი დააყენა, რაც ძირითადად განხორციელდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 21 თებერვლის ბრძანებულებით „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“. (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა შესაბამისად მიიღო ბრძანებულება „საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“).

მნიშვნელოვანი და შეიძლება ითქვას ძირითადი ცვლილება განიცადა ე. წ. თარგმნის უფლებამ. ეს ცვლილებები ჩვენს კანონმდებლობაში მხოლოდ კონვენციასთან შეერთებით არ შეიძლება აიხსნას. ის განაპირობა ასევე საბჭოთა საავტორო კანონმდებლობის განვითარებამ. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 21 თებერვლის ბრძანებულების მიღებამდე ჩვენს ქვეყანაში მოქმედებდა თავისუფალი თარგმნის პრინციპი, რამაც თავის დროზე დიდი როლი შეასრულა საბჭოთა ხალხების კულტურულ ცხოვრებაში. ლიტერატურაში სრულიად სამართლიანად აღინიშნა, რომ სსრ კავშირში, როგორც მრავალეროვან სახელმწიფოში, კულტურული რევოლუციის განხორციელების პერიოდში დასმული იყო ყველა ხალხისათვის რუსული და მსოფლიო კულტურის გაცნობის ამოცანა. ამ საქმეში კი დიდი როლი შეასრულა თავისუფალი თარგმნის პრინციპმა¹.

თავისუფალი თარგმნის პრინციპი აღიარებულია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლებით² და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის კოდექსებით. საფუძვლების 102-ე მუხლი (მასში ცვლილებათა და დამატებათა შეტანამდე) მიუთითებდა, რომ „ყოველი გამოცემული ნაწარმოები შეიძლება გადაითარგმნოს სხვა ენაზე ავტორის თანხმობის გარეშე, მაგრამ მისთვის შეტყობინებით და იმ პირობით, რომ შენარჩუნებული იქნეს ნაწარმოების მთლიანობა და აზრი“. სა-

¹ Богуславский М. М. Участие СССР в международной охране авторских прав, М., 1974, с. 43.

² შემდგომში — საფუძვლები.

ქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 501-ე მუხლში გარდა ამისა დამატებით მითითებული იყო: „სათანადო ორგანიზაციამ უნდა გაუზზავნოს ავტორის შეტყობინება, როგორც კი თარგმანს მოიწონებს, ავტორის მოთხოვნით მას უნდა მიეცეს გასასინჯად ნაწარმოების თარგმანის პირი“, როგორც ვხედავთ, კანონი აღიარებდა თავისუფალი თარგმნის პრინციპს, მაგრამ მცირეოდენ შეზღუდვებს მაინც ითვალისწინებდა. 1928 წლის საავტორო სამართლის საფუძვლები კი არ ითვალისწინებდა ავტორისათვის შეტყობინებას და ასევე მოთხოვნას ნაწარმოების მთლიანობისა და აზრის შენარჩუნების შესახებ.

1973 წლის 21 თებერვლის ბრძანებულებით თავისუფალი თარგმნის პრინციპი შეიცვალა. საფუძვლების 102-ე მუხლი შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: „ნაწარმოების თარგმნა სხვა ენაზე გამოქვეყნების მიზნით დასაშვებია მხოლოდ ავტორის ან მისი უფლებამონაცვლეების თანხმობით“. კანონმა უარყო თავისუფალი თარგმნის პრინციპი, რაც, ერთი მხრივ, საბჭოთა სოციალისტური კულტურის წარმატებით და, მეორე მხრივ, კონვენციასთან შეერთებით იყო გამოწვეული. თარგმნის უფლებასთან დაკავშირებით კანონმდებლობაში მომხდარი ცვლილებები, — როგორც მ. მ. ბოგუსლავსკი აღნიშნავს, — არ შეიძლება განვიხილოთ როგორც მხოლოდ სსრ კავშირის კონვენციასთან შეერთების შედეგი. ის მომზადებული იყო ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები ხალხების კულტურის განვითარების მსვლელობით³.

ამჟამად მოქმედი კანონმდებლობა ადგენს, რომ ნაწარმოების თარგმნა სხვა ენაზე მხოლოდ ავტორის ან მისი უფლებამონაცვლეების თანხმობით შეიძლება. ასეთი თანხმობა კი ხელშეკრულებით უნდა გაფორმდეს. „ავტორის ნაწარმოების გამოყენება, მათ შორის თარგმანი სხვა ენაზე, — აღნიშნულია საფუძვლების ახალი რედაქციის 101-ე მუხლში, — სხვა პირების მიერ დასაშვებია მხოლოდ ავტორთან ან მის უფლებამონაცვლებთან ხელშეკრულების საფუძველზე, გარდა კანონში აღნიშნული შემთხვევებისა“. მასასადამე, ხელშეკრულება უნდა დაიდოს ავტორთან ან მის უფლებამონაცვლებთან. აქ საჭიროა გავარკვიოთ, თუ ვინ შეიძლება იყვნენ ავტორის უფლებამონაცვლები, რომლებთანაც შეიძლება დაიდოს ხელშეკრულება.

საფუძვლების 97-ე მუხლის ახალი რედაქციით „საავტორო უფლება“ ნაწარმოებზე, რომელიც პირველად გამოქვეყნდა სსრ კავშირის ტერიტორიაზე ან არ გამოქვეყნებულა, მაგრამ სსრ კავშირის ტერიტორიაზე არსებობს რაიმე ობიექტური ფორმით, ეკუთვნის ავტორს და მის მემკვიდრეებს მათი მოქალაქეობის მიუხედავად, აგრეთვე ავტორის სხვა უფლებამონაცვლებს“. დამატების შეტანამდე ეს მუხლი მიუთითებდა მხოლოდ ავტორებზე და მათს მემკვიდრეებზე. საავტორო უფლების სუბიექტთა წრეს დამატა სხვა უფლებამონაცვლები. ვინ შეიძლება იყვნენ ავტორის სხვა უფლებამონაცვლები, ე. ი. უფლებამონაცვლები მემკვიდრეებს გარდა? ისინი შეიძლება იყვნენ გამომცემლობა ან სხვა ორგანიზაცია, რომლებსაც ავტორი ჯერ კიდევ თავის სიცოცხლეში ხელშეკრულებით გადასცემს თავისი ნაწარმოების გამოყენების უფლებას. მასასადამე, საავტორო ხელშეკრულებით უფლების შემძენი შეიძლება იყოს მხოლოდ იურიდიული პირი (გამომცემლობა ან ორგანიზაცია), რომლის

³ Богуславский М. М. Участие СССР в международной охране авторских прав, М., 1974, с. 43.



უფლებამოსილების მოცულობა საავტორო ხელშეკრულებით განსაზღვრება, (თუმცა მისი ზოგიერთი პირობა კანონით არის განსაზღვრული და მხარეთა შეთანხმებით არ შეიძლება შეიცვალოს, მაგალითად, ჰონორარის განაკვეთი).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საავტორო კანონმდებლობა ცალკე ითვალისწინებს იურიდიული პირის საავტორო უფლებას. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 495-ე მუხლით იურიდიულ პირს საავტორო უფლება ეკუთვნის იმ შემთხვევებში და ფარგლებში, რომლებიც დადგენილია სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობით. მოქალაქისაგან განსხვავებით, რომელიც ყოველი სახის ნაწარმოების ავტორი შეიძლება იყოს, საავტორო უფლება შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ იმ ორგანიზაციას (იურიდიულ პირს) და მხოლოდ იმ ნაწარმოებზე, რომელიც პირდაპირ არის გათვალისწინებული კანონით. მაგალითად, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 498-ე მუხლით გათვალისწინებულია: „ორგანიზაციას, რომელიც დამოუკიდებლად ან რომელიმე გამომცემლობის მეშვეობით აქვეყნებს მეცნიერულ კრებულებს, ენციკლოპედიურ ლექსიკონებს, ჟურნალებს ან სხვა პერიოდულ გამოცემებს, ეკუთვნის საავტორო უფლება ამ გამოცემაზე მთლიანად“. იურიდიულ პირს საავტორო უფლება აღმოუტყენდება დამოუკიდებელ ობიექტზე, რომელიც მისი შემოქმედებითი საქმიანობის შედეგია. იგი საავტორო უფლების მატარებელი ხდება იმ შემოქმედებითი საქმიანობისათვის, რომელიც აუცილებელია ცალკეულ ავტორთა დამოუკიდებელი ნაწარმოებების ერთ ნაწარმოებად გაერთიანებისათვის. ამ შემთხვევაში იურიდიული პირები ავტორები არიან და არა უფლებამონაცვლები. უფლებამონაცვლები კი ის იურიდიული პირები არიან, რომლებსაც ხელშეკრულებით გადაეცათ ნაწარმოების გამოყენების უფლება. ამ განსხვავებაზე გარკვევით მიუთითა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 495-ე მუხლში, რომლის ახალი რედაქცია ასეთი შინაარსისაა: „იურიდიულ პირს საავტორო უფლება ეკუთვნის იმ შემთხვევებში და იმ ფარგლებში, რაც დადგენილია სსრ კავშირისა და საქართველოს კანონმდებლობით. ეს დებულება არ ვავრცელებს იმ იურიდიულ პირებზე, რომლებმაც საავტორო უფლება მოიპოვეს ხელშეკრულებით“. აქ დამატებულია ბოლო წინადადება, რომელმაც ჯერ ერთი, ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ იურიდიულ პირს შეუძლია ხელშეკრულებით შეიძინოს საავტორო უფლებები და გახდეს უფლებამონაცვლე და, მეორე, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ საერთოდ იურიდიულ პირთა და უფლებამონაცვლე იურიდიულ პირთა საავტორო უფლებები.

მართალია, უფლებამონაცვლე შეიძლება იყოს გამომცემლობა ან სხვა ორგანიზაცია, რომელსაც ავტორმა თვითონ გადასცა თავისი უფლება და განსაზღვრულ შემთხვევებში უფლებამონაცვლე სწორედ ეს ორგანიზაციები არიან, მაგრამ ტერმინი „უფლებამონაცვლე“ მემკვიდრეებსაც გულისხმობს. უფლებამონაცვლე რომ მემკვიდრეებსაც გულისხმობს, სადავო არ არის. ეს ვარკვევით არის მითითებული საფუძვლების 97-ე მუხლში, რომელიც მიუთითებს მემკვიდრეებზე. აგრეთვე სხვა უფლებამონაცვლებზე. მაშასადამე, ლაზარაქია მემკვიდრეებს გარდა კიდევ სხვა უფლებამონაცვლებზე. უფრო მეტიც, საფუძვლების 101-ე მუხლის ახალი რედაქცია მემკვიდრეებს საერთოდ აღარ მოიხსენიებს და მიუთითებს მხოლოდ ავტორებსა და მათს უფლებამონაცვლებზე, რომლებთანაც შეთანხმებით დასაშვებია ნაწარმოების გამოყენე-



ბა. ცხადია, აქ უფლებამონაცვლეებში მემკვიდრეებიც შედიან. სხვანაირად შეუძლებელია. თუმცა ყველა უფლებამონაცვლის უფლებრივი მდგომარეობა ერთნაირი როდია. ზოგიერთ ურთიერთობაში მემკვიდრე-უფლებამონაცვლის უფლებამოსილების მოცულობა განსხვავდება ორგანიზაცია-უფლებამონაცვლის უფლებამოსილების მოცულობისაგან. როცა მემკვიდრე-უფლებამონაცვლის განსხვავებულ უფლებებზეა ლაპარაკი, მაშინ კანონი მას მემკვიდრედ მოიხსენიებს. როცა კანონი უფლებამონაცვლეებზე მიუთითებს, იგულისხმებიან მემკვიდრეებიც და ორგანიზაციებიც, რომლებსაც მოცემულ ურთიერთობაში ერთნაირი უფლებები აქვთ. მაგალითად, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 501-ე მუხლის შესაბამისად, გამოქვეყნების მიზნით ნაწარმოების სხვა ენაზე თარგმნა დასაშვებია მხოლოდ ავტორის ან მისი უფლებამონაცვლეების თანხმობით. მაშასადამე, თანხმობის მიმცემი შეიძლება იყოს მემკვიდრე ან ორგანიზაცია, 509-ე მუხლში კი, რომელშიც მითითებულია საავტორო უფლების მემკვიდრეობით გადასვლასა და მემკვიდრეობის ვადებზე, მხოლოდ მემკვიდრეებზეა მითითებული და არა საერთოდ უფლებამონაცვლეებზე.

ტერმინი „უფლებამონაცვლე“ საავტორო კანონმდებლობისათვის მასში ცვლილებათა და დამატებათა შეტანამდეც იყო ცნობილი. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 511-ე მუხლით, თუ ორგანიზაცია რეორგანიზაციის წესით მოიხსნა, მისი საავტორო უფლება გადადის უფლებამონაცვლეზე. როგორც ცნობილია, რეორგანიზაციის წესით მოსპობილი იურიდიული პირის უფლებებისა და ვალდებულებების მთელი ერთობლობა გადადის სხვა იურიდიულ პირზე ან პირებზე (უფლებამონაცვლეებზე), რომლებიც განაგრძობენ მის საქმიანობას. მაგრამ აქ უფლებამონაცვლე იურიდიული პირი არ შეიძლება გავაიგივოთ იმ უფლებამონაცვლე ორგანიზაციასთან, რომელსაც ხელშეკრულებით გადაეცა ნაწარმოების გამოყენების უფლება. თუ რეორგანიზებულ იურიდიულ პირს ჰქონდა საავტორო უფლება, მაშინ ასეთივე უფლების მატარებელი ხდება ის ორგანიზაცია, რომელზეც მისი უფლებები და მოვალეობები გადავიდა, ე. ი. რეორგანიზებული იურიდიული პირის უფლებამონაცვლე და მასზე უნდა გავრცელდეს საავტორო სამართლის ის ნორმები, რომლებიც იურიდიული პირის საავტორო უფლებებს ეხება. საავტორო ურთიერთობებში ასეთი იურიდიული პირი გამოდის როგორც ავტორი, და არა უფლებამონაცვლე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნაწარმოების თარგმნა სხვა ენაზე დასაშვებია ავტორთან ან მის უფლებამონაცვლეებთან ხელშეკრულების საფუძველზე. ხელშეკრულება იდება ავტორს (უფლებამონაცვლესა) და გამომცემლობას შორის ხელშეკრულების სანიმუშო ფორმის შესაბამისად⁴. ამ ხელშეკრულებით ავტორი მისი ნაწარმოების ამა თუ იმ ენაზე თარგმნის და ხუთი წლის განმავლობაში თარგმნის გამოცემის უფლებას აძლევს გამომცემლობას. გამომცემლობა თავის მხრივ ვალდებულია უზრუნველყოს ნაწარმოების თარგმნა თავისი ხარჯით, შეუწარმუნოს ნაწარმოებს მთლიანობა და აზრი. ნაწარმოებში ყოველგვარი ცვლილების შეტანა დასაშვებია ავტორის წინასწარი წერილობითი თანხმობით. გამომცემლობა ვალდებულია ასევე განაზორციელოს ნაწარმოების გა-

⁴ См. Договор об издании в переводе выходявшего в свет литературного произведения (примерная форма), «Справочник нормативных материалов для издательских работников», М., 1977.

მოცემა 10 საავტორო თაბახამდე ორი წლის განმავლობაში, ხოლო, თუ ნაწარმოები უფრო დიდი მოცულობისაა, — ოთხი წლის განმავლობაში. ვადები გამოითვლება ხელშეკრულების დადების დღიდან.

ავტორი ვალდებულია ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში (5 წელი) არ გადასცეს ნაწარმოები სხვა ორგანიზაციას იმავე ენაზე (ენებზე) სათარგმნელად და გამოსაცემად, რომელ ენაზე (ენებზე) თარგმნასაც ხელშეკრულება ითვალისწინებდა. ავტორს შეუძლია ერთდროულად რამდენიმე ორგანიზაციასთან დადოს ხელშეკრულება, თუ ეს ხელშეკრულებები ნაწარმოების განსხვავებულ ენებზე თარგმნას ითვალისწინებს.

ავტორის მიერ ამ ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, გამომცემლობას უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება, გადაახდევინოს ავტორს მიცემული ჰონორარი და ასევე ის თანხა, რომელიც გამომცემლობამ მთარგმნელს გადაუხადა. ხოლო, თუ ხელშეკრულებით დადგენილ დროში ნაწარმოები არ გამოიცემა ავტორისაგან დამოუკიდებელი გარემოებების გამო, მას უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება მიღებული ჰონორარის შენარჩუნებით.

გამომცემლობას უფლება აქვს ხელშეკრულებით მიღებული უფლებები და ნაკისრი ვალდებულებები მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს სხვა ორგანიზაციას, მაგრამ ამის შესახებ ავტორს უნდა შეატყობინოს.

ვლადიმეროვი რა ავტორსა (უფლებამონაცვლესა) და გამომცემლობას შორის ხელშეკრულებაზე ნაწარმოების თარგმნის და გამოცემის შესახებ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ხელშეკრულება საავტორო სალიცენზიო ხელშეკრულების ტიპს მიეკუთვნება. საავტორო სალიცენზიო ხელშეკრულება ახალი ტიპის ხელშეკრულებაა. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 515-ე მუხლში მითითებული იყო საავტორო ხელშეკრულებაზე, რომლის დადების უფლებაც სათანადო ორგანიზაციასთან ავტორს ჰქონდა ნაწარმოების გამოსაყენებლად გადაცემის მიზნით. ამ მუხლში მნიშვნელოვანი დამატებები იქნა შეტანილი. ამჟამად ეს მუხლი საავტორო ხელშეკრულებას ორ ტიპად ყოფს. ესენია: საავტორო ხელშეკრულება გამოსაყენებლად ნაწარმოების გადაცემის შესახებ და საავტორო სალიცენზიო ხელშეკრულება. როგორც აღვნიშნეთ, საავტორო სალიცენზიო ხელშეკრულება ახალი ტიპის ხელშეკრულებაა, რომლის მიხედვითაც ავტორი ან მისი უფლებამონაცვლე უფლებას აძლევს ორგანიზაციას გამოიყენოს მისი ნაწარმოები (მათ შორის თარგმნოს სხვა ენაზე ან გადააქეთოს იგი) იმ ფარგლებში და იმ ვადით, რომელიც დათქმულია ხელშეკრულებით. ხოლო ორგანიზაცია კისრულობს ვალდებულებას გადაუხადოს მას გასამრჯელო ამ უფლებისათვის, ან ნაწარმოების გამოყენებისათვის ხელშეკრულებით დადგენილი ფორმით, თუ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით სხვა რაიმე არ არის გათვალისწინებული ან თუ მხარეები სხვა რაიმეზე არ შეთანხმებულან. როგორც ვხედავთ, გამომცემლობისათვის ნაწარმოების თარგმნის უფლების გადაცემა ამ ტიპის ხელშეკრულებით ხორციელდება და, ცხადია, ზემოთ განხილული ხელშეკრულება საავტორო სალიცენზიო ხელშეკრულებათა ტიპს მიეკუთვნება.

გამომცემლობა, გარდა ავტორისა, ხელშეკრულებას დებს ასევე მთარგმნელ-

თან, რომელმაც უნდა თარგმნოს ნაწარმოები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ენაზე. ეს არის დამოუკიდებელი ხელშეკრულება და ჩვეულებრივ საგამომცემლო ხელშეკრულებას წარმოადგენს.

თარგმანი საავტორო უფლების დამოუკიდებელი ობიექტია. მთარგმნელს აქვს საავტორო უფლება თავის თარგმანზე. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 502-ე მუხლის II ნაწილი ითვალისწინებდა, რომ მთარგმნელის ეს უფლება ხელს არ უშლის სხვა პირებს დამოუკიდებლად თარგმნონ იგივე ნაწარმოები. ასეთი წესის პირობებში სხვა პირს შეეძლო ხელახლა ეთარგმნა ეს ნაწარმოები. ნაწარმოების ხელახლა დამოუკიდებლად თარგმნა დასაშვები იყო „ავტორისეული თარგმანის“ არსებობის დროსაც. ე. ი. როცა თვით ორიგინალის ავტორი თარგმნიდა თავის ნაწარმოებს სხვა ენაზე. ავტორის მიერ თავის ნაწარმოების თარგმნის უფლებამოსილებაზე კანონმდებლობაში სპეციალურად არ არის მითითებული, მაგრამ, როგორც ი. ვ. სველევა აღნიშნავს, მსგავსი შესაძლებლობა გამომდინარეობს ნაწარმოებზე ავტორობის უფლებიდან და გამოხატულებას პოულობს ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლებაში, რომელიც კრძალავს ნაწარმოებში რაიმე ცვლილებების შეტანას ავტორის ნებართვის გარეშე, ეს კი თავისთავად გულისხმობს ავტორის უფლებას პირადად მოახდინონ ნაწარმოების ყოველგვარი გადაკეთება⁵.

რამდენადაც დღეისათვის ნაწარმოების თარგმნის უფლება მხოლოდ ავტორთან ან მის უფლებამონაცვლეებთან დადებული ხელშეკრულებით წარმოიშობა, 502-ე მუხლის II ნაწილი გაუქმებულია.

ეს არ ნიშნავს, რომ სხვა პირს ნაწარმოების თარგმნის უფლება არა აქვს. ნაწარმოები ყველას შეუძლია თარგმნოს გამომცემლობასთან ხელშეკრულების დაუდებლად, მაგრამ ასეთი თარგმანი არ წარმოშობს მისი გამოქვეყნების ვალდებულებას, საუფუძვლების 102-ე მუხლში ხომ პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ავტორის ან მისი უფლებამონაცვლეობის თანხმობა საჭიროა მაშინ, როცა ნაწარმოების თარგმნა სხვა ენაზე მისი გამოქვეყნების მიზნით ხდება. უხელშეკრულებოდ შესრულებული თარგმანი შეიძლება გამოყენებულ იქნეს პირადი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ამის შესახებ მითითებულია საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 506-ე მუხლში, რომელიც უშვებს სხვისი ნაწარმოების გამოყენებას ან რეპროდუქტივობას პირად მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მიზნით, რისთვისაც არ არის საჭირო ავტორის თანხმობა.

იურიდიულ ლიტერატურაში დასმულია ოფიციალური დოკუმენტების (კანონები, სასამართლოს გადაწყვეტილებები და სხვ.) თარგმანის ავტორობის საკითხი. უბირველესად გასარკვევია, თვით ოფიციალური დოკუმენტები წარმოადგენენ თუ არა საავტორო უფლების ობიექტებს. კანონის მიხედვით (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 488-ე მუხლი), საავტორო უფლება ვრცელდება მეცნიერების, ლიტერატურის და ხელოვნების ნაწარმოებებზე. ოფიციალურ დოკუმენტებზე კანონი არ მიუთითებს, მაგრამ გამორიცხული როდია, რომ მათ ჰქონდეთ მეცნიერული ან ლიტერატურული ნაწარმოების ნიშნები. მიუხედავად ამისა, ისინი საავტორო უფლების ობიექტს არ წარმოადგენენ. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის

⁵ Савельева И. В. Право автора на перевод и авторский лицензионный договор, «Вестник Московского университета», 1980, № 3, с. 63.

497-ე მუხლი კანონებს, სასამართლოს გადაწყვეტილებებს და სხვა ოფიციალურ დოკუმენტებს სწორედ ისეთ ნაწარმოებთა კატეგორიას მიაკუთვნებს, რომლებიც ვისიმე საავტორო უფლების საგანს არ წარმოადგენენ. ამით კი უზრუნველყოფილია მათი შეუფერხებელი და თავისუფალი გამოყენება⁶. ამავე მოსაზრებით, არც ოფიციალური დოკუმენტის თარგმანის ავტორობაზე შეიძლება ლაპარაკი.

საკითხი უფრო რთულად დგას, როცა საქმე ეხება არა უშუალოდ ოფიციალურ დოკუმენტებს, არამედ მათს პროექტებს, რომლებსაც ერთი ან რამდენიმე ავტორი ჰყავს. ამ საკითხის გადასაწყვეტად, ვფიქრობთ, სწორ ამოსავალ დებულებას იძლევა ვ. ი. იონასი. როცა ოფიციალური დოკუმენტის ავტორი მოითხოვს სასამართლოში სადავო ობიექტის შექმნასთან დაკავშირებით მისი პირადი და ქონებრივი უფლებების აღიარებას, საკითხი, რომელიც უპირველესად უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ ის არის, რომ დადგინდეს დოკუმენტის გამოყენების ხასიათი. თუ დადგენილი იქნება, რომ დავა შეეხება დოკუმენტს, რომლის ერთადერთი დანიშნულებაა იყოს ოფიციალური სახელმძღვანელო (ან ნორმატიული აქტი) სამსახურებრივი სარგებლობისათვის, მაშინ მოსარჩელის მოთხოვნა უარყოფილი უნდა იქნას; თუ სასამართლო შივა იმ დასკვნამდე, რომ სადავო ობიექტი გათვალისწინებული იყო არა სამსახურებრივი სარგებლობისათვის ოფიციალური დოკუმენტის სახით, მაშინ სასამართლომ ექსპერტიზის დახმარებით უნდა განსაზღვროს — შეიძლება თუ არა სადავო ობიექტი ჩაითვალოს საავტორო უფლების ობიექტად⁷. მართლაც, როცა ოფიციალურად ქვეყნდება კანონის პროექტი განხილვისათვის, იგი თავიდანვე გამიზნულია იმისათვის, რომ კანონად იქცეს, მიუხედავად იმისა, რომ პროექტის შედგენაში აღამიანთა გარკვეულმა წრემ მიიღო მონაწილეობა და მასში შემოქმედებითი შრომაა ჩაქსოვილი, საავტორო უფლება მასზე მაინც არ წარმოიშობა. სხვას რომ თავი დავანებოთ, თუ ასეთ პროექტს საავტორო უფლების ობიექტად ჩავთვლით და მასზე იმ წესებს გავავრცელებთ, რომელიც დღეისათვის ნაწარმოების თარგმნისათვის მოითხოვება, დიდად შევაფერხებთ პროექტის თავის დროზე თარგმნასა და მის ოპერატიულ გამოქვეყნებას. ამ შემთხვევაში არც პროექტზე და არც მისი ოფიციალურ დოკუმენტად ცნობის შემდეგ არ შეიძლება ვილაპარაკოთ როგორც საავტორო უფლების ობიექტზე და არც მათი თარგმნა წარმოშობს საავტორო უფლებას თარგმანზე.

სულ სხვა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე, როცა ავტორს მეცნიერულ ნაშრომში მოჰყავს მის მიერვე შექმნილი პროექტი, ასეთ ვითარებაში საქმე გვაქვს მეცნიერულ ნაშრომთან და მისი თარგმნა-საერთო წესის მიხედვით უნდა მოხდეს. მთარგმნელი, ცხადია, თარგმანზე საავტორო უფლებას შეიძენს.

კანონი უშვებს ზოგიერთ გამონაკლისს, როცა შესაძლებელია ნაწარმოების თარგმნა და გამოქვეყნება ავტორთან შეუთანხმებლად. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 506-ე მუხლით დადგენილია: „ავტორის თანხმობის გარეშე და საავტორო გასამრჩელოს გადაუხდელად, ოღონდ გამოყენებული ნაწარმოების ავტორის გვარის და თვით წყაროს აუცილებელი მითი-

⁶ Гаврилов Э. П. Авторские права при использовании произведений в переводе. «Советское государство и право», 1980, № 10, с. 69.

⁷ Ионас В. Я. Произведения творчества в гражданском праве, М., 1972, с. 100.

თებით, დასაშვებია: ...საჯაროდ წარმოთქმული სიტყვების, მოხსენებების, აგრეთვე ლიტერატურის, მეცნიერების და ხელოვნების ნაწარმოებთა გამოქვეყნებული ორიგინალის თუ მათი თარგმანის რეპროდუცირება გაზეთებში“. მაშასადამე, გაზეთებში თარგმანის გამოქვეყნების დროს ორიგინალის ავტორის თანხმობა არ არის საჭირო, მაგრამ აუცილებელია: ნაწარმოების ორიგინალი ადრე გამოქვეყნებული იყოს, თარგმანში მითითებული იყოს, ვინ არის ავტორი, სად გამოქვეყნდა პირველად და ვინ არის თარგმანის ავტორი.

კანონით დაშვებულია (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 506-ე მუხლი) ავტორთან შეუთანხმებლად საავტორო გასამრჯელოს გადაუხდელად, ოღონდ გამოყენებული ნაწარმოების ავტორის გვარის (და თვით წყაროს აუცილებელი მითითებით რეპროდუცირება მეცნიერების, ლიტერატურის და ხელოვნების ცალკეული გამოცემული ნაწარმოებებისა და მათი ნაწყვეტებისა მეცნიერულ და კრიტიკულ ნაშრომებში, სასწავლო და პოლიტიკურ-საგანმანათლებლო გამოცემებში; ამასთან, რეპროდუცირება ციტატების სახით დასაშვებია იმ ფარგლებში, რასაც ითვალისწინებს გამოცემის მიზანი, ხოლო რეპროდუცირება სხვა სახით, მათ შორის კრებულებში, არ უნდა აღემატებოდეს ერთი ავტორის ნაწარმოებისათვის ერთი საავტორო თაბახის საერთო ოდენობას. ბუნებრივად ისმება კითხვა — დასაშვებია თუ არა ასეთი რეპროდუცირება ნაშრომში, რომელიც სხვა ენაზე გამოდის, ე. ი. დასაშვებია თუ არა ავტორისაგან თანხმობის მიუღებლად თარგმან რეპროდუცირების მიზნით. მიგვაჩნია, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით სწორი პოზიცია უჭირავს ე. პ. გავრილოვს. მეცნიერული ან კრიტიკული ნაშრომის ავტორს, — აღნიშნავს იგი, — ხშირად მოჰყავს ციტირებანი სხვა ენაზე გამოსულ პირთა ნაწარმოებებიდან. თუ ციტატების თარგმნისათვის საჭირო იქნება თანხმობის მიღება, მაშინ კრიტიკა და მეცნიერული მუშაობა მნიშვნელოვნად გართულდება. ამიტომ ეს საკითხი მოითხოვს შემდგომ შესწავლას და უფრო სრულ სამართლებრივ რეგლამენტაციას. დღეისათვის კი უნდა ჩავთვალოთ, რომ უხელშეკრულებოდ ნაწარმოების მართლზომიერი გამოყენება დასაშვებია თარგმანშიც, თუ ეს გამომდინარეობს გამოცემის მიზნებიდან⁸.

სავტორო უფლების შესახებ მსოფლიო კონვენციის მონაწილე თითოეულ სახელმწიფოს შეუძლია სათანადო წესების დაცვით და სათანადო პირობების არსებობისას თავისი კანონმდებლობით შეზღუდოს წერილობითი ნაწარმოების თარგმნის უფლება და უფლება მისცეს კომპეტენტურ ორგანოს გასცეს ლიცენზია წერილობითი ნაწარმოების თარგმანზე. ამან მოითხოვა ჩვენს კანონმდებლობაში ნაწარმოების თარგმანზე იძულებითი ლიცენზიის ინსტიტუტის შემოტანა, რაც პრაქტიკულად უშვებს გამოჩაკლისს, როცა დასაშვებია ნაწარმოების სხვა ენაზე თარგმან ავტორთან შეუთანხმებლად, საფუძვლების 102-ე მუხლის II ნაწილის შესაბამისად, „სსრ კავშირის კომპეტენტურ ორგანოებს შეუძლიათ სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესით ნება დართოს ნაწარმოების მეორე ენაზე თარგმნის და ამ თარგმანის გამოქვეყნებისათვის შესაბამის შემთხვევაში იმ საერთაშორისო ხელშეკრულებების ან საერთაშორისო შეთანხმებების პირობების დაცვით, რომლებშიც მონაწილეობს სსრ კავშირი“.

⁸ Гаврилов Э. П. Авторское право на современном этапе, «Правоведение», 1974, № 4, с. 71.

ცვლილებები შეეხო ნაწარმოების სხვა ენაზე თარგმნისას ორიგინალის ავტორისათვის ჰონორარის გადახდის საკითხსაც. ცვლილებების შეტანამდე საფუძვლების 102-ე მუხლი აღგენდა წესს, რომლის მიხედვითაც სხვა ენაზე სათარგმნელად ნაწარმოების გამოყენებისათვის ანაზღაურების უფლება ავტორს ეკუთვნოდა მხოლოდ მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი 501-ე მუხლით კი ნაწარმოების ავტორს მხოლოდ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით გათვალისწინებულ შემთხვევაში ჰქონდა გასამრჩელოს მიღების უფლება მისი ნაწარმოების გამოყენებისათვის სხვა ენაზე სათარგმნელად. საქართველოს „ლიტერატურულ ნაწარმოებთა საავტორო ჰონორარის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 19 ივნისის დადგენილებით არაგმნილი ნაწარმოების ავტორს ჰონორარი ეძლეოდა, როდესაც ქართულ ენაზე გამოიცემოდა ლიტერატურული ნაწარმოები, რომელიც პირველად გამოცემული იყო სსრ კავშირის ხალხთა ერთ-ერთ ენაზე, გარდა რუსული ენისა, ანდა თუ იგი ითარგმნა ერთ-ერთი ამ ენიდან სხვა ენაზე. საავტორო ჰონორარი არ ეძლეოდათ გამოცემული ლიტერატურულ-მხატვრული ნაწარმოების ავტორებს, როდესაც მათი ნაწარმოები ითარგმნებოდა რუსული ენიდან სსრ კავშირის ხალხთა ენებზე, აგრეთვე ქართული ენიდან ავხაზურ ან ოსურ ენებზე.

ამჟამად საფუძვლების 102-ე მუხლი თარგმნილი ნაწარმოების ავტორისათვის ჰონორარის მიცემის საკითხში არავითარ შეზღუდვებს არ ითვალისწინებს. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 501-ე მუხლის ახალი რედაქციის შესაბამისად კი „სხვა ენაზე თარგმნილი ნაწარმოების გამოყენებისათვის გასამრჩელოს მიღების უფლება ეკუთვნის ორიგინალის ავტორს ყველა შემთხვევაში, გარდა კანონში მითითებულისა“. ამის შესაბამისად „ლიტერატურულ ნაწარმოებთა საავტორო ჰონორარის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 27 იანვრის დადგენილებით დაწესდა:

თავდაპირველად სსრ კავშირის ხალხთა რომელიმე ენაზე, გარდა რუსულისა, დაბეჭდილი ლიტერატურულ-მხატვრული ნაწარმოებების (აგრეთვე ლიტერატურათმცოდნეობის და ხელოვნებათმცოდნეობის დარგის ნაშრომების) ქართულ, ავხაზურ ან ოსურ ენებზე გამოცემისას ნათარგმნი ნაწარმოების ავტორს მიეცემა ორიგინალისათვის დადგენილი ჰონორარის 60 პროცენტი, ასეთივე ოდენობით მიიღებენ ჰონორარს იმ ნაწარმოებთა ავტორები, რომლებიც ითარგმნა სსრ კავშირის ხალხთა რომელიმე ენიდან და გამოიცა რუსულად.

თავდაპირველად რუსულ ენაზე დაბეჭდილი ლიტერატურულ-მხატვრული ნაწარმოების (აგრეთვე ლიტერატურათმცოდნეობის ან ხელოვნებათმცოდნეობის დარგის ნაშრომების) საქართველოს სსრ რესპუბლიკის ხალხთა ერთ-ერთ ენაზე გამოცემისას, ნათარგმნი ნაწარმოების ავტორს მიეცემა ჰონორარი აღნიშნული სახეობის ნაწარმოებისათვის დაწესებული მინიმალური განაკვეთის 60 პროცენტის ოდენობით, მიუხედავად ტირაჟისა.

მოზარდთა სამართალდარღვევის კონკრეტულ- სოსიოლოგიური გამოკვლევის ზოგიერთი შედეგი ქ. თბილისის მასალის მიხედვით

მოზარდის ზნეობრივი ფორმირება პარტიის, კომკავშირის, მთელი სოციალისტური საზოგადოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

საბჭოთა ახალგაზრდობა შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულების, საზოგადოებისა და სახელმწიფოსადმი ერთგულების შესანიშნავ მაგალითებს გვიჩვენებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, მოზარდთა ერთ ნაწილში ვხვდებით ანტისაზოგადოებრივ ქცევისა და სამართალდარღვევის ფაქტებს.

მოზარდთა სამართალდარღვევების წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლა შეუძლებელია, თუ საფუძვლიანად და მეცნიერულად არ გამოიკვლიეთ მათი გამომწვევი მიზეზები და ხელშემწყობი პირობები. მიუხედავად საკითხის აქტუალობისა, ჩვენს რესპუბლიკაში არასრულწლოვანთა დამნაშავეობის პრობლემა დღეისათვის ნაკლებად არის შესწავლილი. წინამდებარე ნაშრომი ნაწილობრივ ავსებს ამ ხარვეზს.

მოზარდთა დამნაშავეობის კონკრეტულ-სოციოლოგიური გამოკვლევისათვის ინფორმაციის წყაროდ გამოყენებულ აქნა თბილისის მილიციის ბავშვთა ოთახებში აღრიცხვაზე მყოფ არასრულწლოვანთა გამოკითხვის შედეგები. ინტერვიუს მეთოდით გამოიკითხა 613 მოზარდი, რაც ამ კატეგორიის სამართალდამრღვევთა უდიდეს უმრავლესობას შეადგენს. ეს იმის საფუძველს გვაძლევს, რომ მიღებული შედეგები სააწმუნოდ მივიჩნიოთ.

გამოკითხული სამართალდამრღვევნი სქესის მიხედვით შემდეგნაირად განაწილდნენ: ვაჟები შეადგენენ 89,4 პროცენტს, ხოლო გოგონები 10,6 პროცენტს.

ქ. თბილისის ზოგად-სოციალურ სიტუაციას თუ გავითვალისწინებთ, უნდა მივიჩნიოთ, რომ სამართალდამრღვევ მოზარდებს შორის მაღალია გოგონათა ხვედრითი წილი, ამიტომ დავინტერესდით თუ როგორია გამოკითხულთა სტრუქტურა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში.

აღმოჩნდა, რომ გოგონები გვხვდებიან სამართალდამრღვევი მოზარდების ყველა ასაკობრივ ჯგუფში. მათი ხვედრითი წილი ყველაზე მაღალია 14-16 წლის ასაკის მოზარდებში (15,1 პროცენტი). რაც შეეხება 17-18 წლის ასაკის არასრულწლოვანებს, მათ შორის გოგონათა ხვედრითი წილი დაახლოებით 2-ჯერ ნაკლებია და 8,8 პროცენტს შეადგენს.

ასაკის მიხედვით გამოკითხული მოზარდები შემდეგნაირად ნაწილდებიან: უმრავლესობას (57,8 პროცენტი) შეადგენენ 16-17 წლის მოზარდები, რაც სრულიად ბუნებრივია ამ ჯგუფის ასაკობრივი თავისებურებების გამო. ამასთან გამოკითხულ სამართალდამრღვევთა შორის მაღალია 14-15 წლის ასაკის

პირთა ხვედრითი წილი — 35,8 პროცენტი, ანუ 1/3-ზე მეტი, რაც უარყოფით ტენდენციად უნდა მივიჩნიოთ. რაც შეეხება 10-13 წლის მოზარდებს, ისინი გამოკითხულთა უმნიშვნელო ნაწილს — 6,4 პროცენტს შეადგენენ.

ცნობილია, რომ პიროვნების ჩამოყალიბების პროცესში დიდ როლს ასრულებს ოჯახი. ამიტომ ჯეროვანი ყურადღება დაეთმო გამოკითხულ სამართალდამრღვევთა ოჯახებში შექმნილი ატმოსფეროს შესწავლას.

უპირველესად დავადგინეთ, ცოცხლები არიან თუ არა გამოკითხულ მოზარდთა მშობლები, ხომ არ არის მსჯავრდადებული რომელიმე მათგანი და ა. შ. აღმოჩნდა, რომ გამოკითხული მოზარდებიდან 23,1 პროცენტს არა ჰყავს არც ერთი ან ერთ-ერთი მშობელი, ხოლო 2,3 პროცენტის რომელიმე მშობელი გასამართებულია და სასჯელს იხდის.

სამართალდამრღვევ მოზარდთა 18,6 პროცენტის მშობლები განქორწინებული არიან, ეს კი ნიშნავს, რომ ერთ-ერთი მშობელი არ ცხოვრობს ოჯახში. გარდაცვლილი, პატიმრობაში მყოფი და განქორწინებული მშობლების მონაცემების შეკრებამ გვიჩვენა, რომ გამოკითხულ მოზარდთა 44,0 პროცენტი ერთ-ერთი ან ორივე მშობლის გარეშე იზრდება. გამოკვლევის დროს დავინტერესდით, ზრუნავენ თუ არა ოჯახიდან წასული მშობლები შვილებზე, აქვთ თუ არა კონტაქტი, ეხმარებიან თუ არა შვილებს მატერიალურად და ა. შ.

მიღებულმა მონაცემებმა ცხადყო: ოჯახიდან წასულ მშობლებს სისტემატურად ზღვდება გამოკითხულთა მხოლოდ 4,4 პროცენტი, ხშირად — 18,4 პროცენტი, იშვიათად — 21,9 პროცენტი, ძალზე იშვიათად — 18,4 პროცენტი, საერთოდ არა აქვს კონტაქტი მშობლებთან 25,4 პროცენტს, 11,5 პროცენტმა თავი შეიკავა პასუხისგან, რაც გვაფიქრებს, რომ ისინი არ არიან განუხილველი ოჯახიდან წასული მშობლების ყურადღებით.

სამწუხაროდ, იმ მშობელთა უდიდესი უმრავლესობა, რომლებიც მეუღლესთან განქორწინდნენ (65,7 პროცენტი) მიუტყეველ გულგრილობასა და უყურადღებობას იჩენს შვილების მიმართ, მათ ერთ ნაწილს კი საერთოდ ზედიზე აქვს აღებული შვილებზე, რაც დაძაბულ მორალურ-ფსიქოლოგიურ ატმოსფეროს უქმნის მოზარდებს. გარდა ამისა მშობელთა 47,3 პროცენტი არა მარტო სრულ უყურადღებობას იჩენს შვილების მიმართ, არამედ მატერიალურადაც არ ეხმარება მათ.

სამართალდამრღვევი მოზარდის ოჯახის მატერიალური მდგომარეობის შესწავლის შედეგად აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა 29,4 პროცენტი, ანუ თითქმის მესამედი, მიიჩნევს, რომ მისი ოჯახი ღარიბად ან ძალზე ღარიბად ცხოვრობს, 56,9 პროცენტი თვლის, რომ მისი ოჯახი ცხოვრობს საშუალოდ და მხოლოდ 13,5 პროცენტი აღნიშნავს, რომ ოჯახი მატერიალურად კარგად არის უზრუნველყოფილი.

ჩვენ დავინტერესდით გამოკითხულთა ოჯახების საბინაო პირობებით და ამისათვის ავიღეთ მონაცემები ოჯახის თითოეულ წევრზე ბინის ფართობის შესახებ. გამოკითხულ მოზარდთა მნიშვნელოვან ნაწილს არა აქვს ნორმალური საბინაო პირობები. გამოკითხულთა 37,4 პროცენტი ცხოვრობს მძიმე საბინაო, ხოლო 66,4 პროცენტი, ანუ თითქმის 2/3, საშუალოზე უარეს პირობებში.

ეს მონაცემები, აგრეთვე ის გარემოება, რომ მშობელთა ნაწილი დროებით არ მუშაობს, საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ გამოკითხულ სამართალდამრღვევ მოზარდათა ოჯახების მნიშვნელოვან ნაწილში არასასურველი მორალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფეროა შექმნილი.

ჩვენ დავადგინეთ აგრეთვე, თუ როგორ აფასებენ მოზარდები თავიანთ ოჯახებში შექმნილ სიტუაციას. მოსწონთ თუ არა ატმოსფერო, რომელშიც იზრდებიან, როგორია ურთიერთდამოკიდებულება მათს მშობლების შორის და სხვა. შესწავლამ შემდეგი სურათი მოგვცა: კმაყოფილია იმ ატმოსფეროთი, რომელშიც იზრდება 42,9 პროცენტი, რაც გამოკითხულთა ნახევარსაც კი არ შეადგენს, არც თუ ისე კმაყოფილია — 25,1 პროცენტი, უკმაყოფილია — 22,3 პროცენტი, ძალზე უკმაყოფილია — 5,4 პროცენტი, ხოლო 3,8 პროცენტმა თავი შეიკავა პასუხისგან, რაც ალბათ იმას მოწმობს, რომ ისინი კმაყოფილი არ არიან თავიანთ ოჯახებში შექმნილი მდგომარეობით.

ამგვარად, გამოკითხულ სამართალდამრღვევ მოზარდათა 57,1 პროცენტი ასე თუ ისე უარყოფითად აფასებს ოჯახში შექმნილ მორალურ-ფსიქოლოგიურ ატმოსფეროს. ჩვენ დავინტერესდით იმით, თუ როგორი ურთიერთდამოკიდებულება აქვთ ერთმანეთთან გამოკითხულ მოზარდათა ერთად მცხოვრებ მშობლებს. აღმოჩნდა, რომ ძალიან კარგი ან კარგი დამოკიდებულება აქვთ მხოლოდ 43,8 პროცენტს, ანუ ნახევარზე ნაკლებს, დამაკმაყოფილებელი — 22,7 პროცენტს, ცუდი — 27,2 პროცენტს, ხოლო ძალზე ცუდი — 6,3 პროცენტს. ამგვარად ერთად მცხოვრები მშობლებისა და დედინაცვალ-მამინაცვლების მესამედს ერთმანეთთან ცუდი ან ძალზე ცუდი დამოკიდებულება აქვთ, რაც აგრეთვე ამძიმებს მორალურ-ფსიქოლოგიურ ატმოსფეროს ოჯახში.

იმის გამო, რომ დიდი აღმოჩნდა ისეთი ოჯახების ხვედრითი წილი, სადაც მეტნაკლებად უსიამოვნება სუფევს, ჩვენ დავინტერესდით თუ რით გამოიხატება კონკრეტულად ამ ოჯახებში არსებული კონფლიქტური სიტუაციები.

დადგინდა, რომ ოჯახში არსებულ კონფლიქტებს საკმაოდ უსიამოვნო ხასიათი აქვს. 79,9 პროცენტმა უჩვენა, რომ იგი გამოიხატება კინკლაობით, 20,1 პროცენტი თვლის, რომ ეს გამოიხატება აყალბაყალით (და ურთიერთშეუზრაცხყოფით, 25,7 პროცენტი თვლის, რომ სიმთვრალით გამოწვეული დებოშით, 4,7 პროცენტი კი ჩხუბით და ცემა-ტყეპით. ამ მონაცემებმაც არ შეიძლება უარყოფითი გავლენა არ მოახდინოს მოზარდზე.

ამის შემდეგ დავადგინეთ, თუ რა არის მოზარდების აზრით, მათ ოჯახებში შექმნილი არაჯანსაღი ფსიქოლოგიური ატმოსფეროს მიზეზი.

ოჯახში დაძაბული ურთიერთობები და უსიამოვნებები ცუდი მატერიალური და საბინაო პირობებით ახსნა მოზარდათა შედარებით მცირე ნაწილმა (შესაბამისად 16,2 და 14,4 პროცენტი), ხოლო იმ მოზარდათა ხვედრითი წილი, რომლებიც ოჯახში შექმნილ არასახარბილო ვითარებას ოჯახის უფროსი წევრების ცუდი საქციელით ხსნის, საკმაოდ დიდია, კერძოდ, მოზარდათა მესამედი აშკარად გრძნობს, რომ ოჯახის უფროსი წევრები მოკლებული არიან სათანადო კულტურას, რაც ვლინდება კონფლიქტებით, გამოკითხულთა 31,6 პროცენტი კი უსიამოვნების მიზეზად ლოთობას მიიჩნევს.

რაც შეეხება ოჯახის წევრთა დამოკიდებულებას გამოკითხულთა მიმართ, მოზარდთა მნიშვნელოვანი ნაწილი მას დადებითად აფასებს, კერძოდ გამოკითხულ მოზარდთა 52,4 პროცენტმა უპასუხა, რომ ოჯახის წევრები საკმარის მზრუნველობას იჩენენ მის მიმართ, ხოლო 13,4 პროცენტმა აღნიშნა, რომ ოჯახში ზრუნავენ მისი ინტელექტუალური განვითარებისა და მატერიალური უზრუნველყოფისათვის.

გამოკითხულთა გარკვეული ნაწილი ნეგატიურად აფასებს ოჯახის უფროს წევრთა დამოკიდებულებას მათ მიმართ: არ იჩენენ საკმარის მზრუნველობას, თრგუნავენ მათს პიროვნებას. 7,0 პროცენტმა მიუთითა, რომ ოჯახის უფროსი წევრები არ აკმაყოფილებენ მათ ყველაზე აუცილებელ მატერიალურ მოთხოვნებს.

7,5 პროცენტმა განაცხადა, რომ მათ მიმართ ოჯახის წევრები სისასტიკეს იჩენენ, ხოლო 11,4 პროცენტი თვლის, რომ ოჯახში სულიერად ამახინჯებენ და სხვა.

მოზარდთა გამოკითხვით დადგინდა ისეთი ოჯახების სვედრითი წილი, სადაც ბოროტად იყენებენ ალკოჰოლურ სასმელებს და კერძოდ ის, თუ ოჯახის რომელი წევრია ლოთი. გამოკითხული სამართალდამრღვევიდან 27,4 პროცენტმა უჩვენა, რომ მათ ოჯახებში ბოროტად იყენებენ ალკოჰოლურ სასმელებს. თუ ამ მონაცემებს 100 პროცენტად მივიჩნევთ, აღმოჩნდება, რომ მათგან მამები შეადგენენ 76,2 პროცენტს, დედები — 10,7 პროცენტს, ძმები — 7,7 პროცენტს, ხოლო ოჯახის სხვა წევრები — 5,4 პროცენტს. როგორც ეს მონაცემები მოწმობს, გამოკითხულთა ოჯახების ერთ ნაწილში ლოთობენ არა მხოლოდ მამები ან ოჯახის სხვა წევრები, არამედ დედებიც კი, რაც მეტად უარყოფით გავლენას ახდენს აღმზრდელობით პროცესზე. ამგვარად, ოჯახში შექმნილი კონფლიქტური სიტუაცია, დაძაბული ფსიქოლოგიური ატმოსფერო მეტად უარყოფითს ზემოქმედებას ახდენს ბავშვისა და მოზარდის პიროვნების ჩამოყალიბებაზე, ხშირად მძიმე მორალურ ტრავმას აყენებს მას, გულს უცრუებს სწავლასა და შრომაზე, რასაც საბოლოო ანგარიშში სერიოზული ნეგატიური შედეგები მოსდევს.

გამოკვლევისას გარკვეული ყურადღება დაეთმო მოზარდთა სასკოლო აღზრდის საკითხებს, რადგან, როგორც ცნობილია, სკოლა არის ის უჯრედი, რომელსაც ოჯახის შემდეგ ყველაზე დიდი როლი აკისრია მოზარდის ჩამოყალიბებაში. უპირველეს ყოვლისა, დავადგინეთ, თუ სად სწავლობენ გამოკითხული მოზარდები.

აღმოჩნდა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სწავლობს გამოკითხულ მოზარდთა 58,3 პროცენტი, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში — 14,0 პროცენტი, მუშა-ახალგაზრდობის სადამოს სკოლაში — 14,5 პროცენტი, სკოლა-ინტერნატში — 2,3 პროცენტი, ტექნიკუმში — 1,3 პროცენტი, ხოლო არსად არ სწავლობს 9,1 პროცენტი.

შესწავლილ იქნა აგრეთვე თუ როგორი აკადემიური წარმატება აქვთ ამ მოზარდებს, რომლებიც გამოკითხვის მომენტში სწავლობდნენ. დადგინდა, რომ მათგან კარგად სწავლობს მხოლოდ 6,3 პროცენტი, დამაკმაყოფილებლად — 59,1 პროცენტი, ხოლო ცუდად ან ძალზე ცუდად — 34,6 პროცენტი, ანუ ამ მოზარდთა მესამედი.

გამოკითხულთა 26,0 პროცენტი ერთხელ მაინც არის დატოვებული კლასში. გამოკითხულთა 40,7 პროცენტმა ამის მიზეზად სიზარმაცე დაასახელა, ხოლო 26,2 პროცენტმა ეს გარემოება სწავლისადმი გულგრილი დამოკიდებულებით ახსნა. საკმაოდ დიდია იმ მოზარდათა ხვედრითი წილი (17,2 პროცენტი), რომელთაც განაცხადეს, რომ არ შეუძლიათ სწავლა დაუზიარებლად.

გაირკვა აგრეთვე მთელი რიგი საკითხები, რომლებიც გამოკითხულ მოზარდათა ქცევას, აგრეთვე მასწავლებლებისა და თანაკლასელების მიმართ დამოკიდებულებას ახასიათებენ, კერძოდ, დავადგინეთ თუ რა ჩაუდენიათ გამოკითხულ მოზარდებს სასწავლებლებში ისეთი, რაც მათ უღირს საქციელად მიაჩნიათ. გამოკითხულ მოზარდათა 46,1 პროცენტმა უჩვენა, რომ მათ მიერ სასწავლებელში ჩადენილი უღირსი საქციელი გამოიხატა ზუღიგნობით, 20,5 პროცენტმა უჩვენა, რომ იგი გამოიხატა ჩხუბით, დანარჩენებმა კი აყალბაყალით, ამხანაგების და მასწავლებლების ლანძღვა-გინებით, უწმაწური სიტყვების ხმარებით და სხვა.

ამრიგად, გამოკითხულ მოზარდათაგან თითქმის ნახევარი ზუღიგნობს სასწავლებელში, 1/5 ჩხუბობს, ხოლო 1/10-ზე მეტი მასწავლებლებსაც კი აყენებს შეურაცხყოფას. ეს მეტყველებს, რომ მათი დიდი ნაწილი უგულვებელყოფს დისციპლინას, თავაწყვეტილად იქცევა, გამოსულია პედაგოგთა კონტროლიდან. ამ კითხვაზე მოზარდათა მიერ გაცემული პასუხი იმასაც მოწმობს, რომ ბევრს სკოლის ამხანაგებთანაც არა აქვს ნორმალური დამოკიდებულება.

რა რეაგირებას ახდენს სკოლის ადმინისტრაცია, პედაგოგიური კოლექტივი, პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციები მოზარდათა ამ ნაწილის მიერ სასწავლებელში ჩადენილ უღირს საქციელზე. დადგინდა, რომ მოზარდათა უღირსი საქციელის თაობაზე 84,8 ფაქტზე სკოლის ადმინისტრაციამ შეატყობინა მილიციის ბავშვთა ოთახს, 67,2 ფაქტზე პედაგოგებმა ჩაატარეს საუბარი, 53,7 შემთხვევაში სკოლაში დაიბარეს მოზარდათა მშობლები, ხოლო მოზარდათა მიერ ჩადენილი დანარჩენი უღირსი საქციელის ჩადენის საკითხი განხილულ იქნა პედსაბჭოზე. რაც შეეხება პიონერულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, მათი მუშაობა სამართალდამრღვევ მოზარდებთან არადამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს. აღმოჩნდა, რომ იმ მოზარდათაგან, რომელთაც უღირსი საქციელი ჩაიდინეს სასწავლებელში, მხოლოდ 6,0 პროცენტის საკითხია განხილული კომკავშირის კრებაზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ მეტად მცირეა კომკავშირელთა ხვედრითი წილი (9,9 პროცენტი) გამოკითხულ მოზარდათა საერთო რაოდენობაში. თუ გავითვალისწინებთ, რომ მათი დიდი უმრავლესობა კომკავშირული ასაკისაა, ნათელი გახდება, რომ კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობა ამ კატეგორიის მოზარდებთან საგრძნობლად მოისუსტებს.

გამოკვლევით დადგინდა, თუ როგორ ურთიერთობაში არიან მოზარდებთანაკლასელებთან, ჰყავთ თუ არა მათ შორის მეგობრები, როგორ ეპყრობიან თანაკლასელები მოზარდათა იმ ნაწილს, რომლებიც გამოკითხვის მომენტში სწავლობდნენ.

მიღებულმა მონაცემებმა ცხადყო, რომ მოზარდათა ამ ნაწილს 34,6 პროცენტმა ანუ დაახლოებით მესამედმა უარყოფითად დაახასიათა თანაკლასელების დამოკიდებულება მათ მიმართ.

აღმოჩნდა, რომ მოზარდთა აღნიშნული ნაწილის 64,6 პროცენტს, ანუ თითქმის 2/3-ს ჰყავს ახლო მეგობარი თანაკლასელებს შორის, 25,0 პროცენტს არ ჰყავს, ხოლო 7,4 პროცენტს გაუჭირდა კითხვაზე პასუხის გაცემა, რაც იმას უნდა მოწმობდეს, რომ არც მათ ჰყავთ ახლო მეგობარი თანაკლასელებს შორის.

გაირკვა, რომ იმ მოზარდებიდან, რომელთაც ჰყავთ ახლო მეგობარი, და ახლოებით 2/3-მა ისინი სასწავლებელში გაიცნო, რაც სრულიად ბუნებრივია. რადგან მოზარდების შეგნებული ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი სასწავლებელთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. 40,4 პროცენტმა უჩვენა, რომ ახლო მეგობრები ეზოში გაიცნო, ხოლო 32,4 პროცენტმა, ანუ დაახლოებით მესამედმა, მეგობრების გაცნობის ადგილად ქუჩა დაასახელა.

ის გარემოება, რომ მოზარდთა ამ ნაწილის თითქმის ნახევარმა ეზოში გაიცნო მეგობრები, აგრეთვე ბუნებრივად უნდა მივიჩნიოთ, რადგან მოზარდები სკოლისა და მეცადინეობისაგან თავისუფალ დროს უმთავრესად ეზოში ატარებენ. სულ სხვაგვარად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ მოზარდთაგან მესამედმა ახლო მეგობრების გაცნობის ადგილად ქუჩა დაასახელა, რადგან ხშირად სწორედ ქუჩა ახდენს დამლუჯველ გავლენას მოზარდებზე.

დავადგინეთ აგრეთვე, არიან თუ არა გამოკითხულ მოზარდთა მეგობრებს შორის ისეთები, ვისაც ჩადენილი აქვს რაიმე სამართალდარღვევა. მიღებულმა მონაცემებმა ნათელყო, რომ გამოკითხულთა 37,0 პროცენტს ჰყავს სამართალდამრღვევი მეგობრები. გამოკითხვამ ცხადყო, რომ მოზარდთა ამ კატეგორიის მეგობრების თითქმის 1/5 ბოროტად იყენებს ალკოჰოლურ სასმელებს, ხოლო 12,1 პროცენტი მისდევს აზარტულ თამაშობებს. გარდა ამისა, აღმოჩნდნენ ისეთებიც, ვინც იყენებს ნარკოტიკულ ნივთიერებებს, ეწევა ამორალურ ცხოვრებას და სხვა.

მიღებული მონაცემებიდან საინტერესოა აგრეთვე იმის გარკვევა, თუ რა აკავშირებს გამოკითხულ მოზარდებს მეგობრებთან. გამოკითხულთა 43,5 პროცენტმა დაასახელა ერთობლივი დროსტარება, ხოლო 7,2 პროცენტმა ისიც კი აღნიშნა, რომ მეგობრებთან წესრიგის ერთობლივი დარღვევა აკავშირებს. რომ აღარაფერი ვთქვათ ამ ბოლო პასუხზე, ის გარემოებაც, რომ გამოკითხულთა მნიშვნელოვანი ნაწილი მეგობრობს ანტისაზოგადოებრივი ქცევის მატარებელ ელემენტებთან და სამართალდამრღვევ პირებთან, სერიოზული შეშფოთების საფუძველს იძლევა.

გარკვეული ყურადღება დაეთმო აგრეთვე იმის დადგენას, თუ სად ხვდებიან გამოკითხული მოზარდები თავიანთ მეგობრებს. უმრავლესობამ (58,4 პროცენტი) გვიპასუხა, რომ ისინი თავიანთ მეგობრებს უმეტესწილად ქუჩაში ხვდებიან. დანარჩენ მოზარდთაგან 37,2 პროცენტმა ანუ 1/3-ზე ნეტმა მეგობრებთან შეხვედრის ძირითადი ადგილად ეზო დაასახელა.

ამის შემდეგ გამოვარკვიეთ, თუ როგორ ატარებენ მოზარდები მეგობრებთან ერთად თავისუფალ დროს. 42,2 პროცენტმა ანუ თითქმის ნახევარმა მიუთითა, რომ დროს უმეზონოდ ატარებს ეზოსა და ქუჩაში, 12,1 პროცენტმა აღნიშნა, რომ მეგობრებთან ერთად სვამს სპირტიან სასმელებს, 10,9 პროცენტმა კი განაცხადა, რომ მეგობრებთან ერთობიან აზარტული თამაშობებით და სხვა.

ყოველივე ეს კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ჯერ კიდევ სათანადო სი-
მადლეზე არ დგას საცხოვრებელ ადგილას მოზარდთა თავისუფალი დროის
რაციონალური ორგანიზაცია, რაშიც ბრალი მიუძღვის როგორც ოჯახსა და
სკოლას, ისე სპეციალიზებულ სკოლისგარეშე და კლასგარეშე დაწესებუ-
ლებებს.

ამის მაჩვენებელია შედეგები, რომლებიც ჩვენ მივიღეთ იმის გარკვევით,
თუ რამდენად აქტიურად არიან ჩაბმული ამ კატეგორიის მოზარდები სპორ-
ტული სექციების, სხვადასხვა წრეების მუშაობაში და სხვა.

აღმოჩნდა, რომ ამა თუ იმ სახეობის სპორტს მისდევს გამოკითხულ პირ-
თა მხოლოდ 20,7 პროცენტი ანუ 1/5. მაშინ, როდესაც ჩვენი საფუძვლიანი
გარაუდით მათი თანატოლებიდან პროცენტულად ბევრად მეტი მისდევს ფიზ-
კულტურასა და სპორტს. საწრეო მუშაობაში აგრეთვე ჩაბმულია სამართალ-
დამრღვევთა უმნიშვნელო ნაწილი (9,6 პროცენტი ანუ 1/10-ზე ნაკლები), მა-
შინ, როდესაც უპირველესად სწორედ ამ კატეგორიის მოზარდები უნდა ჩავა-
ბათ სხვადასხვა წრეების საქმიანობაში.

დავინტერესდით აგრეთვე იმით, თუ როგორ ატარებენ ისინი სწავლი-
საგან თავისუფალ დროს. კერძოდ, კითხულობენ თუ არა მხატვრულ ლიტე-
რატურას და პერიოდიკას, ხშირად დადიან თუ არა კინოსა და თეატრში, უყუ-
რებენ თუ არა ტელეგადაცემებს და ა. შ. გამოირკვა, რომ გამოკითხულთა ნა-
ჭევარზე მეტი (55,0 პროცენტი) საერთოდ არ კითხულობს მხატვრულ ლიტე-
რატურას, ხოლო 30,6 პროცენტი ანუ მესამედი იშვიათად კითხულობს მას. რაც
შეეხება იმათ, ვინც აღნიშნა, რომ მხატვრულ ლიტერატურას სისტემატიურად
კითხულობს, ისინი მხოლოდ შეადგენს 4,4 პროცენტს, ანუ 1/20-ზე ნაკლებს.
ამგვარად, გამოკითხულთა 85,6 პროცენტი ანუ უდიდესი უმრავლესობა სულ
არ კითხულობს მხატვრულ ლიტერატურას ან კითხულობს იშვიათად.

მოზარდთა უმრავლესობა არც პერიოდული პრესისადმი იჩენს დიდ ინ-
ტერესს. იშვიათად კითხულობს გაზეთებს გამოკითხულთა 42,3 პროცენტი,
ჟურნალებს — 27,2 პროცენტი, საერთოდ არ კითხულობს გაზეთებს — 34,9
პროცენტი, ხოლო ჟურნალებს — 61,4 პროცენტი.

ამგვარად, მოზარდთა მიერ გაცემული პასუხი ამ შეკითხვაზე ყველა სა-
ფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მათი უდიდესი უმრავლესობა საერთო
განვითარების მეტად დაბალ დონეზე დგას.

ასევე მცირეა იმ მოზარდთა ხვედრითი წილი, რომლებიც სისტემატიუ-
რად ან ხშირად დადიან თეატრში (5,2 პროცენტი), დანარჩენი მოზარდებიდან
იშვიათად დადის თეატრში 26,7 პროცენტი, ხოლო სრულებით არ დადის—
68,1 პროცენტი.

აქედან გასაგები ხდება თუ გამოკითხულთა უმრავლესობა სკოლისა და
მეცადინეობისაგან თავისუფალ დროს რატომ ატარებს უმიზნოდ ეზოსა და ქუ-
ჩაში, რატომ აქვთ დაბალი გემოვნება და სულიერი სიღარიბე. ეს კი მოზარ-
დებს ხშირად ყოველგვარი ანტისაზოგადოებრივი საქციელისაკენ უბიძგებს.

გამოკვლევისას შევისწავლეთ აგრეთვე საკითხი, იყენებენ თუ არა გამო-
კითხული მოზარდები სპორტიან სამელებს. აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთაგან
28,7 პროცენტი ანუ თითქმის მესამედი ხშირად სვამს სპორტიან სამელებს, მა-
შინ, როდესაც ეს დაუშვებელია, რადგან დამოუპველ ზემოქმედებას ახდენს



ჯერ კიდევ ზრდადაუსრულებელ ორგანიზმზე. გამოკითხულ პირებს დაესვათ შეკითხვა, თუ რა ასაკიდან დაიწყეს სპირტიანი სასმელების სმა. 59,6 პროცენტი ანუ 1/2-ზე მეტი ალკოჰოლურ სასმელებს 14-15 წლის ასაკიდან იყენებს, ხოლო 5,7 პროცენტმა მათი გამოყენება 10-13 წლის ასაკიდანაც კი დაიწყო. გამოკითხულთა 56,8 პროცენტი ანუ 1/2-ზე მეტი სპირტიან სასმელებს ძირითადად ეზოს მეგობრებთან ერთად სვამს, ხოლო 26,2 პროცენტი სკოლის ამხანაგებთან ერთად სვამს. განსაკუთრებით შემამოფოთებელია ის ფაქტი, რომ გამოკითხულთა ნაწილმა თავის პარტნიორებად სმაში ნათესავეები და მშობლებიც კი დაასახელა (შესაბამისად 21,0 პროცენტი და 6,3 პროცენტი).

ასეთია მოზარდთა სამართალდარღვევის კონკრეტულ-სოციოლოგიური გამოკვლევის ზოგიერთი შედეგი ქ. თბილისის მასალების მიხედვით. აუცილებელია ეს მონაცემები ვათვალისწინებულ იქნეს რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების მიერ არასრულწლოვანთა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შემუშავებისას.

გამოკვლევა შესრულებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამნაშავეობის სოციოლოგიის სამეცნიერო კვლევით ლაბორატორიაში.



აღმოსავლური საბჭოების აღმასკომების დარგობრივ განყოფილებათა და სამმართველო-განყოფილებათა და სამმართველოთა კომპეტენციის საზღვრების დასაზღვრების და სამმართველოთა კომპეტენციის საზღვრების დასაზღვრების სრულყოფისათვის

3. თორღია

ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების დარგობრივ განყოფილებათა და სამმართველო-განყოფილებათა კომპეტენციის საზღვრები სათანადო სისრულით არ არის შესწავლილი საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში.

საკვ. ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი თავის გამოსვლაში ქ. მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 1980 წლის 22 თებერვალს სამხარეო, საოლქო, საოკრუგო საბჭოების ძალიან და მნიშვნელობის ამაღლების აუცილებლობასთან დაკავშირებით მიუთითებდა: „საჭიროა, რომ ისინი გამოდიოდნენ მთავარ ძალად კომპლექსურ ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში თავის ტერიტორიაზე“. ეს მითითებები სრულად აისახა კანონში სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო საბჭოების ავტონომიური ოლქებისა და ავტონომიური ოკრუგების სახალხო დეპუტატთა საბჭოების ძირითად უფლებამოსილებათა შესახებ, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეათე მოწვევის მესამე სესიამ მიიღო 1980 წლის 25 ივნისს. ამ კანონის მე-5 მუხლში ნათქვამია, რომ სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო, საოკრუგო საბჭო თავის ტერიტორიაზე ხელმძღვანელობს სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობას; ამტკიცებს მხარის, ოლქის, ავტონომიური ოლქის, ავტონომიური ოკრუგის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებსა და ბიუჯეტებს; ხელმძღვანელობს მისდამი დაქვემდებარებულ სახელმწიფო ორგანოებს, საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს. უზრუნველყოფს კოლმეურნეობების, სხვა კოოპერაციული ორგანიზაციებისა და მათი გაერთიანებებისადმი სახელმწიფო ხელმძღვანელობას; ხელს უწყობს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას; უზრუნველყოფს კანონების, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის, სახელმწიფო და სასოგადოებრივი წესრიგის, მოქალაქეთა უფლებების დაცვას.

ამრიგად, ამ კანონის მიღებით, ხოლო შემდგომ მოკავშირე რესპუბლიკათა შესაბამისი საკანონმდებლო აქტების მიღებით (კერძოდ, საქართველოში — კანონის სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ), მთავრდება ადგილობრივი საბჭოების სისტემის ყველა რგოლის უფლებამოსილებათა საკანონმდებლო რეგლამენტაციის პროცესი.

ასეთ პირობებში კიდევ უფრო ინტენსიურად უნდა წარმოებდეს ადგილობრივი საბჭოების დაინტერესებული რგოლის აღმასკომების განყოფილებათა და სამმართველოთა დებულებების შემუშავება და მიღება. კერძოდ, საჭიროა ამ ორგანოთა კომპეტენციის ზუსტად განსაზღვრა, რაც უშუალო გავლენას მოახდენს საბჭოებისა და მათი აღმასკომების საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებაზე. ვინაიდან სწორედ განყოფილებებისა და სამმართველოების მეშვეობით ახორციელებენ საბჭოები და მათი აღმასკომები სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის შესაბამისი დარგების მართვას. მათი სტატუსის სათანადო სამართლებრივი რეგულირებისაგან, როგორც ცნობილია, ბევრად არის დამოკიდებული საბჭოებისა და აღმასკომების წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა.

კანონებმა ამ ორგანოების სისტემის მაღალი და საშუალო რგოლის ადგილობრივი საბჭოების შესახებ განსაზღვრა, რომ დებულებებს განყოფილებათა და სამმართველოთა შესახებ ამტკიცებს მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო. ამ კანონის მიღებამდე, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს თითქმის არ დაუმტკიცებიათ დებულებები შესაბამის განყოფილებათა და სამმართველოთა შესახებ. ასეთი აქტები, როგორც წესი, მტკიცდებოდა შესაბამისი საბჭოებისა ან მათი აღმასკომების გადაწყვეტილებებით, ან მოკავშირე რესპუბლიკათა შესაბამისი სამინისტროების ბრძანებებით. ასეთ პირობებში თუ განყოფილებათა და სამმართველოთა დებულებების დამტკიცების წესის თაობაზე სპეციალური საკანონმდებლო აქტების არსებობის გამო. დებულებების მიღება საბჭოებისა და აღმასკომების მიერ იურიდიულად შეიძლება გამართლებულად ჩათვლილიყო, — მოკავშირე რესპუბლიკათა სამინისტრო-

ბის მხრივ ამავე ფუნქციის განხორციელება მათი კომპეტენციის ფარგლების გადაცილებას წარმოადგენდა, ვინაიდან განყოფილებები და სამმართველოები საბჭოებისა და მათი აღმასკომების ორგანოებია.

ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების განყოფილებათა და სამმართველოთა შესახებ ამაჟამად მოქმედ დებულებებში არ არის ერთგვაროვნება ამ აქტების სტრუქტურაში. ვარდა ამისა, მთელ რიგ განყოფილებებსა და სამმართველოებს საერთოდ არა აქვთ დებულებები, ზოგიერთი კი თავის საქმიანობას ახორციელებს მოძველებული დებულებების საფუძველზე (მაგალითად, კიევის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველო მოქმედებს იმ დებულების საფუძველზე, რომელიც კიევის საოლქო საბჭოს 1957 წლის 10 მაისის გადაწყვეტილებით იყო დამტკიცებული, თუმცა მას შემდეგ ამ სამმართველოს ორგანიზაციასა და საქმიანობაში არსებითი ხასიათის ცვლილებები მოხდა). ამასთან დაკავშირებით, ცხადია, რომ ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების დარგობრივ განყოფილებათა და სამმართველოთა კომპეტენციის თეორიული საფუძვლების შემუშავებამ არსებითი დახმარება უნდა გაუწიოს ამ ორგანოებს უფლებათა და მოვალეობათა ნორმატიულ რეგულირებაში, და ამ ორგანოთა გამგებლობაში მყოფი საკითხების წრის განსაზღვრაში, რაც ხელს შეუწყობს მათი მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებას.

ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების განყოფილებათა და სამმართველოთა, ისევე როგორც ყველა სხვა სახელმწიფო ორგანოს, სამართლებრივი მდგომარეობა მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება მათი კომპეტენციით. ზოლო იმისათვის, რომ სწორად განისაზღვროს ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების განყოფილებათა და სამმართველოთა კომპეტენცია, საჭიროა განისაზღვროს სახელმწიფო მმართველობის ორგანოს კომპეტენციის ცნება მისი ძირითადი ელემენტების დადგენის პოზიციებიდან. ამ საკითხზე იურიდიულ ლიტერატურაში სხვადასხვა თვალსაზრისია გამოთქმული. შეცნიერთა ნაწილი კომპეტენციას განსაზღვრავს როგორც უფლებამოსილებათა ან უფლებათა ერთობლიობას;² მეორენი მას განსაზღვრავენ როგორც უფლებათა და მოვალეობათა ერთობლიობას,³ მესამენი უფლებათა და მოვალეობათა გარდა კომპეტენციის ცნებაში გულისხმობენ კიდევ ერთ ელემენტს — „საკითხთა წრეს“, ან „საქმეთა წრეს“, „საქმიანობის წრეს“, „საქმიანობის კონკრეტულ დარგს“, „გამგებლობის საგნებს“ და ა. შ. თანაც ამ ცნებებს ერთი და იგივე ან სხვადასხვა შინაარსით ხმარობენ⁴.

როგორც მოყვანილი განსაზღვრებებიდან ჩანს; „სახელმწიფო მმართველობის ორგანოს კომპეტენციის“ ცნებაში მკვლევართა უმრავლესობას შეაქვს ისეთი ელემენტები, როგორც არის უფლებამოსილებათა (უფლებებისა და მოვალეობების) ერთობლიობა, აგრეთვე გამგებლობის საგნები. მაგრამ სახელმწიფო მმართველობის ორგანოს კომპეტენციის ცნების შინაარსის სრული განმარტებისათვის, ეს ელემენტები არ კმარა. კერძოდ, შესაბამისი ორგანოს საქმიანობის ტერიტორიულ ფარგლებს, ასევე არცთუ მცირე მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან მმართველობის თითოეული ორგანო „მიჩაჭვულია“ ამა თუ იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორი-

² См.: напр. Лепишкин А. И., Ким А. И., Мишин Н. Г., Романов П. И. Курс советского государственного права, т. 2 М., «Юридическая литература» 1962, с. 88, 147, 386.

³ См.: напр. Власов В. А., Студоникин С. С. Советское административное право, М., Госюриздат, 1959, с. 15.

Мамутов В. Н. Компетенция государственных органов в решении хозяйственных вопросов промышленности, М., Госюриздат, 1962, с. 10;

Азовкин И. А. Местные Советы в системе органов власти, М., «Юридическая литература» 1971, с. 179.

⁴ См.: напр., Александров Н. Г. Право и законность в период развернутого строительства коммунизма, М., Госюриздат, 1961, с. 239; Местные Советы на современном этапе, М., «Юридическая литература», 1965, с. 52; Василенков П. Т. Органы советского государства и их система на современном этапе, М., «Юридическая литература», 1967, с. 39; Шеремет К. Ф. Компетенция местных советов, М., издательство МГУ, с. 11; Кузнецов. Компетенция высших органов власти и управления СССР, М., «Юридическая литература», 1969, с. 14; Лазарев Б. М., Компетенция органов управления, М., «Юридическая литература», с. 112. 1972. И. Ф. Бутко. Шемшученко Ю. С. Мисцели Ряди и забезпечення законности, К., «Наукова думка», 1973, с. 19; Шережет К. Ф., О. Е. Кутафин. Компетенция местных Советов депутатов трудящихся, М., «Знание», 1976, с. 12.

ულ ერთეულთან და ფართო უფლებამოსილებანი აქვს მინიჭებული ამ ტერიტორიის ფარგლებში განლაგებულ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მიმართ.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვან მომენტს სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ცნების შინაარსის გაგებისათვის წარმოადგენს მისი ამოცანები და ფუნქციები, თუმცა ისინი არ შეაქვთ კომპეტენციის ელემენტთა შინაარსში. სახელმწიფო მმართველობას ორგანოს სამართლებრივი სტატუსი მნიშვნელოვნად უფრო ფართოა, ვიდრე კომპეტენცია. კომპეტენცია სამართლებრივი სტატუსის მხოლოდ ნაწილს შეადგენს.⁵

ამრიგად, მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე და სახელმწიფო მმართველობის ორგანოს კომპეტენციის საკითხზე არსებულ მსჯელობათა გათვალისწინებით, ჩვენი აზრით, შესაძლებელია სახელმწიფო მმართველობის ორგანოს კომპეტენციის შემდგომი განსაზღვრების ჩამოყალიბება: სახელმწიფო მმართველობის ორგანოს კომპეტენცია — ეს არის ერთობლიობა კანონმდებლობით დადგენილი გამგებლობის საგნებისა, რომელთა ფარგლებშიც მოცემულ ორგანოს აქვს განსაზღვრული უფლებამოსილებანი (უფლებები და მოვალეობები) და რომლებიც ხორციელდება შესაბამისი ტერიტორიის ფარგლებში, ამ ორგანოების საერთო სისტემაში სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ამოცანების, ფუნქციებისა და ადგილის გათვალისწინებით.

კომპეტენციის ცნებაში საჭიროა აისახოს აგრეთვე დარგობრივი განყოფილებებისა და სამმართველოების მდგომარეობა და ადგილი სახელმწიფო მმართველობის იმ ორგანოთა სისტემაში, რომლებიც ექვემდებარებიან როგორც საბჭოს და მის აღმასკომს, ისე სახელმწიფო მმართველობის ზემდგომ დარგობრივ ორგანოს. ამ დებულების საფუძველზე ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების განყოფილებათა და სამმართველოთა უფლებამოსილების განსაზღვრისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს, აგრეთვე ის უფლებები და მოვალეობები, რომლებსაც ახორციელებს აღმასკომი და სახელმწიფო მმართველობის ზემდგომი დარგობრივი ორგანო. ეს ხელს შეუწყობს განყოფილებათა და სამმართველოთა შორის მათი ურთიერთობის პროცესში შრომის უფრო ზუსტ განაწილებას, ერთი მხრივ, აღმასკომთან, ხოლო, მეორე მხრივ — სახელმწიფო ხელისუფლების ზემდგომ ორგანოსთანაც.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების დარგობრივ განყოფილებათა და სამმართველოთა კომპეტენცია შეიძლება განისაზღვროს როგორც კანონმდებლობის (კერძოდ, ადგილობრივი საბჭოებისა და სახელმწიფო მმართველობის ზემდგომი ორგანოების შესახებ კანონმდებლობის) საფუძველზე დადგენილი მათი გამგებლობის საგნების ერთობლიობა, რომელთა ფარგლებში მათ აქვთ უფლებამოსილებანი (უფლებები და მოვალეობები), რომლებიც ხორციელდება შესაბამის ტერიტორიაზე, საბჭოებისა და მათი აღმასკომებისადმი, აგრეთვე სახელმწიფო მმართველობის ზემდგომი დარგობრივი ორგანოებისადმი დაქვემდებარებული მმართველობის დარგობრივი ორგანოების ამოცანების, ფუნქციების და სისტემაში მათი ადგილის გათვალისწინებით. ჩვენი აზრით, ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების დარგობრივ განყოფილებათა და სამმართველოთა კომპეტენციის ასეთი განსაზღვრება შეიძლება გახდეს განსაზღვრული მეთოდოლოგიური წინამძღვარი ადგილობრივი საბჭოების განყოფილებათა და სამმართველოთა შესახებ დებულებების შემუშავებისას, კერძოდ, ასეთი აქტების სტრუქტურის განსაზღვრისას ერთგვაროვნების უზრუნველსაყოფად.

ვხელმძღვანელობთ რა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების დარგობრივ განყოფილებათა და სამმართველოთა ზემოთ ჩამოყალიბებული განსაზღვრებით, აგრეთვე სპეციალური იურიდიული ლიტერატურის შესწავლის, რუსეთის სფს რესპუბლიკის, უკრაინისა და საქართველოს სს რესპუბლიკების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების განყოფილებათა და სამმართველოთა შესახებ მოქმედი დებულებების საფუძველზე ჩვენ ვფიქრობთ, რომ ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების განყოფილებათა და სამმართველოთა შესახებ შესაშუშავებელი დებულებების სტრუქტურა შემდეგი უნდა იყოს: 1. ზოგადი დებულებანი, 2. ძირითადი ამოცანები, 3. ფუნქციები, 4. მოვალეობები, 5. უფლებები, 6. მუშაობის ორგანიზაცია. განყოფილებათა და სამმართველოთა დებულებების ასეთი სტრუქტურა, ჩვენი აზრით, სრულად ასახავს სახალხო დებუტატთა საბჭოების აღმასკომების დარგობრივ განყოფილებათა და სამმართველოთა სამართლებრივი მდგომარეობის სპეციფიკას.

⁵ Цабрия Д. Д. Статус органа управления. Советское государство и право» 1978, № 2, с. 127.

საბინაო კანონმდებლობის საფუძვლების პროექტის შესახებ

მ. კაციტაძე, ა. ზოგოლავა

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბინაო კანონმდებლობის საფუძვლების¹ პროექტი 7 კარისა და 55 მუხლისაგან შედგება. მისი შინაარსის ამომწურავად გადმოცემა საყურნალო სტატიაში შეუძლებელია. მკითხველის ყურადღებას მივაპყრობთ „საფუძვლების“ პროექტის მარტოოდენ სიახლეებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს მოქალაქეთა საბინაო უფლება-მოვალეობასთან.

უპირველეს ყოვლისა რამდენიმე სიტყვა თვით „საფუძვლების“ არსის შესახებ. ცნობილია, რომ სახელმწიფო, საზოგადოებრივი და სამეურნეო ცხოვრების მრავალ დარგში უკვე მიღებულია და მოქმედებს შესაბამისი კანონმდებლობის საფუძვლები. ერთ-ერთ ასეთ აქტად გვევლინება „საფუძვლების“ პროექტიც, რომელმაც უნდა დაადგინოს ყველა მოკავშირე რესპუბლიკისათვის სავალდებულო დებულებები ამ სფეროში და ამავე დროს განსაზღვროს საკითხთა წრე, რომლებიც მოკავშირე რესპუბლიკების კომპეტენციას განეკუთვნება.

ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს, თითქოს საკავშირო და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა ამ ურთიერთობას ერთხელ და სამუდამოდ აწესრიგებდეს. როგორც საკავშირო, ისე მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა მომწიფებული სოციალიზმის მოთხოვნათა შესაბამისად დინამიკურად ვითარდება. ამას ითვისალისწინებს ყველა ამჟამად მოქმედი საფუძვლები, მათ შორის განსახილველი პროექტიც.

„საფუძვლების“ პროექტის მე-7 და მე-8 მუხლები გამიჯნავენ საბინაო ურთიერთობათა სფეროში მმართველობის საკავშირო ორგანოების კომპეტენციას მოკავშირე რესპუბლიკების კომპეტენციისაგან. პროექტის ამ მუხლებით საკავშირო კანონმდებლობისთვის მიკუთვნებულ უფლებამოსილებათა შორის (რომელთა მიხედვითაც უნდა გამოიყენოს მომავალში სათანადო აქტები) აღსანიშნავია შემდეგი: თუ ამჟამად საბინაო ფონდის რემონტი, მათ შორის სადგომის (ბინის) გადაგეგმარების, გადაკეთების ნორმები და წესები, რეგულირდებოდა მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით, ამას მომავალში დაადგენს საკავშირო კანონმდებლობა; საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების შექმნისა და საქმიანობის ძირითადი წესების შემუშავებაც საკავშირო კანონმდებლობის კომპეტენციაში შედის. ამის შესაბამისად, მოკავშირე რესპუბლიკები განსაზღვრავენ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრთა უფლება-მოვალეობებს და ამტკიცებენ კოოპერატივის სანიმუშო წესდებებს; მოქალაქეთა ბინით დაკმაყოფილების აღრიცხვაზე აყვანის წესები და ზოგიერთი სხვა საკითხი, რომლებიც ამჟამად მოწესრიგებულია სახალხო დებულებათა საბჭოების მიერ დამტკიცებული წესებით და საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს

¹ შემდეგში შემოკლებით — „საფუძვლები“.

1964 წლის 30 ივლისის სავარაუდო დებულებით, აგრეთვე საბინაო ფონდის რემონტის დარგში ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის განხორციელება გადავა საკავშირო ორგანოთა გამგებლობაში.

საფუძვლების პროექტის მე-7 და მე-8 მუხლებით გათვალისწინებულ სფეროებში საკანონმდებლო საქმიანობა განხორციელდება მომავალში, „საფუძვლების“ მიღების შემდეგ. ამჟამად კი „საფუძვლები“ გვთავაზობს საერთო საკავშირო ხასიათის ნორმებს, რომელთა უმრავლესობა წინათ დადგენილი იყო საკავშირო და მოკავშირე რესპუბლიკების მთავრობების და მათი კომპეტენტური ორგანოების ცალკეული გადაწყვეტილებებით, აგრეთვე სასამართლო პრაქტიკით.

ამავე დროს „საფუძვლების“ პროექტში არის სიახლენი, რომლებიც მისი მიღების შემდეგ აუცილებლად გამოიწვევს ამჟამად მოქმედი საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 27-ე თავში მოთავსებული ნორმების (საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის შესახებ) გადამუშავებას 290 მუხლიდან 335 მუხლამდე, და ამავე კოდექსის 26-ე თავში (ქონების ქირავნობა) შესული ზოგიერთი ნორმის სრულიად ახლით შეცვლას. ეს მეტად შრომატევადი სამუშაოა და იგი შეიძლება განხორციელდეს ორი მიმართულებით: 1. შეიქმნას საბინაო კანონთა კოდექსი, რომელშიც შევა ყველა ის იურიდიული და იურიდიულ-ტექნიკური ნორმები, რომლებიც საბინაო ურთიერთობებს, საბინაო ფონდის მოვლას და მართვას ეხება. ეს პრაქტიკულად კი მოსახერხებელია, მაგრამ იგი დაცილებული იქნება სამოქალაქო სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილს, რადგან ზოგადი ნაწილის იდეებისა და განსაზღვრებათა გარეშე შესაძლოა ზოგჯერ მიუწვდომელი გახდეს საბინაო კანონის შინაარსი.

2. შეიქცვას და გარდაიქნას სამოქალაქო სამართლის კოდექსში მოქცეული საბინაო ურთიერთობათა მომწესრიგებელი ნორმები. ეს უკანასკნელი გზაც არ არის მთლიანად გამართლებული, ვინაიდან კოდექსში ვერ შევა საბინაო საქმის ორგანიზაციის პრინციპები, აგრეთვე აუცილებელი ტექნიკური ნორმები. „საფუძვლების“ პროექტის მე-3 მუხლში მრავლობით რიცხვშია მითითება „საბინაო კოდექსებზე“, რაც, ალბათ, იმას ნიშნავს, რომ ასეთი კოდექსები გამოიცემა მოკავშირე რესპუბლიკების მიერ, თუმცა ეს კატეგორიულად არ არის ნათქვამი. მომავალი გვიჩვენებს, თუ რომელ გზას აირჩევს კანონმდებელი.

როგორც ზემოთ ითქვა, მოქალაქეებისათვის ბინის მიცემის აღრიცხვის ძირითად წესებს ადგენს საკავშირო კანონმდებლობა, მაგრამ „საფუძვლების“ პროექტი უკვე ამჟამად იძლევა ზოგიერთ ახალ იდეას ამ საკითხში. მას დასაშვებად მიაჩნია, როგორც გამონაკლისი, სადგომის მიღებისათვის მოქალაქეების აღრიცხვაზე აყვანა „აგრეთვე არა მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით“ (მუხლი 21-ე). მართალია, მომავალი საკანონმდებლო აქტი გადაწყვეტს, თუ რა შემთხვევაში შეიძლება აიყვანონ მოქალაქე აღრიცხვაზე არა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, მაგრამ ასეთი შესაძლებლობა ყველა შემთხვევაში ცვლის თბილისში საცხოვრებელი ფართობის განაწილების ამჟამად მოქმედი დებულების 30-ე მუხლს, რომლის ძალითაც თბილისის ფარგლებს გარეთ მცხოვრებნი, მაგრამ მუდმივად თბილისში მომუშავე მოქალაქენი არ აიყვანებიან აღრიცხვაზე თბილისში.

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივისა და პირადი საკუთრების სახლებში

მცხოვრები მოქალაქენი, რომლებიც საბინაო პირობების გაუმჯობესებას მოითხოვენ, აღრიცხვაზე აიყვანებიან საერთო საფუძვლით (მუხლი 19). ამ ნორმის გამოყენება მოითხოვს მრავალი საკითხის წინასწარ დამუშავებას.

„საფუძვლების“ პროექტი უცვლელად ტოვებს ამჟამად არსებულ წესს სამამულო ომის ინვალიდების, გმირებისა და ზოგიერთ სხვა პირთა ბინებით პირველ რიგში დაკმაყოფილების შესახებ. მაგრამ ამავე კატეგორიის ჯგუფს მიაკუთვნებს წარმოებაში უბედური შემთხვევის შედეგად დაღუპულთა ოჯახებს, შრომის ვეტერანებს, მრავალშვილიან დედებსა და მარტოხელა ქალებს, ოჯახებს ტყულების გაჩენისას. ეს სია შეიძლება გაფართოვდეს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით (მუხლი 22-ე). პირველ რიგში ბინით უზრუნველყოფის ცნების გარდა „საფუძვლების“ პროექტში იხმარება ტერმინი ბინის რიგგარეშე მიცემა. ასეთი შეღავათითსარგებლობენ სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული მოქალაქენი. ამ კატეგორიის მოქალაქეთა წრის გაზრდა დასაშვებია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით (მუხლი 23-ე).

მართალია, ამ ნორმაში ნახსენები არ არის მოქალაქენი, რომელთა პირადი საკუთრების სახლები დაინგრა მიწის ნაკვეთის ჩამორთმევის გამო, თუ ისინი უარს ამბობენ ფულად კომპენსაციაზე ან კოოპერატივში რიგგარეშე შესვლაზე, მაგრამ ეს მოქალაქენიც უნდა მიეკუთვნონ რიგგარეშე დასაკმაყოფილებელ მოქალაქეთა კატეგორიას (მუხლი 46-ე). იგულისხმება, რომ ბინები რიგგარეშე მიეცემა მოქალაქეებს, რომლებიც ცხოვრობენ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების ასაღებ სახლებში ან სახლებში, რომლებიც არასაცხოვრებლად უნდა გადაკეთდეს (მუხლი 37).

ჩვენი აზრით, ასაღები სახლების მესაკუთრეების და სხვა ასაღებ სახლებში მცხოვრებ მოქალაქეთა მდგომარეობა უნდა განსხვავდებოდეს იმის მიხედვით, სახლის ალება საცხოვრებელი რაიონის და მიკრორაიონის დეტალური დაგეგმარების და განაშენიანების 3—5 წლიანი გეგმის შესაბამისად ხდება, თუ სათანადო ორგანოს ინდივიდუალური გადაწყვეტილებით (განკარგულებით) ამ გეგმის გარეშე, თუნდაც სახლის ალება გენერალური გეგმის მოთხოვნებს არ ეწინააღმდეგებოდეს.

„საფუძვლების“ პროექტი ითვალისწინებს მიწის ნაკვეთის ჩამორთმევის გამო სახლის ალების შედეგად მესაკუთრეებისათვის მიყენებული ზარალის კომპენსაციას (მუხლი 46) და სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახლების ალებისას მათში მცხოვრები მოქალაქეების ბინებით დაკმაყოფილებას (37-ე მუხლი). პროექტით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა მესაკუთრის ან მოქალაქის წინაშე სავსებით სამართლიანია, თუ სახლის ალება ხდება პირველი ვარიანტის მიხედვით, მაგრამ თუ სახლს იღებენ 20—25 წლით გათვალისწინებული პერსპექტიული გეგმის საფუძველზე, მაგრამ დეტალური დაგეგმარების გაუთვალისწინებლად, სახლის ალების პასუხისმგებლობა, ჩვენი აზრით, აუცილებელია გაიზარდოს. ალებული სახლის მესაკუთრეს შესაძლებლობა უნდა მიეცეს რაიონის შერჩევისა, სრულწლოვანი წევრების ოჯახიდან გამოყოფისა, დამატებითი ფართობის გადიდებისა, ან მესაკუთრეთა ფულადი კომპენსაციით უზრუნველყოფის შემთხვევაში სახლის ღირებულება განისაზღვროს იმის მიხედვით, თუ საშუალოდ რა ჯდება ფაქტობრივად ერთი მ² ფართობის მშენებლობა მოცემულ ადგილზე.

რუსეთის სფს რესპუბლიკის ცაკის და სახკომსაბჭოს 1932 წლის 1 აგვისტოს დადგენილება (შემდგომი ცვლილებებით) განსაზოგადოებელი ორგანიზაციებისთვის მშენებლობის მიზნით მიწის ნაკვეთის უვადოდ გამოყოფის შესახებ (მე-11 მუხლის შენიშვნა) ითვალისწინებდა მშენებლის გაძლიერებულ პასუხისმგებლობას გეგმის გარეშე წარმოებული სამუშაოებით მოქალაქეთათვის ზარალის მიყენების შემთხვევაში იმასთან შედარებით, როდესაც სამუშაოები ხორციელდებოდა გეგმიანად.

ეს ნორმა აღდგენილი უნდა იქნეს, რადგან არცთუ იშვიათია მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის (მასზე მდგარი სახლით) ნებისმიერად გამოყოფის შემთხვევები². ასეთი პრაქტიკის დამკვიდრება გაზრდის სათანადო ორგანიზაციების პასუხისმგებლობას ქალაქის რაიონების და მიკრორაიონების განაშენიანების გეგმების შედგენაში.

ამჟამად ქალაქის მოსახლეობა არც იცნობს ქალაქის რაიონების დეტალური დაგეგმვის სტაბილურ პროექტს, იგი მუდმივად განიცდის ცვლილებებს, ან რამდენიმე ვარიანტშია მოცემული, რაც თვითნებობის საშუალებას იძლევა. ჩვენი აზრით, ასეთივე გეგმა სათანადო აღმასკომში უნდა გამოიკრას ან გამოქვეყნდეს, როგორც ეს წარსულში ხდებოდა.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს „საფუძვლების“ პროექტის ის ნაწილი, რომელიც მოლაქებისთვის სადგომის მიცემის საკითხს აწესრიგებს (მუხლი 26).

ადგილობრივი საბჭოების და საუწყებო სახლებში ბინის მიცემის ამჟამინდელი წესი უცვლელად არის დატოვებული. საუწყებო ბინაში ჩასახლება ხდება უწყების ადმინისტრაციისა და პროფკავშირის პირველადი ორგანიზაციის ერთობლივი გადაწყვეტილებით, სათანადო აღმასკომისათვის შემდგომი შეტყობინებით. ანალოგიურად ხორციელდება საცხოვრებელი სადგომების მიცემა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, კოოპერაციულ, მათ შორის საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახლებში. აქაც სადგომის მიცემისათვის საჭიროა უწყების ადმინისტრაციისა და პროფკავშირის ორგანიზაციის გადაწყვეტილება სათანადო აღმასკომისათვის შემდგომი შეტყობინებით.

ამჟამად სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს, სამრეწველო და საწარმოო გაერთიანებათა დებულებები ითვალისწინებს ზეგეგმითი მოგებისა და მიღწეული ეკონომიის ხარჯზე აგებულ სახლებში ბინის დაკავების (ჩასახლებას) ადმინისტრაციისა და პროფკავშირის ორგანიზაციების ერთობლივი გადაწყვეტილებით დამტკიცებული სიის მიხედვით, სათანადო აღმასკომისათვის შემდგომი შეტყობინებით.

მართალია, ზოგჯერ შეზღუდული განმარტების შედეგად შეუძლებელი ხდება ამის განხორციელება პირდაპირი შინაარსის მიხედვით, მაგრამ პრაქტიკაში პროკურორატურის ვერც ერთმა ორგანომ ვერ გამოასახლა დაკავებული ბინიდან მოქალაქე, რომელიც შესახლებულია ადმინისტრაციისა და პროფკავშირის ორგანიზაციის ერთობლივი გადაწყვეტილებით უორდეროდ, მაგრამ მისთვის განკუთვნილ საუწყებო ბინაში.

თავისთავად ცხადია, რომ ბინაში ჩაწერისათვის აუცილებელია ორდერი, მაგრამ მისი უქონლობა განკუთვნილ ბინაში ჩასახლებისათვის არ შეიძლება

² იხ. „საბჭოთა სამართალი“, 1978, № 6, გვ. 41.

„მომავცდინებელ ცოდვად ჩაითვალოს“, თუ არ არის სხვა მიზეზი. მაგრამ ასეთი მიზეზი შეიძლება არსებობდეს ორდერის გაცემის დროსაც. ყოველ შემთხვევაში ორდერის აუცილებლობა ყოველგვარ მნიშვნელობას უკარგავს დებულებას „ბინის მიცემას აღმასკომისათვის შემდგომი შეტყობინებით“. „საფუძვლების“ პროექტს ამ საკითხში შუალედური გზა აურჩევია. იგი ერთმანეთს უთავსებს ორ ზემოთ აღნიშნულ გარემოებას: ერთი მხრივ, სადგომის მიცემას საუწყებო სახლში, ადმინისტრაციისა და პროფკავშირის ორგანიზაციის ერთობლივი გადაწყვეტილებით, აღმასკომისათვის შემდგომი შეტყობინებით და, მეორე მხრივ, აღიარებს ორდერის აუცილებლობას სადგომის დაუფლები-სათვის როგორც „ერთადერთ სამართლებრივ საფუძველს“ (პროექტის 27-ე და 43-ე მუხლები).

პრაქტიკაში მეტად დიდ უხერხულობას გამოიწვევს ორდერის ასეთი ფეტი-შიზაცია.

ზემოვების და ეკონომიის ხარჯზე აგებული სახლები ფაქტობრივად ეკუთ-ვნის საწარმოების მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივებს. თუ ასეთ სახლებში ჩა-სახლებისათვის აუცილებელი გახდება აღმასკომიდან ორდერების გამოთხოვ-ნა, ეს გამოიწვევს მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივის ჩამოცილებას ბინის გა-ნაწილებიდან და ამ საქმეს დაუმორჩილებს ჩასახლებისათვის ჩვეულებრივად გაბატონებულ წესს, რომელიც სახელმწიფო კონტროლის გაძლიერების თვალ-საზრისით მეტად სასარგებლოა, მაგრამ, როგორც ამას დაკვირვება გვიჩვენებს, ზღუდავს საწარმოების მუშა-მოსამსახურეებს, და ამდენად სამართლიანი არ არის. „საფუძვლების“ პროექტის მიხედვით, გაცემული ორდერი შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ დარღვეულია სადგომის მიცემის პირობები, ან თანამდებობის პირთა მოქმედება სადგომის მიცემის შესახებ გადაწყვეტი-ლების გამოტანის დროს არ არის მართლზომიერი ან თუ სადგომის მიღების მი-ზნით მოქალაქეებმა წარადგინეს არასწორი ცნობები (მუხ. 27-ე).

ორდერის ბათილობის შესახებ ნორმის ასეთი რედაქცია საკამათოა, რადგან ამ ნორმაში არ არის გათვალისწინებული ბინის მიღების კეთილსინდისიერების მომენტი. განვითარებული საბჭოთა სამართლისათვის კეთილსინდისიერების ცნების უგულებელყოფა სოციალისტური სამართლიანობის პრინციპებზე უა-რის თქმა იქნებოდა.

„საფუძვლების“ პროექტის 37-ე მუხლი აუქმებს მუშა-მოსამსახურეთა გა-მოსახლებას საუწყებო ბინებიდან სამაგიერო ბინის მიუცემლად, სამოქალაქო კანონმდებლობის ამჟამად მოქმედი 62-ე მუხლით გათვალისწინებულ საფუძვ-ლებით (სამუშაოს მიტოვება თავისივე განცხადებით, შრომის დისციპლინის დარღვევა, სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა). დღეისათვის მოქმედი ეს ნორმა მეტისმეტად მკაცრია და ფაქტობრივად გულისხმობს ოჯახის წევრ-თა წრიულ პასუხისმგებლობას მათი ბრალის გარეშე. 62-ე მუხლში ჩამოთვლი-ლი საფუძვლებით სადგომიდან გამოსახლება პროექტში შემორჩენილია მხო-ლოდ სამსახურებრივ სადგომებზე და საერთო საცხოვრებლებში მცხოვრებ მუ-შაკთა მიმართ, ამასთან ზოგიერთი გამონაკლისით იმ პირებისათვის, რომლებიც კანონით დადგენილი შეღავათებით სარგებლობენ (მუხლები 39-ე, მე-40).

„საფუძვლების“ პროექტში ცვლილებები არ არის შეტანილი ბინების გაცვლის სფეროში. იგი იმეორებს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1945 წლის 27 ივნისის № 5 დადგენილებით გათვალისწინებულ შე-

საძლებლობას: სასამართლოს წესით გადაწყდეს დავა სადგომში მცხოვრებ პირთა შორის ბინის გაცვლის შესახებ, თუნდაც მაშინ, როდესაც უთანხმოება მათ შორის არ გადაზრდილა ბრალეული მოქმედებების ჩადენამდე. „საფუძვლების“ პროექტი კრძალავს სახლის პირადი მესაკუთრის გაცვლაზე უარის თქმის გასაჩივრებას სასამართლოში.

საკითხის ასეთი გადაწყვეტა სწორია. გარდა იმ გამონაკლისისა, რომელზეც ქვემოთ ვისაუბრებთ.

ცნობილია, თუ როგორ არათანაბრად მიმდინარეობდა ოციან წლებში მოკავშირე რესპუბლიკებში სახლების დემუნიციპალიზაციისა და დენაციონალიზაციის პროცესი. ე. წ. „მცირე ფართობის“ სახლების მესაკუთრისათვის დაბრუნებისას „მცირე ფართობის“ ნიშნების ზუსტად განუსაზღვრელობის გამო, მესაკუთრეს ხშირად უბრუნდებოდა საკმაოდ დიდი მოცულობის სახლებიც. აღნაგობის ხელშეკრულების საფუძველზე და 1948 წლის ცნობილი ბრძანებულების გამოცემის შემდეგ განხორციელებული სახლთმშენებლობა როგორც ამაში გვარწმუნებს იმ დროს შემუშავებული ტიპური პროექტები, საცხოვრებელი ფართობის ოდენობის მაქსიმუმს განსაზღვრავდა 90-130 მ² ფართობით. მხოლოდ, 1958 წლიდან იქნა დადგენილი პირადი საკუთრების სახლის საცხოვრებელი ფართობის მაქსიმუმი 60 მ² ოდენობით. მაგრამ, თუ სახლის მესაკუთრეს აღმოაჩნდა ან ნორმაზე მეტი საცხოვრებელი ფართობი და ისიც გაქირავებული, თავისთავად ცხადია, რომ მისი მდგომარეობა განსხვავებული უნდა იქნეს ბინის იმ დამქირავებლისაგან, რომელიც ცხოვრობს მესაკუთრის პირად მოხმარების ე. ი. 60 მ² საცხოვრებელ ბინაში. ასეთი განსხვავება ამჟამად დადგენილია პირადი საკუთრების სახლებისათვის ქირავნობის ხელშეკრულების ვადის კვალობაზე, ე. ი. იმის მიხედვით, ერთი წლით თუ ერთ წელზე მეტი ვადით არის დადებული ხელშეკრულება (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 321-ე მუხლი).

საჭიროა, რომ ასეთ სახლებში ბინის ქირავნობის პირობები განვასხვაოთ არა მარტო ხელშეკრულების ვადის მიხედვით, არამედ სახლის საცხოვრებელი ფართობის ოდენობის კვალობაზეც. ჩვენი აზრით, 60 მ² ფართობზე მეტი ოდენობის პირადი საკუთრების სახლის დამქირავებელს უფლება უნდა მიეცეს ბინის იძულებითი წესით გაცვლისა. მას ეს უფლება უნდა მიეცეს იმ შემთხვევაშიც, როდესაც სახლის მესაკუთრის მიზეზით შეუძლებელია მობინადრის სადგომში ცხოვრება: ჩვენ ვიცით ერთი მაგალითი, როდესაც სახლის მესაკუთრის შვილი-მა მოკლა ბინის-დამქირავებლის შვილი და დაზარალებულ მშობლებს უარი უთხრეს ბინის გაცვლაზე, სადაც მათ მორალურად არ შეეძლოთ ცხოვრება.

თავისთავად ცხადია, რომ ხშირად საცხოვრებელი ფართობის გამიჯვნა იწვევს იმის მიხედვით, მესაკუთრის პირადი მოხმარების საცხოვრებელ ბინაში, ცხოვრობს მობინადრე, თუ 60 მ² ფართობზე ზედმეტ ფართობში, ვინაიდან ამ შემთხვევაში ფართობი ფიზიკურად არ იყოფა. მიუხედავად ამისა, ეს სიძნელე სავსებით დასაძლევია.

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის ხაზით, „საფუძვლების“ პროექტი გვპირდება სადგომის მიღების ძირითადი წესების გამოცემას. მანამდე კი იძლევა შემდეგ სიახლეებს: კოოპერატივში შემავალ პირთა აღრიცხვა იწარმოებს დამოუკიდებლად საერთო აღრიცხვიდან. საქართველოს სსრ რესპუბლიკაში ამჟამად მოქმედი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სანიმუშო წესდების მე-9 მუხლი კი საერთო აღრიცხვაზე მყოფ პირს კოოპერატივის წევრობის უპირატე-

სობას ანიჭებს. ეს ნიშნავს, რომ აღრიცხვაზე მყოფ პირს მხოლოდ სხვებთან თანაბარ პირობებში აქვს კოოპერატივის წევრად მიღების უპირატესობა და აღრიცხვაზე ყოფნა თავისთავად არ ითვლება კოოპერატივის წევრობისათვის აუცილებელ პირობად.

კოოპერატივის წევრის ბინის ფართობი განისაზღვრება: „ოჯახის წევრთა რაოდენობის, მისი საპაიო შესატანი თანხისა და საცხოვრებელი ფართობის ზღვრული ოდენობის მიხედვით“ (მუხლი 43-ე). სიახლე ამ განსაზღვრებისა არის მითითება საცხოვრებელი ფართობის ზღვრულ ოდენობაზე, რამდენადაც ამჟამად მოქმედ საბინაო-სამშენებლო წესდებაში ამაზე არაფერია ნათქვამი.

ამჟამად კოოპერაციული სადგომის მოცულობა განისაზღვრება ტიპობრივი პროექტებით. კოოპერატივის წევრს სადგომი ეძლევა ოჯახის წევრთა რაოდენობისა და საპაიო შენატანის გათვალისწინებით, ტიპობრივი პროექტით გათვალისწინებულ ბინაში, რომელიც საერთო წესით არ შეიძლება აღემატებოდეს 90-95 მ² საცხოვრებელ ფართობს.

„საფუძვლების“ პროექტის ამ დებულების მიხედვით იმ კოოპერატივის წევრებისათვის, რომელთაც მრავალსულიანი ოჯახი ჰყავთ, ბინა უნდა აშენდეს ტიპობრივი პროექტიდან გადახვევით, რადგანაც საუწყებო და კომუნალური ბინების მსგავსად ამ ბინაში ოჯახი შესახლებულ უნდა იქნეს სულადობისა და თითოეული სულისათვის „საცხოვრებელი ფართობის ზღვრული ოდენობის“ მიხედვით.

საუწყებო და ადგილობრივი საბჭოების სახლებში შესახლებისას, მისაცემ სადგომის ოჯახის წევრთა რაოდენობასთან შეუსაბამობის „ფართობის სიმცირის“ დროს, სათანადო აღმასკომები ფაქტობრივად კოფენ ოჯახებს, ერთ ნაწილს აძლევენ ახალ ბინას, მეორეს კი ტოვებენ აღრიცხვაზე. ვინაიდან საჭიროა ოჯახის ბინით უზრუნველყოფა „საცხოვრებელი ფართობის ნორმის ზღვრული ოდენობით“.

მაგრამ აუცილებელია თუ არა ეს კოოპერატივების სახლებისათვის? პრაქტიკა გვარწმუნებს, რომ საცხოვრებელი ფართობის აუცილებელ ნორმებთან თანახვევა სავალდებულო არ არის, თუ კოოპერატივის წევრი მოითხოვს გადავიდეს უფრო მცირე ბინაში, ან უფრო დიდ ბინაში ოჯახის გაზრდის ვარაუდით. ზოგიერთ აღმასკომს კონკრეტული ვითარების გათვალისწინებით დასაშვებად მიაჩნია კოოპერაციულ ბინებში მოქალაქეთა ჩასახლება საცხოვრებელი ფართობის ნორმების გადახვევით ან კოოპერატივის წევრის ბინით მაქსიმალური დაკმაყოფილების შემთხვევაში, დაუშვებლად თვლის ტიპობრივი პროექტებით აშენებულ ბინებში ოჯახის სულთა რაოდენობაზე მეტი ოთახების მიცემას.

„საფუძვლების“ პროექტი ამ მანევრების საშუალებას კოოპერაციული ბინების მიმართ არ იძლევა. ასეთ პირობებში საფიქრებელია, რომ ხელმოკლე ოჯახებისათვის მიუწვდომელი დარჩება კოოპერაციული ბინა, ორი ან მეტი ბინის აშენების შეუძლებლობის გამო. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების გვერდით „საფუძვლების“ პროექტი არ იხსენიებს საბინაო-სამშენებლო კოლექტივებს, აკუთვნებს რა მათ ინდივიდუალურ მშენებლობას.

ეს სკაითხი დაზუსტებას მოითხოვს. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 19 აგვისტოს № 539 დადგენილებით დამტკიცდა ინდივიდუალურ მენაშენეთა ვაერთიანება საბინაო-სამშენებლო კოლექტივის სახით და

მას მიენიჭა იურიდიული პირის ხარისხი. ეს იმას ნიშნავდა, რომ ასეთი კოლექტივი თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ჩაყენებულია სხვა ორგანიზაციებთან თანაბარ პირობებში. მშენებლობის ასეთი ფორმა საუკეთესო საშუალებად იქნა მიჩნეული ბინათმშენებლობაში მოქალაქეთა პირადი შრომის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობის შრომის გამოყენებისათვის, მაგრამ რესპუბლიკაში ასეთ კოლექტივებს მთელი რიგი დაბრკოლება შეექმნა. საქართველოს მშენებანკმა მას არ გაუხსნა კრედიტი როგორც იურიდიულ პირს, უკვე შექმნილი კოლექტივების აღმასკომებმა გადააკეთეს კოოპერატივებად, დაუნიშნეს მათ თავმჯდომარეები, ბუჰხალტრები. კოლექტივების აშენებული სახლები ჩართეს კოოპერატიული მშენებლობის გეგმაში და სხვა. ზოგიერთმა სწავლულმა იურისტმა მოსკოველი იურისტების წაბადვით მისი იურიდიულ პირის სახით არსებობა კითხვის ქვეშ დააყენა. ამ შეზღუდვების გამო საბინაო-სამშენებლო კოლექტივი გაქრა მშენებლობის განმახორციელებელ ორგანიზაციათა წრიდან და მასთან ერთად დაიკარგა საბინაო სამშენებლო კოლექტივების სახლების მშენებლობაში ახალგაზრდობის ლტოლვა. იურიდიული პირის თვისება ამ კოლექტივს იმისთვის სჭირდება, რომ იგი არ იქნეს გათანაბრებული სახლის მშენებელ მარტივ ამხანაგობასთან და დაშვებულ იქნეს სამეურნეო ბრუნვაში როგორც მშენებელი ორგანიზაცია. რაც შეეხება მოსაზრებას, რომ საბინაო-სამშენებლო კოლექტივი, მსგავსად სხვა მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობისა, არ შეიძლება აღიარებულ იქნეს იურიდიულ პირად, ეს არ შეიძლება ჩაითვალოს მართებულად. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 27 მარტს № 212 დამტკიცებული საწარმოო გაერთიანების დებულების ძალაში შესვლის შედეგად მანამდე მოქმედ ათასეულმა საწარმოებმა დაკარგეს იურიდიული პირის თვისება. ამავე დროს საწინააღმდეგო პროცესის მოწმენიცი ვიციით, როდესაც პროფკავშირების პირველადი ორგანიზაცია იურიდიულ პირებად იქნენ ცნობილი. ამგვარად თვისება იურიდიული პირისა, თავისთავად კი არ მოსდევს ერთიანობას როგორც იმანენტური რამ, არამედ სახელმწიფოს მიერ მინიჭებული ხარისხია.

თუ „საფუძვლებმა“ არ გაითვალისწინა მშენებლობის ასეთი სასარგებლო ფორმა, განსაკუთრებით ახალგაზრდობის ბინებით უზრუნველყოფისათვის, რესპუბლიკურ კანონმდებლობას მართებს ამ ფორმის უკეთ დამუშავება და გავრცელება.

„საფუძვლების“ პროექტი სახელმწიფო საუწყებო და კოოპერაციულ-სახლებში სადგომით სარგებლობას უვადო მოვლენად აღიარებს და მას ქირავნობის ხელშეკრულებით გაპირობებულად თვლის (128-ე მუხლი).

მართლაც, ჩვენ გვაქვს შემთხვევა, როდესაც საადგილმამულო სარგებლობა, ერთის მხრივ, უვადო სარგებლობად არის აღიარებული და, მეორე მხრივ, მიწის ნაკვეთები გადადის მოსარგებლის უვადო სარგებლობაში ხელშეკრულების ძალით.

თითქოს ასეთივე კონსტრუქცია არის გამოყენებული „საფუძვლების“ პროექტის მიერ სადგომით სარგებლობის სფეროში, ამჟამად სოციალისტური ორგანიზაციების სახლებში ქირავნობის ხელშეკრულება განსაზღვრულია 5 წლის ვადით, დამქირავებელს ხელშეკრულების ცალმხრივად განახლების უფლება აქვს, ხოლო გამქირავებელს ხელშეკრულების ვადის გასვლისას შეუძლია წარადგინოს პრეტენზია სასამართლოში ხელშეკრულების მოშლის შესახებ (სა-

ქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 321-ე მუხლი). ბინის დამქირავებელს უფლება აქვს ცალმხრივად მოშალოს ნებისმიერ დროს ქირავნობის ხელშეკრულება და ისიც სასამართლო წესით (იგივე კოდექსის 326-ე მუხლი), მაგრამ ვადაინი ქირავნობის ხელშეკრულების გარდა არსებობს ქონებით, მათ შორის არასაცხოვრებელი სადგომით სარგებლობა განუსაზღვრელი ვადით, რომელიც უვადო ხელშეკრულებიდან იმით განსხვავდება, რომ ყოველ მხარეს შეუძლია მეორე მხარის დროზე გაფრთხილებით ნებისმიერ დროს მოშალოს ხელშეკრულება. პრაქტიკულად, ბინის დამქირავებელსა და დამქირავებელს შორის ურთიერთობა ზემოთ აღწერილი მოდელის ადეკვატურად არ წესრიგდებოდა, მაგრამ ამ სახით მათი ურთიერთობის რეგულირება აუცილებელი იყო, რამდენადაც დამქირავებელი ფლობდა სადგომს დროებით, ქირავნობის ხელშეკრულების ძალით. „საფუძვლების“ პროექტმა მოაცილა სადგომით სარგებლობას პირობა დროის ფარგლებში და, მაშასადამე, სარგებლობა ამ სფეროში გაუთანაბრა საკუთრებას, რამდენადაც ამ უკანასკნელით სარგებლობა არ არის ვადით შეზღუდული.

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ ბინით სარგებლობა (გარდა სასტუმროებისა, სამსახურებრივი სადგომებისა, საერთო საცხოვრებლებისა, პირად საკუთრების სახლების ქირავნობისა) გამოიხატა თავისებურ იურიდიულ ინსტიტუტში, რომელსაც საკუთრებისაგან დამოუკიდებელი მფლობელობა უნდა ეწოდოს. ეს მოიცავს აგრეთვე პირადი საკუთრების სახლებსაც, რომელთა განსხვავება არ შეიძლება, მაგალითად, მფლობელობის გზით მიღწეული სამემკვიდრეო სახლებისა, რომლებზეც სამემკვიდრეო მოწმობა არ არის ვაცემული, თვითნებურ ნაგებობებს და სხვა ზოგიერთ შემთხვევას³.

ამის გამო უმჯობესი იყო ქირავნობის ხელშეკრულების ცნების განდევნა „საფუძვლების“ პროექტიდან. დღესაც ეს ხელშეკრულება არაფერს არ აწესრიგებს და მხოლოდ ქირავნობის სიმბოლიკის როლში გამოდის. სავსებით საკმარისია სადგომის მფლობელებისათვის გადაცემა აქტით.

ამასთან დაკავშირებით სადგომის ქვექირავნობით მიცემა მეორედ დამქირავებლისათვის ბინის მფლობელის სხვაგან ყოფნის ან სადგომის დაჯავშნის პერიოდისათვის (მუხლი 34-ე) სრულიად მიზანშეწონილია.

„საფუძვლების“ პროექტი ნაწილობრივ არა „კომპლექტურია“, გადატანითი მნიშვნელობით რომ ვინმართ ეს ცნება, რადგან მასში არ არის განსაზღვრული საცხოვრებელ ფართობზე ჩაწერის თანაფარდობა საცხოვრებელ ფართობზე უფლებასთან. დიდძალი სიჩივრები მოქალაქეებისა სწორედ ამ საკითხზე მოდის.

„საფუძვლების“ პროექტში არ არის განმარტებული, თუ როგორ კავშირს გულისხმობს იგი ოჯახის ცნებაში.

ასეთია მოკლედ კომპლექსი ჩვენთვის საინტერესო საკითხებისა, რომლებიც წამოგვეჭრა „საფუძვლების“ პროექტის შესწავლის შემდეგ.

³ იხ. „საბჭოთა სამართალი“, 1971, № 1, გვ. 12—34.

კავალლოთ გრანსპორტზე ლაშქარბრუნობათა ბრძოლის უწყვიანობა

3. ასიეზვილი,

თბილისის ტრანსპორტის პროკურორი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი, საქართველოს
სსრ დამსახურებული იურისტი

თბილისის ტრანსპორტის პროკურატურა მთელ თავის პრაქტიკულ საქმიანობას გასულ, 1980 წელს, უქვემდებარებდა იმ ამოცანათა განუხრელად შესრულებას, რომლებიც ადმინისტრაციულ ორგანოებს დაუხსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის 2 აგვისტოს ცნობილმა დადგენილებამ „მართლწესრიგის დაცვისათვის მუშაობის გაუმჯობესებისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“.

ტრანსპორტის პროკურატურას, როგორც ცნობილია, ევალემა სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიება იმ დანაშაულობებისათვის, რომლებიც ხდება რკინიგზისა და საჰაერო ტრანსპორტის ორგანიზაციებში და, რომლებიც შეეხება მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლოატაციის წესების დარღვევას, აგრეთვე მის მოცდენას, ამასთანავე ახორციელებს, შინაგან საქმეთა სატრანსპორტო განყოფილების მიერ კანონიერების დაცვისადმი ზედამხედველობას.

ისევე როგორც წინა წლებში, შარშანაც თბილისის ტრანსპორტის პროკურატურა მიზანდასახულად ახორციელებდა ღონისძიებებს იმ მიზეზების შესწავლისა და აღმოფხვრისათვის, რომლებიც ხელს უწყობს ტრანსპორტზე კანონიერების დარღვევასა და დანაშაულობათა ჩადენას. ბევრი რამ გაკეთდა, რათა გამოვლენილიყო, რა იწვევს მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლოატაციის წესების დარღვევებს, რასაც თან სდევს ხოლმე უბედური შემთხვევები, მარცხი ან სხვა მძიმე შედეგი, აგრეთვე, სახალხო მეურნეობის ტვირთის დატაცება, ქურდობა, საქონლის გაფუჭება და დანაკლისი, რის გამოც სახელმწიფო დიდ მატერიალურ ზარალს განიცდის. უფრო მეტი ყურადღება ექცეოდა ტრანსპორტის ორგანიზაციებსა და საწარმოებში, სატრანსპორტო შინაგან საქმეთა განყოფილებებსა და მის ქვედანაყოფებში კანონიერების დაცვისადმი საპროკურორო ზედამხედველობას. დიდი ყურადღება ექცევა სავაჭრო ორგანიზაციებსა და მუშათა მომარაგების საწარმოებში სპირტიანი სასმელებით ვაჭრობის წესების დაცვას, ბრძოლას პარაზიტული ცხოვრების, მაწანწალობის, მუქთახორობის, ხულიგნობისა და სხვა ანტიანთოვადობრივი ქცევების წინააღმდეგ.

საერთო ზედამხედველობის ხაზით მოწყობილი შემოწმებებით გამოვლენილი დარღვევების გამო აპირაკავკასიის რკინიგზის უფროსის, თბილისის განყოფილების უფროსის და რესპუბლიკის პროკურორის სახელზე შეტანილია 22 წარდგინება, რაც 12-ით მეტია წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

რკინიგზით გადასაზიდი ტვირთის უვნებლად შენახვის, წარმოებებსა და

ორგანიზაციებში სოციალისტური საკუთრების დაცვის თაობაზე შეტანილია 6 წარდგინება. ვაჭრობის წესების დარღვევაზე — 1, ვაგონების მოცდენის შესახებ — 5, სახელმწიფო ანგარიშგებაში წამატებებსა და სხვა განზრახ დამახინჯებებზე — 1, შრომის კანონმდებლობის დარღვევებზე — 2, ტრანსპორტზე მომხდარ ადამიანთა უბედური შემთხვევის გამო — 1, მოქალაქეთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვის წესის დარღვევაზე — 1, შინაგან საქმეთა ორგანოებში კანონიერების დარღვევის შესახებ — 2, ხოლო მუშათა მომარაგების განყოფილების სისტემის სავაჭრო ორგანიზაციებში სპირტიანი სასმელებით ვაჭრობის კანონის შეუსრულებლობის გამო — 1.

როგორც შემოწმებამ გვიჩვენა, ტრანსპორტზე ჯერ კიდევ ხშირია ტვირთის დატაცება და ვაგონების ხანგრძლივი დროით მოცდენა. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ სათანადოდ არ სრულდება ზემდგომი ორგანოების შესაბამისი დადგენილება — „რკინიგზის ტრანსპორტის განვითარების ღონისძიებების შესახებ“. ტვირთის დაუცველობა უმთავრესად შეინიშნება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და ავტომანქანების, აგრეთვე სოფლის მეურნეობის პროდუქტების, კერძოდ, მარცვლეულის რკინიგზით გადაზიდვის დროს და სხვ.

დადგენილი წესებით რკინიგზის სადგურების კომერციული და სატვირთო სამსახური ვალდებულია გაქურდვის ან დატაცების ნიშნებით ტვირთის მიღებისას უმოკლეს ვადაში მოაწყოს სამსახურებრივი შემოწმება იმ მიზეზებისა და პირობების დასადგენად, რომლებმაც ხელი შეუწყო ან შეეძლო გამოეწვია ვაგონის გაქურდვა, ტვირთის დატაცება ან გაფუჭება. კანონის ეს მოთხოვნა ხშირად არ სრულდება. ტვირთის დატაცების, გაქურდვის ან გაფუჭების თაობაზე შედგენილ კომერციულ აქტებს რკინიგზის სადგურების ხელმძღვანელები უყურადღებოდ ტოვებენ, არსებულ მასალებს დროულად არ გადასცემენ ტრანსპორტის სახაზო მილიციის განყოფილებებს. ამას გარდა, ვაგონების დატვირთვის საბუთების გაფორმება და შესრულებულ სამუშაოზე ცნობების შედგენა და მათი ზემდგომ ორგანოებში წარდგენა ხდება არსებული წესების დარღვევით. დოკუმენტები, რომლებიც შესრულებულ სამუშაოს ასახავს, ხშირად არ შეესაბამება სინამდვილეს.

1976 წლიდან მოყოლებული თითქმის არ კლებულობს ტვირთის დატაცებითა და ქურდობით სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალი. 1980 წელს ტვირთის დატაცების, ქურდობის, გაფლანგვისა და დანაკლისის შედეგად ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილებაში ზარალი მარტოოდენ 1000 მანეთით შემცირდა 1979 წელთან შედარებით. 60 შემთხვევით შემცირდა აგრეთვე ტვირთის საბუთებისაგან დაცილების შემთხვევები.

შედარებით კარგი ნაყოფი გამოიღო მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლოატაციის წესების დაცვის საქმეში საპროკურორო ზედამხედველობამ და პროკურატურის მიერ ამ სფეროში განხორციელებულმა პროფილაქტიკურმა ღონისძიებებმა. კერძოდ, შარშან ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილებაში სამანევრო და სამატარებლო მუშაობაში დაშვებულია 91 წუნი, მათ შორის 38 წუნი განსაკუთრებული შემთხვევა იყო. ეს მონაცემები 1979 წელს შესაბამისად შეადგენდა 123-ს, ე. ი. 32 შემთხვევით მეტს, მათ შორის განსაკუთრებული შემთხვევა იყო — 56 ანუ 17 შემთხვე-

ვით მეტი. აქედან ნათლად ჩანს, რომ 1980 წელს სამანევრო და სამატარებლო მუშაობაში მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლოატაციის წესების დარღვევათა რიცხვი მნიშვნელოვნად შემცირდა. შემცირდა აგრეთვე რკინიგზის ტრანსპორტზე მომხდარი უბედური შემთხვევების რაოდენობა და ამით გამოწვეული სიკვდილიანობა. ეს კი, უპირველეს ყოვლისა, იმის შედეგია, რომ თბილისის ტრანსპორტის პროკურატურა სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომთან და სახალხო განათლების ორგანოებთან ერთად სისტემატურად ახორციელებს საჭირო ღონისძიებებს, კერძოდ, ახსნა-განმარტებით საუბრებს მოსახლეობის იმ ნაწილთან და მოზარდებთან, რომლებიც რკინიგზის პირას ცხოვრობენ და სწავლობენ.

თბილისის ტრანსპორტის პროკურატურა დიდ ყურადღებას უთმობს ტვირთის საბუთებისაგან დაცილების შემთხვევების თავიდან აცილებას, რადგან ხშირად სწორედ მათი ძეხვის პერიოდში ხდება ტვირთის დატაცება, ქურდობა, გაფუჭება და დაკარგვა. როგორც შემოწმებები და სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზი გვიჩვენებს, ტვირთის საბუთებისაგან დაცილება გამოწვეულია შრომის კანონმდებლობის უხეში დარღვევებით და რკინიგზის ტრანსპორტის სატვირთო სამსახურის მუშაკთა მიერ თავიანთი მოვალეობის შეუსრულებლობით. ტვირთის საბუთებისაგან დაცილებისა და ტვირთის დაკარგვის გამო 1980 წელს თბილისის ტრანსპორტის პროკურატურამ 11 პირის მიმართ აღძრა 4 სისხლის სამართლის საქმე, რომლებიც განხილულია სახალხო სასამართლოებში და დამნაშავე პირები მსჯავრდადებული არიან.

საერთო ზედამხედველობის ხაზით მოწყობილი შემოწმებებით დადგინდა, რომ ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების ზოგიერთი ორგანიზაციისა და საწარმოს გეგმის შესრულებაში იყო სახელმწიფო ანგარიშგებაში წამატებების ფაქტები. კერძოდ, ასეთი დარღვევები აღმოჩნდა საკვანძო და სატვირთო სადგურებში.

თბილისის საკვანძო, სატვირთო, დამხარისხებელი, ხაშურის და სხვა ზოგიერთი სადგურის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო აქტების შესწავლით დადგინდა, რომ რევიზორები სრულიად არ აქცევენ ყურადღებას და არც ამოწმებენ იმ მონაცემების უტყუარობას, რომლებსაც რკინიგზის სადგურები იძლევიან. ამით კი უხეშად არღვევენ რესპუბლიკის ზემდგომი ორგანოების შესაბამის დადგენილებებს.

ტრანსპორტის მილიციის განყოფილებებისადმი საპროკურორო ზედამხედველობის განხორციელების დროს თბილისის ტრანსპორტის პროკურატურა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს განცხადებების განხილვის კანონიერებას, შეტყობინებებს ჩადენილ დანაშაულობათა შესახებ, სისხლის სამართლის საქმის არაღძვრის თაობაზე გამოტანილ დადგენილებათა სისწორეს, ტრანსპორტის მილიციის ორგანოების საქმიანობაში კანონიერების დაცვას და სხვ. სისტემატურად მოწმდება ტვირთის დატაცებისა და გაფუჭების წინააღმდეგ ტრანსპორტის მილიციის განყოფილების მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა კანონიერება. ამ საკითხზე გასულ წელს ტრანსპორტის შინაგან საქმეთა სამმართველოს და ნავთილის სადგურის შინაგან საქმეთა განყოფილების სახელზე თბილისის ტრანსპორტის პროკურატურამ ხუთი წარდგინება შეიტანა. წარდგინებებში მოყვანილია ფაქტები, როცა სახალხო მეურნეობის ტვირთის და-



ტაცების, ქურდობისა და გაფლანგვის წინააღმდეგ ბრძოლაში ტრანსპორტის მილიცია არ იკავს კანონიერებასა და დამნაშავეთა გამოვლენისათვის დადგენილ წესებს. შემოწმებებით გამოირკვა, რომ ტრანსპორტის მილიციის ზოგიერთ სახაზო განყოფილებაში ოპერატიული მუშაკები სათანადო ღონისძიებებს არ ახორციელებენ, რათა დროულად გახსნან დანაშაული და დადგინონ მისი ჩამდენი პირები. ხშირად მოკვლევა უხარისხოდ წარმოებს, ირღვევა მისი კანონით დადგენილი ვადები, ზოგჯერ კი სამძებრო-ოპერატიული ღონისძიება არაკვალიფიციურად ხორციელდება.

შემოწმებამ ცხადყო, რომ ტრანსპორტის მილიციის ზოგიერთ სახაზო განყოფილებაში დამკვიდრებული იყო მცდარი და აშკარად კანონსაწინააღმდეგო პრაქტიკა. კერძოდ, ტვირთის დატაცების ან ქურდობის ფაქტის გამო არ აღიძვრებოდა სისხლის სამართლის საქმე დანაშაულის მცირე მნიშვნელობის მოტივით. ამასთან, როგორც მასალების შესწავლამ გვიჩვენა, ზოგჯერ მოკვლევის ორგანოები არ ადგენდნენ დატაცებული ქონების ღირებულებას და იმ პირს, ვინც დაიტაცა სახელმწიფო ქონება. ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, შეუძლებელია განისაზღვროს ჩადენილი დანაშაულის მნიშვნელობა. ზოგჯერ ტვირთის დატაცებისა და ქურდობის თაობაზე შემოსულ მასალებს რეაგირების გარეშე ტოვებდნენ და მოკვლევის ჩაუტარებლად მასალებს უგზავნიდნენ მილიციის სხვა განყოფილებას ან უბრუნებდნენ რკინიგზის სადგურებს, საიდანაც მიღებული იყო მასალები.

ჩადენილ დანაშაულთა შესახებ განცხადებებისა და ცნობების შემოწმებით გამოვლინდა ორი დანაშაული, რომლებიც რეგისტრირებული არ იყო. ორივეზე აღიძრა საქმე, მათ შორის ერთი წარიმართა სახალხო სასამართლოში.

„ხულიგნობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 25 ივლისის ბრძანებულების შესრულების შემოწმების შედეგად გავაპროტესტეთ შინაგან საქმეთა საკანდიო სადგურისა და თბილისის სადგურის განყოფილებათა უფროსების შვიდი დადგენილება წვრილმანი ხულიგნობის თაობაზე, რადგან ხულიგნობის შვიდივე შემთხვევაში დამნაშავე პირები სისხლის სამართლის პასუხისგებაში იყვნენ მისაცემი, მათ მიმართ კი განახორციელეს ადმინისტრაციული ზემოქმედება.

მართალია, უკანასკნელ ხანს მილიციის სახაზო განყოფილებებში რამდენადმე გაუმჯობესდა მუშაობა, მაგრამ მთელი მათი საქმიანობა ჯერ კიდევ სრულად ვერ შეესაბამება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის 2 აგვისტოს ცნობილ დადგენილებას.

ამის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვახორციელებთ საჭირო საპროკურორო ზედამხედველობას ტრანსპორტის მილიციის განყოფილებებისადმი, დროულად ვერ ვავლენთ ტრანსპორტის მილიციის ორგანოების მიერ დაშვებულ კანონიერების დარღვევებს.

ტრანსპორტის შინაგან საქმეთა განყოფილების საგამოძიებო ქვეგანყოფილებიდან გასულ წელს საბრალდებო დასკვნით შემოვიდა 223 სისხლის სამართლის საქმე, რაც 6 შემთხვევით ნაკლებია 1979 წელთან შედარებით. ყველა საქმეზე საბრალდებო დასკვნა დამტკიცებულია და განსახილველად გადაეცა სახალხო სასამართლოს. გამოძიების მსვლელობაში 19 საქმის გამო გამოძიებლებს მიეცათ წერილობითი მითითებანი, რათა მათ მოეხდინათ ცალკეული



საგამოძიებო მოქმედებანი და ზუსტად განესაზღვრათ ჩადენილ დანაშაულთა კვალიფიკაცია, ხოლო ცალკეული კატეგორიის საქმეთა გამოძიების პრაქტიკის შესწავლის შედეგად ტრანსპორტის საგამოძიებო ქვეგანყოფილების უფროსის სახელზე შეტანილია განსახილველად სამი წარდგინება.

შარშან შინაგან საქმეთა თბილისის სადგურის განყოფილების მიმღებ-გამანაწილებლიდან შემოვიდა მომკვლევთა მიერ გამოძიებული 40 სისხლის სამართლის საქმე.

თბილისის ტრანსპორტის პროკურატურის საგამოძიებო მუშაობა 1980 წელს რამდენადმე გაუმჯობესდა. თბილისის ტრანსპორტის პროკურატურაში წარმოებაში შარშან იყო 96 საქმე, ე. ი. 35-ით მეტა, ვიდრე 1979 წელს. გამოძიებით დამთავრდა 67 საქმე, რაც 27-ით მეტია წინა წელთან შედარებით. წარმოებით შეწყდა 17 სისხლის სამართლის საქმე, მათ შორის 5 ამნისტიით. სასამართლოში საბრალდებო დასკვნით გადავაგზავნეთ 53 სისხლის სამართლის საქმე, ეს კი ორჯერ მეტია 1979 წელთან შედარებით. დამატებითი გამოძიებისათვის პროკურატურას დაუბრუნდა 2 საქმე.

ჯერ კიდევ ცუდი მდგომარეობაა საგამოძიებო ვადების დაცვის მხრივ. დამთავრებული 67 სისხლის სამართლის საქმიდან 18-ის გამო დარღვეულია კანონით გათვალისწინებული საგამოძიებო ვადა, რაც 27,6 პროცენტს შეადგენს. თუმცა შარშან ერთგვარად გაუმჯობესდა მდგომარეობა ამ მხრივ, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს მონაცემები ჯერ კიდევ არაა დამაკმაყოფილებელია.

საგამოძიებო ვადები ძირითადად ჭიანჭურდება ისეთ საქმეებზე, რომლებიც შეეხება მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლოატაციის წესების დარღვევას (8 საქმე), სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დიდი ოდენობით დატაცებას (1 საქმე), მექრთამეობას (2 საქმე) და სხვ. ამ საქმეთა გამო საგამოძიებო ვადების დარღვევას ხელი შეუწყო თვით გამოძიების წარმოების სირთულემ და თავისებურებამ, აგრეთვე სხვადასხვა სიძნელეებმა. ამასთან, ამის მიზეზი იყო გამოძიებულების ვ. ქადაგიშვილისა და გ. გაფრინდაშვილის მხრივ შრომის არასწორი ორგანიზაცია. ისინი დროულად არ ასრულებდნენ გადაუდებელ საგამოძიებო მოქმედებებს, საქმეთა გამო დანიშნულ რევიზიასა და ექსპერტიზას სათანადო კონტროლს ვერ უწყევდნენ, რის გამოც რევიზია და ექსპერტიზა გაუმართლებლად ჭიანჭურდებოდა. ზოგიერთი საქმის გამო მათ არ ჰქონდათ შედგენილი შესაბამისი საგამოძიებო გეგმა, დროულად არ ახორციელებდნენ ღონისძიებებს საჭირო პირების: მოწმეების, ექვმიტანილების, განსასჯელებისა და დაზარალებულების ოპერატიულად დაკითხვისათვის. საგამოძიებო ვადების დარღვევისა და გამოძიების ხარისხის გაუმჯობესების თაობაზე გამართულ ოპერატიულ თათბირზე ისინი მკაცრად იქნენ გაფრთხილებული, რათა უმოკლეს ხანში ძირეულად გარდაექმნათ და გაეუმჯობესებინათ მუშაობა.

1980 წელს თბილისის ტრანსპორტის პროკურორის სანქციით თავისუფლების აღმკვეთ ღონისძიებად პატიმრობაში აყვანა გამოყენებული იყო 134 პირის მიმართ, მათ შორის სამი არასრულწლოვანი იყო. წინასწარი გამოძიების სტადიაში ან პირველი და საკასაციო ინსტანციის სასამართლოების მიერ არც ერთი პატიმარი არ განთავისუფლებულა.

შარშან ჩვენი ინიციატივით წარდგენილი იქნა 41 სარჩელი, აქედან 38 სარჩელი ეხებოდა ტრანსპორტის მოცდენით გამოწვეული 6300 მანეთის ზა-



რალის ანაზღაურებას, დანარჩენი სამი სარჩელი კი სახელმწიფო საწარმოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინტერესებს და ეხებოდა 67 914 მანეთის ანაზღაურებას. ყველა სარჩელი, რომელიც ტრანსპორტის მოცდენას შეეხება, სასამართლოს მიერ განხილული და დაკმაყოფილებულია.

როგორც ვხედავთ, ტრანსპორტის პროკურატურამ ხელშესახებ წარმატებებს მიაღწია, მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია, რათა საბოლოოდ აღმოფხვრას ყოველგვარი დანაშაული ტრანსპორტზე. საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად უკვე დავსახეთ მრავალფეროვანი ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება თბილისის ტრანსპორტის პროკურატურის თითოეული მუშაკის ღირსების საქმეა.

„დღევანდლობის ამოცანებმა, — თქვა საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე საანგარიშო მოხსენებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგ ე. ა. შევარდნაძემ, — რომლებიც ახალი კონსტიტუციიდან გამომდინარეობს, კიდევ უფრო მაღალი მოთხოვნები წაუყენა სასამართლოს, პროკურატურის, სახელმწიფო უშიშროების, შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკებს, ყველას, ვინც სოციალისტური მართლწესრიგის სადარაჯოზე იდგას.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით საანგარიშო პერიოდში ვითარდებოდა და მტკიცდებოდა მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფის სოციალური, პოლიტიკური, იურიდიული გარანტიები“.¹

ეს სიტყვები ეხება თბილისის ტრანსპორტის პროკურატურასაც, რომელმაც უნდა უზრუნველყოს თავისი საქმიანობის გარდაქმნა ახალი ამოცანების შესაბამისად, გააძლიეროს ბრძოლა ტრანსპორტზე დანაშაულის შემცირებისა და აღმოფხვრისათვის.

¹ გაზ. „კომუნისტი“, 1981 წლის 23 იანვარი.

კახანავ VI სამართლის წიგნის ახალი რუსული თარგმანის გამო*

ЗАКОНЫ ВАХТАНГА VI



* М Е Ц Н И Е Р Е Б А *
1980

ახლახან გამოვიდა ვახტანგის სამართლის წიგნის რუსული თარგმანი პროფ. დავით ფურცელაძის მიერ შესრულებული.

ვახტანგ VI, მეფე და მწერალი, ამავე დროს იყო სჯულმდებელი. განუზომელია მისი ღვაწლი ქართული კანონმდებლობის შემუშავებაში.

XVIII საუკუნის დასაწყისის ქართველი პროგრესული მოღვაწეების მიზანი თითქოს ის იყო, რომ წარმოეჩინათ საქართველო მთელი თავისი დიდი წარსულით, ეჩვენებიათ ქართველი ხალხის სიდიადე ისტორიის სხვადასხვა დარგში, კერძოდ, სამართლის სფეროშიც. თითქოს ისინი ამით უმტკიცებდნენ ბარბაროსულ გარემოცვას, რომ ქართველი ხალხის მოსპობა, რაც ამ გარემოცვას მიზნად დუსახავს, შეუძლებელია.

მრავალკირნახული ქართველი ერი საუკუნეთა მანძილზე დამპყრობთა უღელქვეშ გამოწავდა. გაერთიანების პერიოდს, როდესაც საქართველოს კულტურა განვითარების მაღალ საფეხურზე იყო, მოჰყვა მონღოლების ხანგრძლივი ბატონობა, ლანგ-თემურის ურდოების გამანადგურებელი შემოსევები. სპარსეთისა და ოსმალეთის მიერ საქართველოს განაწილება, სწორედ ამ ხანებში საქართველოს ოსმალეთმა ჩამოაცილა სამცხე-საათაბაგო და დიწყო მისი მოსახლეობის გათავრება. XVII საუკუნის დამდეგს საქართველოს თავს დაატყდა შაჰ-აბასის მძვინვარე შემოსევები. შაჰ-აბასმა გადაწყვიტა აღმოსავლეთ საქართველოს ქართველობის ფიზიკური განადგურება და მის ადგილზე თათართა ელების დასახლება. ლანგ-თემურისა და შაჰ-აბასის შემოსევების შედეგად საქართველოს განადგურებული ქალაქებიდან და სოფლებიდან მრავალი აღუდგენელი დარჩა და დღესაც შემორჩათ ნაქალაქაობისა და ნასოფლარების სახელები.

XVII ს. მეორე ნახევარსა და XVIII საუკუნის დასაწყისში, აღმოსავლეთი საქართველო ირანის უღელქვეშ არის, მაგრამ თვით ირანი ამ დროს საკმაოდ დასუსტებულია და ამიტომაც საქართველოში შესაძლებელი გახდა ვახტანგის ევლემური ეროვნული კულტურული მოღვაწეობა.

სწორედ ამ პერიოდში ჩაეყარა საფუძველი საქართველოს ისტორიის ყოველმხრივ შემუშავებას, რაზეც სპეციალური კომისია მუშაობდა ვახტანგის თაოსნობით, ამ ხანებშივე დაარსდა ქართული სტამბა, სადაც პირველად გამოიცა სტამბური წესით „ვეფხისტყაოსანი“. ამავე პერიოდში მოსკოვში დაარსდა ქართული სტამბა.

ვახტანგ VI-მ დიდი ღონისძიებანი განახორციელა ქართული სამართლის წიგნთა კრების შესადგენად. პირველყოვლისა, ვახტანგ VI-მ გადმოათარგმნა ბერძნული და სომხური სამართალი, გარდა ამისა, თავი მოუყარა ქართული სამართლის ძეგლებს: გიორგი V ძეგლის დადებას, ბექა-აღბულას სამართლის წიგნს

* «Законы Вахтанга VI, перевод, введение, примечания, глоссарий и указатели». Д. Л. Пурцеладзе, Тбилиси, 1980.

და კათალიკოსთა სამართალს. მანვე შეადგინა ახალი ქართული სამართლის წიგნი და ყველა ეს ძეგლი გააერთიანა „ვახტანგის სამართლის წიგნთა“ კრებულის სახით და შემოიღო სამოქმედოდ ქართლის სამეფოში, რომელსაც განაგებდა ჯერ როგორც ბატონიშვილი თავისი ბიძის გიორგი XI სახელით. ბიძის გარდაცვალების შემდეგ კი დაეუფლა ქართლის სამეფო ტახტს. ამ კრებულიდან განსაკუთრებით საინტერესოა საკუთრივ ვახტანგის სამართლის წიგნი, რომლის რუსულ თარგმანს ეძღვნება ეს წერილი. პირველად რუსული თარგმანი გამოცა 1828 წელს, როდესაც ვახტანგის სამართლის წიგნს ნაწილობრივ მოქმედების ძალა ჰქონდა (1859 წლამდე), მეორედ იგივე თარგმანი, ოლონდ დ. ბაქრაძის კომენტარებით, გამოვიდა 1887 წელს. დ. ფურცელაძის თარგმანის გამოცემა არა მხოლოდ დროულია, არამედ, ამავე დროს, მრავალ სიახლესაც შეიცავს. თარგმანს ახლავს თითოეული მუხლის კომენტარი, ყველა სახის საძიებელი და ფრიად საყურადღებო ლექსიკონი, რომელშიც დაწვრილებით არის განხილული სამართლის წიგნის ტერმინები და ყოველგვარი ლიტერატურა მათ შესახებ. თარგმანის ერთ-ერთი ძირითადი ღირსება ის არის, რომ მთარგმნელი ცდილობს დედნის შინაასის ზუსტად გადმოცემას.

როდესაც ამ თარგმანს 1828 წლის თარგმანს ვუდარებთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ახალ თარგმანში მთელი რიგი მუხლები ახლებურად და მართებულად არის წარმოდგენილი. ქართულ დედანთან შედარებით მთელი რიგი მუხლები 1828 წლის თარგმანში დამახინჯებულია არის ვადმოცემული, ზოგიერთი ასეთი შეუსაბამობა შენიშნული ჰქონდა დ. ბაქრაძეს და ხშირად კიდევ მიუთითებს ამას რუსულ გამოცემაში ქართული ტექსტის მოყვანით, მაგრამ გამოცემა მიზნად ისახავდა ძეგლის იმ სახით გამოქვეყნებას, როგორც იგი მოქმედებდა XIX საუკუნეში (1859 წლამდე).

საკმარისია ითქვას, რომ ქართული ტექსტის გაგების თვალსაზრისით ძნელად აღვლევს 1828 წლის თარგმანში ვერადი აქვს ავლილი, ზოგჯერ კი დამახინჯებულია. დ. ფურცელაძის თარგმანში კი ყველაფერი ეს გაანალიზებულია, გათვალისწინებულია ამის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებანი, მოყვანილია სიტყვების და ტერმინების შესახებ სათანადო ლექსიკონების ასხნა-განმარტებანი და ყოველმხრივი მეცნიერული შესწავლის შედეგად მოცემულია რუსული თარგმანი. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დ. ფურცელაძე თარგმანთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ ქართულ ტექსტებს არ დასჯერბია

და სპეციალურად ვახტანგის სამართლის წიგნის ხელნაწერებზეც უმუშავია. ამის შედეგად ქართული ტექსტის მრავალი ბუნდოვანი ადგილი გამართულია. ამასთანავე ორიგინალის უმართებულო გამოთქმები, რომელთა გამო მუხლის შინაარსი და კანონმდებლის ჩანაფიქრი დამახინჯებულია, დ. ფურცელაძის რუსულ თარგმანში გასწორებულია სათანადო განმარტებით.

ვახტანგის სამართლის წიგნი ძირითადად შედგენილია ქართული ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე და ამდენად ასახავს ქართულ სამართალს. ფრიად საყურადღებოა ის გარემოება, რომ სამართლის წიგნი შედგენილია საქართველოს დანაწევრების ვითარებაში, ქართლის სამეფოში, ქართლის ხელისუფლების მიერ, მაგრამ მისი მოქმედება არ განისაზღვრებოდა მხოლოდ ქართლთა, არამედ სამართლის წიგნი მოქმედებდა მთელ საქართველოში. ეს გარემოება კი იმის მაჩვენებელიც არის, რომ საქართველოს ცალკეულ სამეფო-სამთავროებში ქართული სამართლის ერთიანი პრინციპები მოქმედებს ჩვეულებითი სამართლის სახით, და რომ საქართველო, ბაზაროსულ გარემოცვაში მყოფი, გარეშე ძალეების მიერ დაპყრობილი და დანაწევრებული, გაერთიანებას ესწრაფვოდა, რომლისთვისაც მოუწოდებდა მას ეთნიკური ერთიანობა, ტრადიცია და სამართალი. რუსეთთან შეერთების შემდეგ, როცა საქართველო ერთ სახელმწიფოდ გაერთიანდა, ვახტანგის სამართლის წიგნი მოქმედებდა აგრეთვე მთელ საქართველოში.

ამასთანავე, ვახტანგის სამართლის წიგნი რიგი ინსტიტუტების მიხედვით, საერთოდ, სამართლის ფრიად განვითარებულ საფეხურს ასახავს. ამ მხრივ საყურადღებოა ბრალის საკითხი, რომლის მაღალი საფეხური ხალხის სამართლებრივი კულტურის დონის მაჩვენებელია.

ვახტანგის სამართლის წიგნი ბრალეულობის საკითხის დამუშავების თვალსაზრისით თავისი ეპოქის მოწინავე იდეების ამსახველია. ეს ჩანს იმაში, რომ ვახტანგის სამართლის წიგნი ბრალის ფორმებიდან იცნობს განზრახვის სხვადასხვა ხარისხს. ამასთანავე, ვახტანგის სამართლის წიგნი კაზუსების სახით კარგად იცნობს გაუფრთხილებლობას, იცის მისი განსხვავება, ერთი მხრივ, განზრახვისაგან, მეორე მხრივ, შემთხვევისაგან. თვით ის ფაქტი, რომ ვახტანგის სამართლის წიგნში კონკრეტული მაგალითის მიხედვით ნაჩვენებია გაუფრთხილებლობის განსხვავება განზრახვისა და შემთხვევისაგან, იმის მაჩვენებელია, რომ ვახტანგის სამართლის წიგნი სამართლებრივი თვალ-

საზრისით განვითარების მაღალ საფეხურზე დგას.

ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, რომ, მართალია, ვახტანგის სამართლის წიგნს, მრავალი კონკრეტული დანაშაულის აღწერისას, სწორედ გაუფრთხილებელი დანაშაულის შემადგენლობა აქვს მოცემული, მაგრამ მიუხედავად ამისა, გაუფრთხილებლობის ცნება, როგორც ზოგადი ნიშნების შემცველი განსაზღვრება, რომელიც გაუფრთხილებლობას გამოხატავდა და რომლითაც განზრახვას და შემთხვევას დაუპირისპირდებოდა, ვახტანგის სამართლის წიგნისათვის უცნობია.

რასაკვირველია, ვახტანგის სამართლის წიგნს, რამდენადაც ის ჩვეულებითი სამართლის ნორმების საფუძველზეა წარმოშობილი, ახლავს ძველი პერიოდის ზოგიერთი ისეთი გადმოწინააღმდეგავი, როგორც პროცესში ორდალების გამოყენება, მაგრამ, საერთოდ, ვახტანგის სამართლის წიგნი უეჭველად განვითარებული სამართლის იდეების ამსახველია.

უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ იმას, რომ ვახტანგის სამართლის წიგნის აგებულება, მართალია, კაზუსებს ემყარება, მაგრამ მას უსათუოდ ახასიათებს გარკვეული სისტემატ. სავსებით მართებულად მოჰყავს დ. ფურცელაძეს ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის 1887 წლის გამომცემლის ა. ფრენკელის სიტყვები, რომ ვახტანგის სამართლის წიგნი თავის დროის მიხედვით წარმოადგენს კანონმდებლობას, რომლის ნაწილები გარკვეული სისტემით არის დალაგებული, რომ კანონმდებელს დიდი შრომა აქვს გაწეული საკითხების შესწავლა-დალაგებისათვის.

დ. ფურცელაძის თარგმანის შესახებ გვაქვს ზოგიერთი შენიშვნაც.

1) 79-ე მუხლი ასეთია: „აგრეთვე თუ მოხდება დედამაში სხვაც რამ, რომ უმართებულო მოხდეს. თუ გამოჩნდეს, კათალიკოზმა და მეფემ გარდაადგინოს. თუ არ გამოჩნდეს, მოძღვარმა იცის ამისა-საკანონო“.

დ. ფურცელაძე, ვახტანგის სამართლის წიგნის სხვა მუხლების მოშველიებით მართებულად ამტკიცებს, რომ აქ დედასა და მამას შორის რაიმე „უმართებულო“ ურთიერთობაზე კი არ არის საუბარი, არამედ მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობაზე. 1887 წლის რუსულ გამოცემაში კი მხოლოდ მშობლებს შორის ერთმანეთის შერტაცხყოფაზეა საუბარი („взаимные оскорбления“) დ. ფურცელაძე აქ მართებულად ასწრებს 1887 წლის გამოცემას: „უმართებულო“-ს დ. ფურცელაძე გადმოგვცემს სიტყვით „неподобающее“. საერთოდ ამ მუხლის მიმართაც დ. ფურცელაძის მიდგომა საესებით მართებულია და მი-

სი თარგმანი დედანთან ახლოს დგას, მაგრამ თვით ქართულ ტექსტშია გაუგებრობა.

ამ მუხლის მიხედვით, თუ მშობლებსა და შვილებს შორის რაიმე „უმართებულო“ მოხდება, დამნაშავეს დასჯიან (კათალიკოსი და მეფე), ხოლო თუ მათ შორის არაფერი მოხდება, მაშინ გადახდევინება ანუ საკანონო (საეკლესიო გადახდევინება) მოძღვარს ეკითხვის. გაუგებარი სწორედ ეს არის, თუ არაფერი მოხდება, მაშინ არც საკანონო უნდა იყოს გათვალისწინებული, აქედან ჩანს, რომ ამ მუხლის შინაარსი არ არის ნათლად ჩამოყალიბებული. იგი ბუნდოვანია და ეს გარემოება უნდა აღვნიშნა დ. ფურცელაძეს.

ჩვენი აზრით, ამ მუხლით კანონმდებელს უნდოდა ეთქვა შემდეგი: თუ მნიშვნელოვანი რაიმე „უმართებულობა“ მოხდება მშობლებსა და შვილებს შორის, ასეთი საქმე ექვემდებარება კათალიკოსსა და მეფეს და ისინი „გადახდევინებენ“, ესე იგი დასჯიან გამტყუნებულ მხარეს. მაგრამ თუ რაიმე მნიშვნელოვანი არ არის, ესე იგი მცირე საქმეა, მცირე დანაშაულია, ასეთს საკანონოს მოძღვარი განსაზღვრავს, ესე იგი ასეთი უმნიშვნელო საქმე მოძღვარს ექვემდებარება.

მაშასადამე, ქართული ტექსტის ეს ადგილი გაუმართავია, ვახტანგის სამართლის წიგნი ქართულად სამჯერ არის ბეჭდურად გამოცემული. ჩვენი აზრით, არცერთი ეს გამოცემა მეცნიერული არ არის. მეცნიერული გამოცემა გულისხმობს, რომ შესწავლილი იყოს ყველა ხელნაწერი, სამწუხაროდ, ეს ძნელი საქმეა, მაგრამ აუცილებელი. ძნელია იმიტომ, რომ ვახტანგის სამართლის წიგნის ხელნაწერები საქართველოში, რუსეთსა და საზღვარგარეთ 200-მდეა და მათი შესწავლა დიდ დროს თხოვლობს. ვახტანგის სამართლის წიგნი მოქმედებდა მთელ საქართველოში, ესე იგი სხვადასხვა სამეფო-სამთავროში. სხვადასხვა ხელნაწერს ათასგვარი მინაწერი ექნება, ყველა ამას შესწავლა უნდა. ვახტანგის სამართლის წიგნი ვახტანგის შემდეგაც მოქმედებდა. შესაძლებელია, თეიმურაზს, ერეკლეს, სოლომონ I-ს ან სოლომონ II-ს, სამეგრელოს და გურიის მთავრებს რაიმე მიემატებინოს ან დაეკლოს, ან შეესწორებინოს ესა თუ ის მუხლი, ან გაუგებარი ადგილები თავისებურად განემართოს და სხვა. ამის უფლება ჰქონდა ყველა მეფესა და მთავარს. აუცილებელია ყველა ეს ხელნაწერი დაწვრილებით იქნეს შესწავლილი და ამის საფუძველზე აიგოს ვახტანგის სამართლის წიგნის გამოცემა. ვახტანგის სამართლის წიგნის გამომცემლებს კი ამ მხრივ არავითარი ნაბიჯი არ გადაუდგამთ: მათი ძირითადი მიზანი იყო უძველეს ხელნა-

წერებზე მუშაობა, იმის დადგენა, თუ რა გამოვიდა ვახტანგის ხელიდან, როგორი იყო ვახტანგის სამართლის წიგნის პირვანდელი სახე, რასაკვირველია, ეს აუცილებელია, მაგრამ მარტო ეს არ არის საკმარისი.

2) 193-ე მუხლის მიხედვით, თუ მტერობით ვინმეს ვინმემ რაიმე დაუწვა, დამნაშავეს უნდა აზღვევინონ. თუ დაზარალებულს რაიმე დანაშაული მიუძღვის ბრალდებულის წინაშე, ის უნდა ჩაუთვალონ ბრალდებულს. მაგრამ თუ არაფერი მიუძღვის, მაშინ ბრალდებულს სრულად უნდა გადაახდევინონ. აი ეს უკანასკნელი წინადადება გამოტოვებულია 1887 წლის რუსულ გამოცემაში. ის თავის ადგილზე ჩასმული აქვს დ. ფურცელაძეს და აღნიშნულიც აქვს, რომ 1887 წლის რუსულ გამოცემაში ეს გამოტოვებულია. ქართული ტექსტის ეს ადგილი ასე იკითხება: „თუ არას ემართლებოდეს, მართებული პასუხი მიაცემინონ, რა ერთისაც წამხდარიყოს“. ამას წინ უსწრებს შემდეგი წინადადება: „თუ ემართლებოდეს საქმეში ჩაუვდონ“. ეს წინადადება 1887 წლის გამოცემაში არის.

მაშასადამე, ამ მუხლის შინაარსი ასეთია: ბრალდებულმა დაწვით ზიანი მიაყენა დაზარალებულს და ამისათვის მას სათანადოდ უნდა გადახდეს, მაგრამ, თუ დაზარალებულს, თავის მხრივ, სანამ მუხლში აღწერილი დანაშაული მოხდებოდა, ზიანი მიუყენებია ბრალდებულისათვის, ეს მხედველობაში უნდა მიიღოს სასამართლომ, უფრო კონკრეტულად, გადახდევინების დროს ბრალდებულს ეს უნდა გამოეკეთოს. მაგრამ, თუ არ მიუყენებია დაზარალებულს მანამდე ზიანი? მაშინ ბრალდებულს სრულად უნდა გადახდეს, მაგრამ ამ სრულ გადახდევინებაზე მუხლის დასაწყისშია საუბარი. ამიტომ ის ნაწილი, რომლის თარგმანი არ არის მოცემული 1887 წლის გამოცემაში, აზრობრივად არც არის საჭირო.

ხსენებული მუხლის 1887 წლის გამოცემაში გამოტოვებული ადგილის ქართული ტექსტი, რომელიც ზემოთ მოვიყვანეთ, საკმაოდ ბუნდოვანია, მაგრამ მისი დ. ფურცელაძისეული თარგმანი მართებული უნდა იყოს და სწორედ იმას უნდა ნიშნავდეს, რომ თუ დაზარალებული ბრალდებულს არას ემართლება, მაშინ ბრალდებულს სრული ანაზღაურება უნდა გადახდეს. დ. ფურცელაძის თარგმანი ანაზღური სიზუსტის თვალსაზრისით მართებულია, მაგრამ მას უნდა აღენიშნა, რომ 1887 წლის გამოცემაში გამოტოვებული ადგილი ზედმეტიც არის.

3) 194-ე მუხლით, თუ ხუმრობაში და თამაშობაში მოხდეს დანაშაული ან სიკვდილი, ბრალდებულმა დაქრლს საექიმო დახმარება მისცეს, ხოლო მოკლულს სამარხი. თუ მოკლულის ან დაქრლის ქირისუფალნი დასწამებენ ბრალდებულს, რომ მან განზრახ ჩაიღწა მკვლელობა ან დაქრა, ესე იგი ხუმრობა და თამაში დანაშაულის საფარად გამოიყენა, მაშინ ბრალდებულმა თავი უნდა იმართლოს ფიცით „თუ ვერ იფიცოს, მკუდრისაცა და ქრილობისაც მოსამართლემ კიდევ ნაკლებად, გაუჩინოს“. თუ ვერ დაიფიცა, — ეს იმას ნიშნავს, რომ დანაშაული ბრალდებულს დაუმტკიცდა. ამ მუხლის ეს ადგილი ასე უნდა გავიგოთ; რადგანაც ხუმრობა-თამაშობაში მომხდარა დანაშაული, ამიტომ ის შედარებით მსუბუქ დასჯას იმსახურებს.

დ. ფურცელაძეს „კიდევ უფრო“ გადმოუცია სიტყვებით „опять таки“, მაგრამ ეს „опять таки“ რას ნიშნავს, ამის შესახებ არავითარი განმარტება არ მოუცია, იგი მიუთითებს 92-ე მუხლზე, მაგრამ ეს მუხლი საკითხს ვერ არკვევს. თუ კანონმდებლის აზრის ზუსტ გადმოცემაზეა საუბარი, უმჯობეს იყო „კიდევ უფრო“ еще в меньшем размере-თი გადმოცემულიყო, ან ისე, როგორც ეს 1887 წლის გამოცემაში: „подлежит взысканию... но не полному“.

4) 24-ე მუხლში წერია: „მიმშველის — ასაბიასი“. „მიმშველი“ ჩვენი აზრით, ასაბიას განმარტებაა, დ. ფურცელაძეს კი თავის რუსულ თარგმანში „მიმშველი“ და „ასაბიას“ ერთმანეთისაგან გამოყოფილი აქვს „მიმშველი“ ესე იგი „მიმშველი“ და „ასაბიას“ ცალკეულ ინსტიტუტებად არის წარმოდგენილი. „მიმშველისა“ და „ასაბიას“ შორის კავშირი „და“-ც რომ ყოფილიყო, ზოგიერთ შემთხვევაში ეს ორი სიტყვა მაინც ერთმანეთის განმარტებად უნდა მიგვეჩინა, მაგალითად, იოვანესა და ექვთიმეს „ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: „ხოლო უკუეთუ ვინმე იპოვის ასაბიასი და ერთიმეორისა მეშველი, დიდად მოუგინდეს, და ფიცხლად წუბართის“¹. აქაც — მეშველი ასაბიას განმარტებაა.

5) 24-ე მუხლში ვკითხულობთ: „...მიმშველისა და ასაბიასი და მარბიელის კაცისა დაგვიწყურია და ისრე ჩაივლის და არც შერჩების“. 1887 წლის რუსულ გამოცემასთან შედარებით დ. ფურცელაძის თარგმანი უფრო ახლოა დედანთან, მაგრამ ორთავე თარგმანში კანონმდებლის ჩანაფიქრი მართებულად არ არის გადმოცემული: რუსული თარგმანების მიხედვით

¹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. 11, 1967, გვ. 73.).

ფედამსხმელის მოკვლა ან დაკრა, ესე იგი მისთვის ზიანის მიყენებას, როგორც ჩვენ გვიწყნარა (თითქოს კანონმდებელი წერს — ი. ს.) ანაზღაურება არ ექნება. სინამდვილეში კი ზოგიერთ შემთხვევაში ანაზღაურება, შემცირებული რაოდენობით, გათვალისწინებულია ამავდროულად სამართლის წიგნში (მუხ. 53). ამიტომ ტექსტი ასე უნდა გავიგოთ: მიმხდომის შესახებ როგორც გვიწყნარა, წერს კანონმდებელი, ისე იქნება, ისე ჩაივლის, მათ დანაშაული არ შერჩებათ.

გვაქვს სხვა შენიშვნებიც, მაგალითად, არ ვეთანხმებით დ. ფურცელაძეს ზოგიერთი ბუნდოანი ადგილის გაგებაში. იშვიათად, მაგრამ ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება გვჩნდება, რომ დ. ფურცელაძე ორიგინალის სიტყვით გატაცებულია, რაც ზოგჯერ ენებასაც კი აყენებს შინაარსს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მთარგმნელს შეუძლია დედანს დააკლოს ან მოუმატოს რაიმე, რომ შინაარსი განმარტოს. მრავალი რამ თარგმნის შესახებ შეიძლება სადავო იყოს, მაგრამ ერთი რამ უდავოა: დავით ფურცელაძემ უაღრესად კარგი საქმე გააკეთა. ორიგინალის მრავალი ბუნდოვანი ადგილი ნათელი გახდა, ხშირად ძველის უმართებულო გადმოცემა გამართა და კანონმდებლის ნამდვილი ჩანაფიქრი აღადგინა. მოვიყვანოთ მაგალითები:

1) 197-ე მუხლის ქართულ ტექსტში საუბარია სრულწლოვანისა და უწლოვანის ურთიერთობაზე ნაძლევის დაკავშირებით. მუხლი იმით მთავრდება, რომ, თუ „ტოლები“ დანაძლევიდან, მაშინ ისინი ერთნაირად არიან პასუხისმგებელნი ნაძლევის ფარგლებში. 1887 წლის გამოცემაში „ტოლების“ მაგიერ წერია „Совершеннолетние“, რაც უმართებულოა, ეს შეცდომა დ. ფურცელაძეს გასწორებული აქვს თავის თარგმანში და აღნიშნულიც აქვს 1887 წლის თარგმანის უმართებულობა.

დ. ფურცელაძის მიერ ამის გასწორება არსებითად ცვლის საკითხს და მას უსათუოდ დიდი მნიშვნელობა აქვს.

2) 269-ე მუხლის მიხედვით, ბატონის უნებართვოდ ყმა არ შეუძლია თავდებობა იკისროს, რადგანაც შეიძლება „იმ თავდებს იმისი ყმობა უნდოდეს, ვისაც დაუდგება“ თავდებადო, სიტყვასიტყვით ასევეა ეს თარგმნილი რუსულადაც (1887 წლის გამოცემა), მაგრამ, როგორც მართებულად აღნიშნავს დ. ფურცელაძე, ასეთი გაგება უაზრობაა: თავდები ვერ გახდება იმისი ყმა, ვისაც თავდებად დაუდგა,

ხოლო იმის ყმა შეიძლება გახდეს, ვის წინაშეც მან პასუხისმგებლობა იკისრა, რომ ვალდებულება შესრულებული იქნება. ესეც როგორც კანონმდებლის მიერ უმართებულოდ გამოთქმული აზრის, ისე 1887 წლის გამოცემის მნიშვნელოვანი, არსებითი ხასიათის გასწორებაა.

ჩვენ არ შევეუდგებით ყველა მუხლის მოყვანას, რომლებშიც დ. ფურცელაძემ 1887 წლის გამოცემის და ქართული ტექსტის უმართებულობანი გასწორა, ასეთი მუხლებია: 36, 71, 92, 95, 134, 159, 166, 178, 183, 191, 192, 195, 197, 198, 202, 205, 207, 217, 233, 234, 235, 237 და სხვ.

დ. ფურცელაძის ნაშრომის დაწვრილებით შესწავლა ცხადყოფს, რომ მას ფრიად შრომატევადი და სისარგებლო შრომა გაუწყვია, რომ ამ შრომას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ვახტანგის სამართლის წიგნის შესწავლის თვალსაზრისით. ამიერიდან ჩვენ ხელთ გვაქვს დედანთან დაახლოებული რუსული თარგმანი, მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული, რომელიც დიდ დახმარებას გაუწყვეს მკითხველს ქართულად ძნელად საკითხავი წიგნის ბუნდოვანი ადგილების ადვილად წაკითხვა-გაგებაში.

თვითონ თარგმანის შესახებ უნდა ვთქვათ, რომ იგი დედანთან ახლოა, ხშირად სიტყვასიტყვით თარგმანის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ დ. ფურცელაძემ თარგმანის დროს მთავარ ყურადღებას აქცევს ტექსტის შინაარსს და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხშირად ქართულ ტექსტსაც მართებულად ასწორებს და დამაჯერებლად ასახულებს თუ როგორი უნდა ყოფილიყო კანონმდებლის ჩანაფიქრი.

ვახტანგის სამართლის წიგნს სამართლის ინსტიტუტების სიმდიდრით, ვერც ერთი ქართული სამართლის ძველი ვერ შეედრება. დიდი მისი მნიშვნელობა საქართველოს ისტორიის ყოველი დარგისათვის, განსაკუთრებით კი ქართული სამართლის ისტორიისათვის.

სიტყვები არ მყოფნის დ. ფურცელაძის ღვაწლის დასაფასებლად. მას სხვა რომ არ გააკეთებინა, ესეც ეყოფოდა უკვდავსაყოფად. ამიერიდან ვახტანგის სამართლის წიგნს — რუსული ენის საშუალებით გზა ხსნილი აქვს მსოფლიო ასპარეზზე.

ივ. სურგულაძე,
პროფესორი.

კანონიერების სარკაჯოზე



ადმინისტრაციული ორგანოების ღვანღმოსილ მუშაკს, ამჟამად ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თანამშრომელს, კომკავშირისა და შრომის ვეტერანს, რესპუბლიკის დამსახურებულ იურისტს, შრომის ნითელი დროშის ორდენისა და მრავალი მედლის კავალერს ვასილ ნიკოლოზის ძე ხმალაძეს დაბადების 70 წელი შეუსრულდა.

ვ. ხმალაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმატებით დამთავრების შემდეგ დიდი ხანი მუშაობდა პროკურატურის ორგანოებში, იყო რაიონისა და ქალაქის პროკურორი, რესპუბლიკის პროკურატურის განყოფილების უფროსი, ამავე დროს ასრულებდა ცენტრალური აპარატის პარტიული ორგანიზაციის მდივ-

ნის მოვალეობას.

1952 წელს ვ. ხმალაძეს აწინაურებენ საქართველოს კომპარტიის თბილისის საოლქო კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგედ, სადაც მუშაობდა ოლქის რეორგანიზაციამდე. ამის შემდეგ იგი რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეა, ხოლო პენსიაში გასვლამდე — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო სამმართველოს უფროსის მოადგილე.

ვ. ხმალაძე ზნეობრივად წმინდა, საკუთარი თავისადმი მომთხოვნი, დიდი პასუხისმგებლობის მქონე ადამიანია, უსაზღვროდ უყვარს ოჯახი და მეგობრები. იგი კვლავაც ჭაბუკური ენერგიით იღწვის სამართლის პროპაგანდის გაუმჯობესებისათვის, სოციალისტური კანონიერების განუხრელად განხორციელებისათვის, სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისათვის, ამიტომაც დიდი სიყვარული და პატივისცემა აქვს მოხვეჭილი იურიდიულ საზოგადოებაში.

ახლახანს კი ადმინისტრაციული და მასობრივი ინფორმაციის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის დაბადების 70 წლის-

თავთან დაკავშირებით ვასილ ნიკოლოზის ძე ხმალაძე დაჯილდოებულ იქნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

ვუსურვებთ ვ. ხმალაძეს ჯანმრთელობას, წარმატებებს მუშაობაში და პირად ცხოვრებაში.

შ. ზანტუჩი,
პროკურატურის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე,
რესპუბლიკის დამსახურებული იურისტი.

* * *

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სხდომის დარბაზში პროკურატურის ვეტერანთა საბჭომ, რესპუბლიკის პროკურატურამ, უმაღლესმა სასამართლომ, ტელევიზიისა და რადიომუშყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა შეხვედრა მოუწვევეს აღმინისტრაციული ორგანოების ღვაწლმოსილ მუშაკს, ამჟამად ტელევიზიისა და რადიომუშყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თანამშრომელს, კომკავშირისა და შრომის ვეტერანს, რესპუბლიკის დამსახურებულ იურისტს **ვ. ხმალაძეს**.

სიტყვა წარმოთქვა პროკურატურის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარემ, რესპუბლიკის დამსახურებულმა იურისტმა **შ. ზანტუჩიამ**.


იუბილარს მიესალმნენ: პროკურატურის ვეტერანთა საბჭოს პასუხისმგებელი მდივანი, ფინანსთა სამინისტროს იურიდიული განყოფილების უფროსი **კ. ელიბეზარაშვილი**, უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე **დ. ლორია**, რესპუბლიკის პროკურორის მო-

ადგილე **ვ. შარაშენიძე**, ტელევიზიისა და რადიომუშყებლობის სახელმწიფო კომიტეტის პროპაგანდის მთავარი რედაქციის მთავარი რედაქტორი, პარტიული ორგანიზაციის მდივანი **ფ. დანელია**, ყურნალისტთა კავშირის გამგეობის მდივანი **ნ. ბეთანიშვილი**, ვ. ხმალაძის მშობლიური სოფლის, დიღმის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ვ. კენჭიაშვილი**, ყურნალ „ნიანგის“ მთავარი რედაქტორი **ზ. ბოლქვაძე**, რესპუბლიკის დამსახურებული იურისტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის იურიდიული განყოფილების გამგე **ვ. ბეწაძე**.

შეხვედრის დასასრულს **ვ. ხმალაძემ** მადლობა გადაუხადა დამსწრეთ გულთბილი შეხვედრისა და კეთილი სურვილებისათვის.

ი. ზანტუჩი,
ვეტერანთა საბჭოს წევრი, რესპუბლიკის
დამსახურებული იურისტი.

იუკისგთა რახელოვნების სამსახურში



ბოლო ხანს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო დიდ ყურადღებას აქცევს ცადრების მომზადებასა და გადამზადებას. ამ საქმეს ემსახურება საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან არსებული იუსტიციის ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედი რესპუბლიკური კურსები.

თავისი არსებობის მცირე ხნის მიუხედავად, კურსებზე უკვე ჩამოყალიბდა მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა, ლექტორთა შესანიშნავი კოლექტივი. მათ შორის არის პროფესორი იური სიხარულიძე, რომელიც რესპუბლიკური კურსების მეთოდოლოგიური საბჭოს წევრია და ქართული სამართლის ისტორიას კითხულობს. ეს სამეცნიერო დისციპლინა კურსების სამუშაო გეგმაში ამ ოთხიოდ წლის წინათ იქნა შეტანილი მეთოდოლოგიური საბჭოს დადგენილებით.

მსმენელები დიდ ყურადღებას იჩენენ ამ სამეცნიერო დისციპლინისადმი. თვით ეს ფაქტი ლექტორსაც საკმაოდ ხელშეხსნებად ახანიათებს, როგორც მეცნიერსა და პედაგოგს. პროფესორი ი. სიხარულიძე თითქმის სამი ათეული წელია, რაც უმაღლეს სასწავლებელში პედაგოგიურ და მეცნიერულ კვლევადობებს ეწევა. არის თორმეტი წიგნის, ათობით სამეცნიერო წარკვევის და ასზე მეტი საურუნალო თუ საგანგებო სტატიის ავტორი.

1976 წლიდან დღემდე პროფესორმა ი. სი-

ხარულიძემ კურსებზე, გარდა სალექციო კურსისა, რომლის პროგრამა მანვე შეადგინა, წაიკითხა რამდენიმე საყურადღებო სამეცნიერო მოხსენება: „ვექილის ინსტიტუტი ფეოდალურ საქართველოში“, „მოსამართლის ინსტიტუტის წარმოშობა საქართველოში“, „ნიკო ბერძენიშვილი და ქართული სამართლის ისტორიის საკითხები“ და სხვა. პროფესორ ი. სიხარულიძეს 1978 სასწავლო წლის მიღწეული შედეგებისათვის საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის ბრძანებით გამოეცხადა მადლობა, ხოლო 1979 სასწავლო წლის შედეგებისათვის — რესპუბლიკური კურსებზე ლექცია-სემინარებისა და პრაქტიკული მეცადინეობების მაღალ დონეზე ჩატარებისა და სასწავლო-აღმწერდლობით მუშაობაში აქტიური მონაწილეობისათვის იგი დაჯილდოვდა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს და საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის საპატიო სიგელით.

ი. სიხარულიძე ქართული სამართლის ისტორიით სტუდენტობის პერიოდშივე დაინტერესდა. მისი პირველი მასწავლებელი ამ დისციპლინაში იყო გამოჩენილი ქართველი სწავლული იური სტი, პროფესორი გიორგი სოსელია. მისი ხელმძღვანელობით დაწერა ი. სიხარულიძემ პირველი სამეცნიერო რეფერატი „სამართლის ისტორიის საკითხები კ. მარქსის შრომებში“ (1945). სტუდენტობის პერიოდში იგი დიდ ინტერესს იჩენდა ევროპული სამართლისადმი. ამის დამადასტურებელია მისი ნაშრომები „თვისუფლების დიდი ქარტია“ (1946) და „ნაპალეონ I-ის სამოქალაქო კოდექსი“ (1947).

არც ასპირანტობის პერიოდში (1949-1952 წ. წ.) შეუწყვეტია ი. სიხარულიძეს სამართლის ისტორიაში გულმოდგინე მუშაობა. აქ მას საამისოდ უფრო ნოყიერი ნიადაგი დაუხვდა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურაში მას ხელმძღვანელობდა დიდი ისტორიკოსი და ქართული სამართლის ისტორიის მკვლევარი აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი. სახელოვან მეცნიერს კარგად ესმოდა ქართული სამართლის ძეგლების მეცნიერული შესწავლის ფასი საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური თუ კულტურულ-ეკონომიკური განვითარების შეცნობისათვის



და ამიტომ თავის ასპირანტებს სწორედ ასეთ წყაროებზე ამუშავებდა.

ასპირანტობის პერიოდში აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით დაწერა ი. სიხარულიძემ ნაშრომი „გურიის 1841 წლის აჯანყების მონაწილეთა გასამართლება“ (1951), რომელიც შევიდა მის საკანდიდატო დისერტაციაში „გლეხთა აჯანყება გურიაში 1841 წელს“ (ნაშრომის საჯაროდ დაცვა შედგა 1953 წლის 19 მაისს, ხოლო წიგნად გამოიცა 1956 წელს).

მოგვიანებით პროფესორი ი. სიხარულიძემ სპეციალურად სწავლობდა „მართალი პირის ინსტიტუტს“ (გურიის მასალების მიხედვით 1952), ტერმინ „სამართლის“ ეტიმოლოგიას, „ბექას სამართლის წიგნს“, „ხელმწიფის კარის გარიგებას“ და ქართული ფეოდალური სამართლის ისტორიის სხვა ძეგლებს.

ი. სიხარულიძემ დიდი მუშაობა გასწია მონღოლური სამართლის ძეგლთა შესასწავლად. სპეციალური გამოკვლევები უძღვნა „იასანს“,

ჩინგიზ-ყაენის „ბილიგს“, ყაზან-ყაენის „იერლიყს“ და ა. შ.

ამ ძიებების შედეგები ფართოდ არის წარმოდგენილი მის სადოქტორო დისერტაციაში „ქართველი ხალხის ბრძოლა თათართა ბატონობის წინააღმდეგ“, რომელიც 1964 წელს დაასრულა.

პროფესორი იური სიხარულიძე დღესაც ჩვეული ენერჯით იკვლევს ქართული სამართლის ისტორიის საკითხებს, იგი სწორედ ახლა თავისი შემოქმედებითი ძალების გაფურჩქვნის პერიოდში. ახლახან ჩვენმა საზოგადოებრიობამ აღნიშნა მისი დაბადების 50 წელი.

იმედია, პროფესორი ი. სიხარულიძე კვლავაც არაერთი მაღალხარისხის ნაშრომით გაგვახარებს, თავის წვლილს შეიტანს იუსტიციის ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში.

მამია ხარბთონიშვილი.

საბაქოლიანად დასჯილი

(იუმორესკა)

ფეხსაცმლის ატელიეს „წინ იყურეს“ თავმჯდომარე სიმონ დანელიჩი, რომელსაც თანამშრომლები მოფერებით „სიმონდანს“ ეძახდნენ, ცოლის დაბადების დღეს იხდიდა. მხიარული „იუბილიარმა“ ირინე კარპოვნა საგულდაგულოდ ემზადებოდა წვეულებისათვის.

სიმონდანმა ცოლის დაბადების დღე ამჯერად ერთი თვით წინ გადმოსწია, რადგან ამ დღეებში საკავშირო უწყების მთავარი საქონელმცოდნე ჩამოსულიყო ტურისტად (?!). ეს ის ქალბატონი გახლდათ, რომელსაც შარშან რვა მარტთან დაკავშირებით სიმონდანმა ამანათი გაუგზავნა (ორი წყვილი სხვადასხვა მოდელის ლაქის ფეხსაცმელი).

სუფრაზე მასპინძლების ყურადღება, ბუნებრივია, ძვირფასი სტუმრისადმი იყო მიპყრობილი. სიმონდანი სტუმარს გვერდით მისჯდომოდა და გულუხვად სთავაზობდა ნაირ-ნაირ საჭმელსა და ხილს. დროდადრო, როგორც მიღებულია ასეთ დროს, კომპლიმენტსაც შეაპარებდა ხოლმე. ყველაფერი ეს რაღაც საზეიმო ელფერს აძლევდა სუფრას.

— ძვირფასო მეგობრებო! ამ პატარა ყანწით (ყანწი უზარმაზარი იყო), ნაგრამ დიდი გულით და სულით მინდა შემოგთავაზოთ ძვირფასი, სათნო, გულისხმიერი, უაღრესად სიმპათიური, თავმდაბალი, თავისი საქმის შესანიშნავი მცოდნის, კეთილშობილებისა და უანგარობის ნამდვილი განსახიერების, მუდამ გულითა და სულით სანატრელი სტუმრის — ანა ივანოვნას სადღეგრძელო. გუშინ მან ინახულა ჩვენი სანარმო, და ხაზგასმით უნდა ვაღიაროთ, რომ მისმა ჩამოსვლამ მკვეთრი აღმავლობის გზით წარმართა ჩვენი შრომითი ენთუზიაზმი... უღრმესი მადლობა თქვენ, ანა ივანოვნა, მხარდაჭერისათვის!...

იგრილა ტაშმა, ყველა ფეხზე ადგომით მიესალმა სტუმარს. შეზარხოშებულ მასპინძლებს გუნება გაუფუჭა იმ ამბავმა, რომ ნაშუალამევს ანა ივანოვნამ სასტუმროში წასვლა მოინდომა, ისინი კი გათენებამდე ქეიფს ფიქრობდნენ.

— ჰაიტი! — იკივლა სიმონდანმა, — მოსვლა თქვენი ნება იყო, წასვლა კი... ვერსად ვერ წაგვიხვალთ! რა ვქნათ მეგობრებო, დავტოვოთ საქართველოში?...

— დავტოვოთ! — გაისმა საერთო მოწონების ხმა.

* * *

სიმონდანმა, მიუხედავად ერთხმად მიღებული გადაწყვეტილებისა, საკუთარი მანქანით მიაცილა სასტუმრომდე ანა ივანოვნა. შინ მობრუნებულს ცოლი ფეხზე დახვდა. ირას გაეშალა ფერად-ფერად ქალაღებში შეფუთული საჩუქრები და ხარბად ათვალიერებდა. თვალებში ბოროტი ღიმილი უელავდა.

— რა მოხდა? — იკითხა გაოცებულმა სიმონდანმა, — ეგ რა არის?..

— მოდი, ნახე, საკუთარი თვალით ნახე შენი ძვირფასი სტუმრის მიერ მოტანილი საჩუქარი...

სიმონდანი გაშრა. ლურჯ ქალაღში, მისი ატელიეს პროდუქცია — ლაქის მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი იყო გახვეული.

„იქნებ მოენონა ჩემი პროდუქცია და გადაწყვიტა, ამაზე უკეთეს საჩუქარს რას მივართმევო“, — გაიფიქრა სიმონდანი და ამით გამხსნეებულმა უთხრა ცოლს:

— აბა რა გგონია? ჩვენს ლაქის ფეხსაცმელებზე ქალები ჭკუას კარგავენ... მით უმეტეს რუსეთში.

— ჰმ. — ირონიულად ჩაიღიმა ირამ, — იქნებ გგონია, ეს ჯღანები ჩავიცვა... მე იმპორტულ ფეხსაცმელს ვარ შეჩვეული.

* * *

მეორე დღეს სიმონდანი გახარებული მიიჭრა შინ.

— ირა, ჩქარა მოემზადე, ანა ივანოვნა თეატრში გვეპატიჟება. იცოდე, სტუმრის მორთმეული ფეხსაცმელი ჩაიცვი... პატივცემის ნიშნად...

— რაო? — ცივი ხმით იკვილა ქალმა.

სიმონდანი დიდხანს ამშვიდებდა ატირებულ მეუღლეს. ბოლოს, როგორც იქნა, დაარწმუნა, რომ საჭიროება მოითხოვდა ამას და დაიყოლია კიდევ.

სალამოს სიმონდანი მეუღლითურთ თეატრში გაჩნდა.

ირა კარპოვნას ანტრაქტზე ამაყად ეჭირა თავი, მაგრამ მის ზვიად დიმილს კოჟრის აუტანელი ტკივილით გამონვეული ჩრდილი გადაჰკრავდა ხოლმე.

მეორე ანტრაქტზე ირა კარპოვნა აღარ გასულა სასეირნოდ, დაღლილობა მოიმიზეზა. სტუმარმა ეშმაკურად გაიღიმა.

მესამე ანტრაქტზე შაინც გაიარ-გამოიარა ირამ ფოიეში, მაგრამ ვაი იმ გაყვას. ფეხის კოჭები სტკიოდა, მუხლები ტეხდა. გულში ათასგზის სწყველიდა უგულო, უვიც ოსტატებს, იმ ატელიეს გამგეს, რომელიც... გამწარებულმა ქმარს შეხედა.

უცებ ირა კარპოვნამ იგრძნო, რომ იგი დაკოჭლდა და მთელი საზოგადოება მას უყურებს.

— ქუსლი მოგძვრათ, ქალბატონო! — შეჰკადრა ვიღაცამ.

— წარმოუდგენელია! — აღმოხდა ირა კარპოვნას.

— მაგას აღარაფერი ეშველება, მეორე ქუსლიც მოაძვრეთ და განსორდება, — ურჩია მეორემ.

— ვიცნობ მე მაგ ატელიეს ნახელავს, ახი იქნება თავმჯდომარის ცოლს ჩააცვა ეს ჯღანები და თეატრში მოიყვანო! — აღშფოთდა მესამე.

სიმონდანი სვეტს ამოეფარა...

თეატრი დაიცალა, ყველაზე გვიან სიმონდანი და მისი ფეხშიშველი ცოლი გამოვიდნენ თეატრიდან.

გასასვლელთან ცოლ-ქმარს ანა ივანოვნამ ტაქსი დაახვედრა.

— დაბრძანდით, ფეხშიშველი ხომ არ წაბრძანდებით შინ. — გაუცინა მათ სტუმარმა, — მეც ასე დამემართა შარშან, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ წონასწორობა დავკარგე და კიბეზე დავგორდი.

— მადლობა ღმერთს, კარგად გადარჩენილხართ, — ნაიღუღლულა ირა კარპოვნამ მონიწიებით.

სიმონდანს დანა კბილს არ უხსნიდა.



სასამართლო მედიცინის მუშაკთა გაართმევადი კლასები

1980 წლის 10-13 ნოემბერს თბილისში, საქართველოს პროფკავშირების მძღვოსანთა სასახლეში — „განთიადი“ — გაიმართა სასამართლო მედიცინისა და საკავშირო სამეცნიერო საზოგადოების გამგეობის მეჩვიდმეტე და სსრ კავშირის სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საპრობლემო კომისიის — „სასამართლო მედიცინის, ტოქსიკოლოგიური და სასამართლო ქიმიის მეცნიერული საფუძვლები“ — მეორე გაერთიანებული პლენუმი.

პლენუმი გახსნა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ ბ. გეგაშვილიმ. შესავალი სიტყვით გამოვიდნენ სასამართლო მედიცინისა და საკავშირო სამეცნიერო საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე, რსფსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი ვ. სომოხიანი და სსრ კავშირის სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საპრობლემო კომისიის — „სასამართლო მედიცინის, ტოქსიკოლოგიური და სასამართლო ქიმიის მეცნიერული საფუძვლები“ — თავმჯდომარე, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სასამართლო მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ბ. ბრეშვილი.

გაერთიანებული პლენუმის მონაწილეებს მიხედვით სიტყვით მიმართეს საქართველოს სსრ პროკურორმა ბ. ზარბაძემ და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ დ. ლორსაძემ. მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ სასამართლო-მედიცინო ექსპერტაჟს უდიდესი მნიშვნელობა აქვს და იგი ერთ-ერთი ძირითადი და ხშირად გადაწყვეტილებით მტკიცებულების როლს ასრულებს ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ღირსების ხელყოფის კატეგორიის დანაშაულთა გამოძიებისა და სამსჯავრო განხილვის დროს.

პლენუმის სხდომებს სხვადასხვა დროს თავმჯდომარეობდნენ: საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე ბ. გეგაშვილი, სასამართლო მედიცინისა და საკავშირო სამეცნიერო საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე, პროფესორი ვ. სომო-

ხიანი. სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სასამართლო მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ბ. ბრეშვილი, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სასამართლო მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე პროფესორი ბ. ბაბუხიანი, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს მთავარი სასამართლო-მედიცინო ექსპერტი, უფროსი „სასამართლო-მედიცინო ექსპერტის“ მთავარი რედაქტორი, პროფესორი ვ. ბრეშვილი და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი სასამართლო-მედიცინო ექსპერტი, დოცენტი რ. გეგაშვილი.

პლენუმზე განიხილეს შემდეგი ძირითადი საკითხები: უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლებში სასამართლო მედიცინის სწავლების და ექსპერტთა კადრების მომზადების თანამედროვე მოთხოვნები; სასამართლო მედიცინის სამეცნიერო საზოგადოების აპოცანები, რომლებიც გამოქვეყნდნენ სსრ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის 2 აგვისტოს დადგენილებიდან. „მართლწესრიგის დაცვისათვის მუშაობის გაუმჯობესებისა და სასამართლო-მედიცინის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“; 1981-1985 წლებში სასამართლო მედიცინის პრობლემათა სამეცნიერო კვლევის პრობლემურ-თემატური გეგმის შესახებ; სასამართლო მედიცინაში, ტოქსიკოლოგიურ და სასამართლო ქიმიის სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციების მომზადების გაუმჯობესების აპოცანები და სხვ.

ამ თემებზე მოხსენებები გამოვიდნენ: პროფესორები ვ. სომოხიანი, ბ. ბრეშვილი, ვ. ბრეშვილი, ბ. ბაბუხიანი, გორკის სამედიცინო ინსტიტუტის სასამართლო მედიცინის კათედრის გამგე ბ. ზარბაძე, იაროსლავის სამედიცინო ინსტიტუტის სასამართლო მედიცინის კათედრის გამგე დ. ბაბუხიანი, ექიმთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის სასამართლო მედიცინის კათედრის გამგე ბ. სომოხიანი. სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სასამართლო მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის

განყოფილებათა გამგეები ვ. ნაშხენაძე და ბ. ნაზარაძე, უკრაინის სსრ განმარტოების დაცვის სამინისტროს მთავარი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი ი. შუპინი, ღებროპეტროვსკის სამედიცინო ინსტიტუტის სასამართლო მედიცინის კათედრის გამგე ბ. რუბინ-შანსკი, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგე მ. პინინი და ლონეცკის სამედიცინო ინსტიტუტის სასამართლო მედიცინის კათედრის გამგე პროფესორი ბ. ზონინი.

კამათში გამოვიდნენ: მოსკოვის პირველი სამედიცინო ინსტიტუტის სასამართლო მედიცინის კათედრის გამგე, პროფესორი ვ. პრინ-შამკი, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სასამართლო მედიცინის კათედრის გამგე, პროფესორი თ. გომილაძე, თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის სასამართლო მედიცინის ციკლის ხელმძღვანელი, დოცენტი რ. გვამბაძე, აშხაბადის სამედიცინო ინსტიტუტის სასამართლო მედიცინის კათედრის გამგე, პროფესორი ა. შაბილიძე, ლენინგრადის პედაგოგიური სამედიცინო ინსტიტუტის სასამართლო მედიცინის კათედრის გამგე, პროფესორი ნ. დემინტიძე, ლენინგრადის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის სასამართლო მედიცინის კათედრის გამგე, პროფესორი მ. კორაშვიანი, სსრ კავშირის განმარტოების დაცვის სამინისტროს სასამართლო მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ფარმაცევტულ მეცნიერებათა კანდიდატი ბ. რუბინი და სხვები.

გაერთიანებულ კონტროლს განსაკუთრებულად უურაღებდა მიეცა ინფორმაციული ხასიათის მქონე, როგორც არის: ბიოლოგიური წარმოშობის ობიექტების რეაგირებასთან დაკავშირებული ფაქტორების წყაროს განსაზღვრა; სასამართლო მედიცინის პირველი საკვლეო ციკლის (1978 წ., ივლის) რეკონსტრუქციის შეზღუდვა; სასამართლო მედიცინაში სამეცნიერო კვლევის დაგეგმვისა და კორექტირების საქმეში რუსის და უკრაინის სსრ განმარტოების დაცვის სამინისტროების საქმიანობის განხილვა; რუსის შესახებ; სასამართლო-სამედიცინო პრაქტიკაში მეცნიერულ მიღწევათა დანერგვის გეგმის შექმნა; სიკვდილის დაჯილდოების დროის განსაზღვრის საქსპერტო კრიტერიუმების მეცნიერული კვლევის მდგომარეობა ამ მხარეთაგან მუშაობის ინტენსივობის გზები და მეთოდები; სიკვდილის დაჯილდოების დროის ექსპერტიზის საკონტროლო დაქვემდებარება; ზოგადი შედეგი და პრაქტიკული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის კატასტროფათა შემთხვევაში; სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა საავიაციო კატასტროფის დროს და სხვ. გაერთიანებული კონტროლს მუშაობაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის სასამართლო მედიცინის გამოჩენილი სპეციალური მუშაკები, მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლო-სამედიცინო სამსახურის ცნობილი მოღვაწეები და ჩვენი რესპუბლიკის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტები.

პლენუმის მონაწილეებმა დააჯილდურეს თბილისისა და გორის რესპუბლიკის მედიკოსები.

შურნალისებრი კვალიფიკაციის იმპლემენტაცია

საქართველოს სსრ კურნალისებრი კავშირის გამგეობამ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან ერთად მიმდინარე წლის 18-24 ნოემბერს რესპუბლიკის საქალაქო და რაიონული გაზეთების იმ უურნალისებრი სათვისტოს, რომლებიც წერენ სამართლისა და მორალის ემეზუზე, მოაწყო ერთკვირიანი თათბირ-სემინარი. სპეციალურად შექმნილი პროგრამის მიხედვით უურნალისებრი წაკითხვის ღონისძიებები ატარებდა სამართლის აქტუალურ საკითხებზე, აგრეთვე, მოსახლეობაში სამართლებრივი პროპაგანდის გაუმჯობესების საქმეში მონაწილეობის ინფორმაციის გაცემის მიზნით.

სულ 12 საღამოს საათი გადუღდა დაკომპლექტებული იყო 20 კონსილანტი და მუშაობდა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს მუშაკთა კვალიფიკაციის მუდმივ მოქმედი რესპუბლიკური ცენტრის ბაზაზე.

სემინარი გახსნა და შეხვედრა ხიტივა წარმოიქმნა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრმა ბ. შუშინაშვილმა. სემინარის გახსნა დასწრენ გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი, საქართველოს სსრ კურნალისებრი კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ბ. გარდინიშვილი.



კავშირის გამგეობის მდივანი ნ. ბაქანიშვილი, უფროსი „საბჭოთა სამართლის“ მთავარი რედაქტორი მ. კაციაშვილი, რესპუბლიკის კურსების დირექტორი მ. კომისარიაძე.

სემინარზე საინტერესო ლექციები წაიკითხეს: პროფესორებმა ბ. ბაქანიშვილმა — „მანების საყოველთაო აქტიურობა სკკ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის წინ“, ბ. ბაქანიშვილმა — „სსრ

კავშირის და საქართველოს სსრ კონსტიტუციები“, ბ. ბაქანიშვილმა — „არასრულწლოვანთა სამართალდარღვევის პროფილაქტიკა“ და „ნარკომანია და მის წინააღმდეგ ბრძოლა“.

ნ. წამბერიძემ — „საბჭოთა სოციალ-დემოკრატიის, მ. მინაბაძემ — „საერთაშორისო სამართლის თანამედროვე აქტიური პრობლემები“, ი. სინარაძემ — „ამიერკავ-

კასის ხალხთა მეგობრობის ისტორიული ფესვები“, დოცენტმა ვ. შაბაძემ — „სამართლებრივი პროპაგანდის პედაგოგიური საფუძვლები“, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორმა ბ. ბაქანიშვილმა — „ახალგაზრდობის სო-

ციალდემოკრატიული პრობლემები რესპუბლიკურ პრესაში“, საქართველოს სსრ უფროსი რედაქტორი კავშირის გამგეობის მდივანი ნ. ბაქანიშვილმა, „სამართლისა და მორალის საკითხების გაშუ-

ქება პრესაში“, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ ზ. რატიანიძემ — „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XXII პლენუმის გა-

დამდგენი ღონისძიებები და ჩვენი ამოცანები“, საქართველოს პროფსაბჭოს განყოფილების უფროსმა ბ. ბაქანიშვილმა — „საბჭოთა შრომის სამართალი“, დოცენტმა მ. შაბაძემ — „საბჭოთა სისხლის სამართალი“, საქართველოს

სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომელმა ვ. რუსინაშვილმა — „საბჭოთა სო-

ციალდემოკრატიული სამართალი“, საქართველოს სსრ

იუსტიციის სამინისტროს უფროსმა კონსულტანტმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა იურისტმა ი. დიმიტრაშვილმა — „სახალხო-სამართლებრივი კანონმდებლობა“, საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ბ. სანაძემ — „სამართლებრივი პროპაგანდა რადიოსა და ტელევიზიის მეშვეობით“.

უფროსი რედაქტორები 19 ნომერს კომპლექტურად დაესწრნენ საქართველოს სსრ უფროსი რედაქტორი კავშირის მიერ მოწყობილ თემატურ შეხვედრას „აღმართი ენერჯის გამოყენების პერსპექტივები საქართველოში“, ხოლო 21

ნომერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის კლუბში ახალი ჟარტული კონფილმის ჩვენებას.

25 ნომერს იუსტიციის სამინისტროს საჯარო დარბაზში უფროსი რედაქტორი კავშირის ამ გვერდის მსმენელებისათვის გაიკრათ პრესკონფერენცია, რომელსაც ესწრებოდნენ გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი, საქართველოს სსრ უფროსი რედაქტორი კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ბ. ბაქანიშვილი, საქართველოს სსრ

იუსტიციის მინისტრის მოადგილეები ზ. რატიანიძე, ბ. ბაქანიშვილი და სხვები.

შეკითხვებზე ამომწურავი პასუხები გასცეს ბ. ბაქანიშვილმა, ზ. რატიანიძემ, ნ. ბაქანიშვილმა და ბ. ბაქანიშვილმა.

სემინარის დახურვისას გამოვიდა მსმენელი, უფროსი რედაქტორი ი. მელიძე.

თათბირ-სემინარის მუშაობა შეაჯამა გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორმა, საქართველოს სსრ უფროსი რედაქტორი კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ბ. ბაქანიშვილმა.

კურსების დირექტორმა მ. კომისარიაძემ გაუფიქრა 27 მსმენელს საუბრო ვითარებაში გადასცა რესპუბლიკური კურსების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნობები.

საკანონმდებლო სესიონი

1981 წლის 10 თებერვლიდან 12 თებერვლამდე საქართველოში სტუმრად იყო ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაცია, რომელშიც შედიოდნენ ბულგარეთის მთავარი პროკურორი კოსტადინ ლიუტოვი, (დელეგაციის ხელმძღვანელი), მთავარი პროკურორის მოადგილე სპას მულეტაროვი და პროკურატურის კრიმინოლოგიის განყოფილების უფ-

როსი ბაიო პანევი. საქართველოში ჩამოსულ სტუმრებს თან ახლდათ სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მოადგილე, იუსტიციის პირველი კლასის სახელმწიფო მრჩეველი ს. ა. შიშკოვი.

სტუმრები მიიღეს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტის მერვე მდივანმა გ. ვ. კობახიძემ და საქართვე-

ლოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **პ. გ. გილაშვილმა**.

საპატიო სტუმრები ეწვევენ საქართველოს სსრ პროკურატურას, სადაც ისინი მიიღო რესპუბლიკის პროკურორმა **ა. მ. ბარაბაძემ**. მიღების დროს გაიმართა აზრთა ურთიერთგაზიარება სოციალისტური / კანონიერების განმტკიცების საქმეში საპროკურორო ზედამხედველობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის საკითხებზე, ამ დარგში ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის და საქართველოს სსრ პროკურატურის მუშაობის გამოცდილებისა და მიღწეული წარმატებების ურთიერთგაზიარების შესახებ.

დელეგაცია შეხვდა რესპუბლიკის პროკურატურის ცენტრალური აპარატის მუშაკებს. სტუმრებს მიესალმა რესპუბლიკის პროკურორი **ა. მ. ბარაბაძე**, რომელმაც ვრცლად ილაპარაკა ბულგარეთისა და საბჭოთა, კერძოდ კი ქართველი ხალხების საუკუნოვან მეგობრულ ტრადიციებზე, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა და ბულგარეთში სოციალისტური სახალხო ხელისუფლების დამყარების შემდეგ კიდევ უფრო განმტკიცდა და ახალი შინაარსით შეივსო.

სტუმრებს რესპუბლიკის პროკურატურის პარტიული კომიტეტის სახელით მიესალმნენ პარტიული კომიტეტის მდივანი **გ. ვ. სხირტლაძე** და პროფკავშირის ადგილობრივი თავმჯდომარე **ვ. ა. გოგუაძე**.

ბულგარეთის მთავარმა პროკურორმა **კოსტადინ ლიუტოვმა** დიდი მადლობა გადაუხადა რესპუბლიკის პროკურატურის ხელმძღვანელებს, დამსწრე საზოგადოებას გულთბილი შეხვედრისათვის და რწმენა გამოთქვა, რომ ბულგარეთისა და საბჭოთა ხალხის ისტორიული მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდება.

საპატიო სტუმრები მიიღო აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ **ა. გ. კარანაძემ**, რომელმაც სტუმრებს ვააცნო უმაღლესი სასამართლოს მუშაობის ძირითადი მიმართულებანი.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის პროკურატურის დელეგაციამ დაათვალიერა ქ. თბილისის ისტორიული ადგილები და ქალაქის ღირშესანიშნოებანი.

1981 წლის 11 თებერვალს სტუმრები ეწვევენ ქ. გორს, სადაც ესაუბრენ პარტიის გორის რაიკომის პირველ მდივანს **ვ. აბრამიშვილს** და პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანს **ბ. მაყაშვილს**. სტუმრები იყვნენ ქ. თბილისის ხალხთა მეგობრობის მუზეუმში, დაესწრნენ ქართული ფოლკლორული ანსამბლის კონცერტს.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის პროკურატურის დელეგაციის სტუმრობა საქართველოში ბულგარელი და ქართველი ხალხების მეგობრობის ნათელი ტრადიციის შესანიშნავი გავრცელებაა.

თ. მარჯანიშვილი.

ო. ა. ისაკაძე



რის განყოფილების პროკურორი.

გარდაიცვალა სკკ წევრი 1947 წლიდან ოთარ აკაკის ძე ისაკაძე. იგი დაიბადა 1925 წელს ამბროლაურის რაიონის სოფელ მუხლში. საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1948 წელს, იმავე წელს მუშაობა დაიწყო ახალქალაქის რაიონის პროკურატურაში სახალხო გამომძიებლად, ხოლო ცოტახნის შემდეგ ქალაქ თბილისის სტალინის სახელობის რაიონის პროკურორის თანაშემწეა.

1949 წელს ო. ისაკაძე არჩეულ იქნა ქ. თბილისის 26 კომისიის რაიონის მე-4 უბნის სახალხო მოსამართლედ, ხოლო 1956 წლიდან ამავე რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარედ.

1961 წლიდან მუშაობას იწყებს პროკურატურის ორგანოებში: იყო რესპუბლიკის პროკურატურის განყოფილების პროკურორი, გარდაბნისა და ქალაქ თბილისის ლენინის სახელობის რაიონის პროკურორის თანაშემწე, ქ. თბილისის პროკურატურის განყოფილების პროკურორი.

1965 წელს ო. ისაკაძე კვლავ იქნა არჩეული ქალაქ თბილისის I მაისის რაიონის სახალხო მოსამართლედ და ამ მოვალეობას ასრულებდა რწმუნებულების ვადის გასვლამდე.

ო. ისაკაძის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი მეგობრებისა და კოლეგების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

ი. ი. არჩეაშვილი



მოულოდნელად გარდაიცვალა დიდი სამამულო ომის ვეტერანი, გულისხმიერი, შრომისმოყვარე ადამიანი და პრინციპული კომუნისტი ივანე იოსების ძე არჩეაშვილი.

იგი დაიბადა 1924 წელს თიანეთის რაიონის სოფელ თეთრახევაში, ღარიბი გლეხის ოჯახში. საშუალო სკოლა 1942 წელს დაამთავრა და იმავე წელს საბჭოთა არმიაში გაიწვიეს. 1943 წელს დაამთავრა ერთწლიანი სამხედრო სასწავლებელი. რის შემდეგაც მეთვრამეტა მოტორიზებული ბატალიონის მე-20 სატანკო ბრიგადის ოცეულის უფროსად დაინიშნა. იბრძოდა მტრის წინააღმდეგ 1945 წლის მარტამდე, როცა მძიმე კრილობამ აიძულა დაეტოვებინა ფრონტი.

სამშობლოს თავისუფლებისათვის თავდადებული ბრძოლისათვის დაჯილდოვებული იყო „წითელი ვარსკვლავის“ და II ხარისხის „სამამულო ომის“ ორდენებით, ხუთი საბრძოლო მედლით.

ი. არჩეაშვილი 1947 წლიდან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებშია. სხვადასხვა დროს მუშაობდა თიანეთის საშუალო სკოლის მასწავლებლად, თიანეთის რაიონის დამზადების ინსპექტორად, რაიონის სამხედრო კომისარატის საფინანსო ადმინისტრაციული ნაწილის უფროსად.

1958-1959 წლებში სწავლობდა ქ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.



უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ გაზეთ „ახალი თიანეთის“ პასუხისმგებელი მდივანია, ხოლო, 1960 წლიდან 1970 წლის ბოლომდე — თიანეთის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგედ. 1970 წელს აირჩიეს თიანეთის რაიონის სახალხო მოსამართლედ.


ყველგან, სადაც კი მას უმუშავია, ადამიანთა სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა, თავი გამოიჩინა როგორც ნიჭიერმა ორგანიზატორმა, თავმდაბალმა და პრინციპულმა კომუნისტმა, ამისი დადასტურება იყო მედალი „შრომითი მამაცობისათვის“.

ამხანაგებთან დამოკიდებულებაში ივანე იოსების ძე არჩემაშილი გამოირჩეოდა სიფაქიზით, მუდამ იჩენდა დიდ მზრუნველობასა და ყურადღებას, უანგაროდ ემსახურებოდა ადამიანებს, საზოგადოებას.

იგი მარად დარჩება ჩვენს ხსოვნაში.

ამხანაგების ჯგუფი

ი. გ. ლორთქიფანიძე



გარდაიცვალა საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრი, 1941 წლიდან სკკპ წევრი, ივანე (ვანო) გრიგოლის ძე ლორთქიფანიძე. იგი დაიბადა 1915 წელს ქ. ქუთაისში. 1942 წელს დაამთავრა საკავშირო იურიდიული ინსტიტუტის თბილისის ფილიალი.

1936-38 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში. 1939 წლიდან საქართველოს სსრ პროკურატურის ორგანოებშია. შრომითი საქმიანობა დაიწყო ქუთაისის რაიონის პროკურატურაში სახალხო გამომძიებლად. 1941 წელს ინიშნება ქ. თბილისის ლენინის რაიონის პროკურატურის სახალხო გამომძიებლის თანამდებობაზე. 1943 წლიდან 1948 წლამდე ი. ლორთქიფანიძე ონის რაიონის პროკურატურაში, 1948-52 წლებში კი ჯერ ქ. ქუთაისის, ხოლო შემდეგ ტყიბულის რაიონის პროკურატურის უფროსი გამომძიებელია.

1952 წელს ინიშნება ქუთაისის ოლქის პროკურატურის უფროს გამომძიებლად. იმავე წელს ირჩევენ ქუთაისის ოლქის სასამართლოს წევრად.

მისი დამსახურება პროკურატურის ორგანოებში აღინიშნა მთავრობის ჩილოებით, მადლობებით და საჩუქრებით.

1953 წლიდან გარდაცვალებამდე ი. ლორთქიფანიძე საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრია, მსახურობს ჯერ ქუთაისის, ხოლო 1967 წლიდან ქ. თბილისის კალინინის რაიონის იურიდიულ კონსულტაციებში.

შესანიშნავი მოქალაქის, გულისხმიერი და თავმდაბალი ადამიანის ი. ლორთქიფანიძის ხსოვნა დიდხანს იცოცხლებს იმათ გულში, ვინც მას იცნობდა.

საპარტვილოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი

ცნობები ავტორთა შესახებ

ალექსანდრე ამირანის ძე შუშანაშვილი — საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, 28 მეცნიერული შრომისა და 8 მონოგრაფიის ავტორი. სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

ვალერიან სპაბერკის ძე ლორია — იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის თეორიისა და სახელმწიფო სამართლის კათედრის პროფესორი, 45 შრომისა და 10 მონოგრაფიის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

თენგიზ ალექსანდრეს ძე ლილუაშვილი — იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამოქალაქო სამართლის განყოფილების გამგე, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

ზურაბ გიორგის ძე ახვლედიანი — იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოცენტი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

ვახტანგ ვალერიანის ძე თორღია — უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკი, პირველად გამოდის ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

ალექსანდრე ანდრიას ძე სომოღლაძე — ადვოკატი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი, 19 შრომისა და ერთი მონოგრაფიის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

ვალერიან გრიგოლის ძე ასიუშვილი — თბილისის ტრანსპორტის პროკურორი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი, საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

ივანე იულიოს ძე სურგულაძე — იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის კათედრის გამგე, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, 200-მდე შრომისა და მონოგრაფიის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

«საბჭოთა სამართალი» («Советское право»), № 1, 1981 (на грузинском языке). Двухмесячный научно-практический журнал Министерства юстиции СССР, Прокуратуры СССР, Верховного Суда СССР.

Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеханова, 103. тел. 95-58-87, 95-88-49.

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ

Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

შპს 50 კპპ.

ბ. 106 / 65

0600000 70185

